

124.544  
3

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ

Կարմիր Գրքեր



ԵՎԵՐԻ  
ՄԻՋՄԱՆՈՒԹՅԱՆ

Գրքերի Կենտրոն



საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბარტიის  
 ისტორიის ინსტიტუტი — სკკვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული  
 მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ა. კელენჯერიძე

# სერგო ორჯონიძე — ჟურნალისტი

K124.544  
 3



გამომცემლობა  
 „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი  
 1966



1. ზესა საქითვლობა.
2. ორჯონიკიძე, ს.

ბროშურაში გაშუქებულია საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გ. კ. ორჯონიკიძის ჟურნალისტური საქმიანობა ჰაბუკობის წლებში (1906—1910 წწ.).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „წერილები სპარსეთიდან“, „წერილები რეშტიდან“ და ნარკვევები „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“, რომლებიც იბეჭდებოდა ლეგალურ მარქსისტულ გაზეთებში „მომავალი“, „ჩვენი გაზეთი“, „ახალი სხივი“ და ჟურნალში „სხივი“ „სერგო კლდისძირელის“, „სერგო კლდისპირელისა“ და „გურჯი სერგოს“ ფსევდონიმებით, აგრეთვე კორესპონდენციები გაზეთ „ლამპარში“ სერგოს ხელმოწერით.

ავტორი საინტერესოდ უამბობს მკითხველს, თუ როგორ ეძებდა და პოულობდა გ. კ. ორჯონიკიძე თემას, როგორ ამუშავებდა მას, რა ლიტერატურულ სახეებს მიმართავდა, რათა ფაქტისათვის მეტი სოციალური ელერადობა მიეცა.

ყოველი მოღვაწის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, რომლებსაც უყურადღებოდ ტოვებენ ბიოგრაფები მაშინ, როცა მათ გარკვეული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და საინტერესოა თავისთავად. ასეთ მომენტს ვხვდებით სერგო ორჯონიკიძის ბიოგრაფიაშიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, მგზნებარე რევოლუციონერის — გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის ბიოგრაფიაში, რომელიც 1962 წელს გამოიცა მოსკოვში ვ. ს. კირილოვისა და ა. ი. სვერდლოვის ავტორობით<sup>1</sup>, გაკვრივ განხილულია სერგოს ლიტერატურულ-ჟურნალისტური საქმი-  
ანობა მისი რევოლუციური მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში, როცა პარტიამ იგი ირანში გაგზავნა იქ მომხდარი რევოლუციისათვის დახმარებისა და ამიერკავკასიიდან ამავე მიზნით წასულ მოხალისე სოციალ-დემოკრატ-ვოლონტიორებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

სერგო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ირანის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამასთან თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში როგორც საკუთარი კორესპონდენტი. თავის საკმაოდ მრავალრიცხოვან კორესპონდენციებში იგი ვრცლად და ობიექტურად აღწერდა ირანის ამბებს.

სერგო ორჯონიკიძე, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია რო-

<sup>1</sup> ქართულ ენაზე გამოიცა 1964 წელს.

ბი და მუშებსა და გლეხებს შესძახოს: „აი ვინ არის მტერი“<sup>1</sup>.

ან კიდევ ასეთი ფაქტი:

იმხანად ხელისუფლება ფულის რეფორმას ატარებდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, კერძოდ ფინანსური და საერთოდ სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ფულის ბაზარზე მაშინ არსებული ოთურმობანას აღსაკვეთად, რაც მრავალნაირი ბონების არსებობით იყო გამოწვეული. შემოდოდა ერთი საერთო-საკავშირო ფულის ნიშნები, მტკიცე ვალუტა, რითაც ბოლო ეღებოდა ისეთ ქაოსს, როცა დღევანდელი მანეთი ხვალ გროშ-კაპიკად აღარ ფასობდა. ახალი ფულის შემოდებას თან სდევდა საქონლის ფასების შემცირება. პარტია ულმობელ ბრძოლას აწარმოებდა ფასების შემცირებისათვის და ამ საქმეში ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელი ძალიან დიდ როლს აკისრებდა პრესას.

„თუ ჩვენი პრესა უდიდეს ყურადღებას დაუთმობს ფულის რეფორმას, — ამბობდა ის, — დარაზმავს მუშათა მასებს და წამოაყენებს ლოზუნგს: „თვალი ადევნეთ ფასების შემცირებას, რომ არცერთმა მოვაჭრემ არ აწიოს ფასი... ჩვენი პრესა, ჩვენი მუშკორები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ“<sup>2</sup>.

მუშკორებისა და პრესის მუშაკების იმავე საქალაქო კრებაზე გამოსულმა სერგო ორჯონიკიძემ ასე დაამთავრა თავისი შესანიშნავი და შთამბეჭდავი გამოსვლა:

„გისურვებთ, რომ იყოთ მედგარი მეზობრძოლნი საბჭოთა სიმართლისათვის, საბჭოთა მეურნეობის აღორძინებისათვის, რომ თქვენ ეზობლოთ ნეპმანობის ყოველგვარ გამოვლინებას ჩვენს წრეში და არ დაინდოთ არავინ — არც ყველაზე პასუხისმგებელი მუშაკები და არც ყველაზე პატარანი“<sup>3</sup>.

1 გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 394.  
2 იქვე, გვ. 395.  
3 იქვე, გვ. 396.

კლდისპირელის“ ფსევდონიმებით. „ახალ სხივში“ კი გათქმულია ამ წერილებისა დაბეჭდილია ნარკვევების სერია სათაურით „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ — „გურჯი სერგოს“ ფსევდონიმით.

„გურჯი სერგოს“ ნარკვევების — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ — ბეჭდვა იწყება 1910 წლის 6 თებერვალს და გრძელდება 17 მარტამდე. სულ გამოქვეყნებულია 9 ნარკვევი, თვითთულს უკავია 1,5—2 სარდაფი და აწყობილია თეთრი კორპუსით. რედაქციას ამ ნარკვევებისათვის ასეთი შენიშვნა წაუმძღვარებია: „ვბეჭდავთ ამ წერილებს უცვლელად. მიხი ავტორი — გურჯი სერგო — ერთი აქტიური მონაწილეთაგანია სპარსეთის რევოლუციისა. თვით წერილებს, როგორც მკითხველი დაინახავს, მებრძოლის დღიურის ხასიათი აქვს: აღნიშნულია თითქმის ყველა ის ამბები, რაც თვითონ ავტორს უნახავს, ან მათში მონაწილეობა მიუღია“. (სტილს ყველგან — აქაც და სხვაგანაც — უცვლელად ვტოვებთ. — ა. კ.).

მართლაც, ეს ნარკვევები ირანის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილის დღიურია.

ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევხვებით.

\*


\* \*

მანამდე კი ერთი პატარა მოვონება.

როდესაც სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის მასალებს ვეცნობოდი, გამახსენდა ერთი ჩემთვის დიდად სამახსოვრო პირადი შეხვედრა ამ შესანიშნავ ადამიანთან. ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც, გარემოებისა თუ შემთხვევის გამო, 19 წლის ჭაბუკმა პირველად შევდგი ფეხი საგაზეთო მუშაობის ასპარეზზე. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა ჩემი ცხოვრების მთელი გზა-კვალი და ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩამება.

ეს ამბავი ასე მოხდა:

1 იხ. „ახალი სხივი“, № 33, 1910 წ. 6 თებერვალი.



გაზეთში მუშაობას სრულებითაც არ ვაპირებდი, იურისტის პროფესიით ვიყავი გატაცებული და უნივერსიტეტის ციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაგრამ იმ დროს ხელმოკლე სტუდენტებს ლუკმაპურისათვის ზრუნვაც გვიხდებოდა. სამუშაოს ძებნაში „კომუნისტის“ რედაქციას მივადექი და ქრონიკიორად დავიწყე მუშაობა.

მაშინ „კომუნისტში“ ორი ჩვენებური, ხარაგოულები კაცი მუშაობდა — რედაქტორი ნიკო კიკნაძე, ძველისძველი ბოლშევიკი 1903 წლიდან, ლენინისა და მისი ოჯახის პირადი მეგობარი, კაცი უაღრესად სპეტაკი, დაუღალავი, უანგარო მუშაკი. მეორე იყო „პარტიული ცხოვრების“ განყოფილების გამგე ვანო ბუაჩიძე, სწორედ მათ ამადგმევიწინეს ფეხი როგორც ყურნალისტს. გარკვეული დაწესებულებები მომიჩინეს, საიდანაც საინტერესო ამბები უნდა მიმეწოდებინა გაზეთისათვის.

ერთხელ ნიკომ მიმიხმო, მოზრდილი კონვერტი გადმომცა და დამავალა სერგო ორჯონიკიძისათვის მიმეტანა ბინაზე, ახლანდელ გ. ტაბიძის ქუჩაზე. სერგო მაშინ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო და, ცოტა არ იყოს, შემეშინდა ასეთ დიდ კაცთან მისვლა. ნიკომ ეს უთუოდ შემატყო და გამამხნევა: „მიუტანე და უთხარი, რომ ჩემგან ხარ“. რა უნდა მექნა, წავედი, მაგრამ ვაი ისეთ წასვლას. მივდივარ და ფეხები უკან მრჩება. თანაც ვმსჯელობ ჩემთვის: როგორ მივმართო? ხომ ვერ ვეტყვი, ამხანაგო! რა ჩემი ამხანაგია ამოდენა კაცი. ბატონოო, ამასაც ვერ ვკადრებ კომუნისტ კაცს. მამის სახელით მიმართვაც არ შემიძლია. მართალი გითხრათ, არც ვიცოდი რა ერქვა მამამისს და არც იყო იმხანად ხმარებაში ახლანდელი „იჩებით“ მიმართვა. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი მახსოვს და არავინ არ მიმართავდა ერთმანეთს მამის სახელით. მიხა ცხაკაია უბრალოდ ამხანაგი მიხა იყო, მიხა კახიანიც — მიხა, მამია ორახელაშვილი — მამია, ვანო სტურუა — ვანო, ბესო ლომინაძე — ბესო, ფილიპე მახარაძე — ფილიპე და ა. შ.

მივედი, დავრეკე, კარი ქალმა გამიღო, სერგოს მეუღლე — ზინა გამოდგა. მოვახსენე ვისგანაც ვიყავი, მიმიწვია, უბრა-

ლოდ მორთულ ოთახში შემეყვანა, ვგრძნობ, ფერ-ფერი მემკვიდრეობის დის.

სერგო, ეტყობოდა, შეუძლოდ იყო და შინ ისვენებდა. აბა ვინ არ შემატყობდა, რომ ვლელავდი და... ამ დროს საოცრად ნაცნობი, მშობლიური ხარაგოულური კილოთი მესმის:

— გამარჯობა, ბიძიკო შენი, რა გვარი ხარ, სადოური ხარ, ბიძია შენ? — ეს სიტყვები ისე მახლობლად, ისე შინაურულად ჩამესმა, რომ მთელი ჩემი შიში და მღელვარება ერთბაშად გაქრა. დიდი ხნის ნაცნობ კაცთან ვიგრძენი თავი.

ვუბასუხე ვინც ვიყავი და საიდანაც ვიყავი.

„ბიჭოს, ჩვენ მეზობლები ვყოფილვართ!

სერგომ გამომკითხა, ვისი შვილი ვარ, რას ვაკეთებ. მე ვუთხარი, რომ უნივერსიტეტში ვსწავლობ და ამავე დროს გაზეთში ვმუშაობ-მეთქი.

— კარგია, რომ სწავლობ, გაზეთში რომ მუშაობ, ეს კიდევ უკეთესი. თუ ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდები, ძალიან კარგი იქნებაო — მითხრა.

გულწრფელად გავუტყდი, რომ იურისტობა მინდოდა, ხოლო გაზეთში თავის გასატანად ვმუშაობდი.

— მე კი გაზეთში მუშაობას გირჩევდიო — მითხრა, — რასაკვირველია, თუ გაინტერესებს და წერა გეხერხებაო, — თანაც დასძინა — მე გამომიციდია, ერთ დროს მეც ვკორესპონდენტობდიო.

ეს იყო და ეს. მას შემდეგ იურისტობაზე აღარ მიფიქრია, გაზეთს შევრჩი და ოცდაჩვიდმეტი წელი ვემსახურე ამ მართლაც მეტად საინტერესო და სასარგებლო საქმეს, რომელიც გულით შევიყვარე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიმწარე მიგემნია და ბევრი ღამეც თეთრად მითენებია. მაგრამ გულწრფელი სიხარულიც, ნამდვილი შემოქმედებითი სიხარულიც ბევრი მინახავს და ამიტომ უძილოდ გათენებული თეთრი ღამეები არაფრად ჩამიგდია.

„ერთ დროს მეც ვკორესპონდენტობდიო“ — სერგოს ამ სიტყვებისათვის მაშინ რომ ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა გამახსენდა, როდესაც ირანიდან გამოგზავნილ მის წერილებსა და ნარკვევებს ვიხილავდი. გამახ-



სენდა, გამეხარდა და სიამაყის გრძნობით ავივსე; ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ამ ერთ-ერთმა თავკაცმა დამიდგინა გზა იმ დიდ და საპატიო საქმეში, რასაც საბჭოთა ჟურნალისტიკა ჰქვია და, რომელსაც გულწრფელი სიყვარულით და თავდადებით ვემსახურე მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში, დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ყირიმის ფრონტზე, და მას შემდეგაც.

\*  
\* \*

ახლა კი იმის გასარკვევად, თუ რა მიზეზებმა ჩაიყვანეს სერგო ირანში და როგორ მოხვდა იგი იქ, საჭიროდ მიგვაჩინია მოკლედ შევეხოთ ირანის მაშინდელ ვითარებას და განსაკუთრებით იმ ამბებს, რომლებიც იქ 1905—1911 წლებში მოხდა.

როგორც ცნობილია, რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში და გარკვეული გავლენა იქონია აღმოსავლეთის ხალხთა შეგნებაზე. მან რევოლუციურად დარაზმა და აამოძრავა ისინი. „რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი<sup>1</sup> სტატიაში „აზიის გამოღვიძება“, — დემოკრატიული რევოლუცია მოედო მთელ აზიას — თურქეთს, სპარსეთს, ჩინეთს“<sup>1</sup>.

ყველგან აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ტალღა. ხალხი ამოძრავდა დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ, ფეოდალური და კოლონიური ჩაგვრისაგან თავის დასაღწევად, მონობის უღლის გადასაგდებად, ნანატრი თავისუფლების მოსაპოვებლად. რუსეთის პირველმა რევოლუციამ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი გამოძახილი ირანში ჰპოვა, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში — ირანის აზერბაიჯანში. ეს გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ირანის აზერბაიჯანი უშუა-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამ. ტ. 19, გვ. 79.




ლოდ ემიჯნება ამიერკავკასიას, საკუთრივ ჩრდილოეთ ბაიჯანს, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა. ირანის ეს პროვინცია ახლოსაა პროლეტარულ ბაქოსთან, სადაც მრავალი მუშა ჩამოდიოდა ირანის აზერბაიჯანიდან ლუკმაპურის საშოვნელად. ირანში დაბრუნებული მუშები უმრავლეს შემთხვევაში ნაზიარები იყვნენ რევოლუციურ იდეებს და მათ რევოლუციური ბრძოლის გარკვეული წრთობა ჰქონდათ მიღებული. ირანელ მუშებს სამშობლოში მოჰქონდათ პროლეტარული სულისკვეთება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრესული იდეები.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციის პირველი გამოძახილი ირანში იმით გამოიხატა, რომ 1905 წლის დეკემბერს თეირანსა და სხვა ქალაქებში გაიმართა სტიქიური მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებშიც მშრომელ ხალხთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო ბურჟუაზიული ელემენტებიც — ვაჭრები და სამღვდელოება. მასები მოითხოვდნენ შაჰის შეუზღუდავი უფლებების შეკვეცას პარლამენტით. მართლაც, ხალხის მოძრაობით შეშინებულმა შაჰმა მოხაფარ-ედინმა 1906 წლის აგვისტოში მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევის ბრძანებულება გამოსცა და რუსი მეფის წაბაძვით ხალხს კონსტიტუცია უბოძა.

მეჯლისი და კონსტიტუცია სავესებით აკმაყოფილებდა პრივილეგიურულ კლასებს, მაგრამ არ შეელოდა მშრომელ ხალხს. გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობა მთელ ქვეყანას მოედო. მან განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი მიიღო ჩრდილოეთ პროვინციებში. 1906 წლის ბოლოდან ირანში დაიწყო ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოების (ენჯომენების<sup>1</sup>)

1 ენჯომენი — სიტყვასიტყვით ნიშნავს გაერთიანებას. თავდაპირველად ენჯომენები ეწოდებოდა ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მეჯლისის ადგილობრივ ამომრჩევლებს აერთიანებდნენ. შემდგომში ისინი იქცნენ სათათბირო ორგანოებად ადგილობრივ ხელისუფლებასთან. კანონით აღიარებული ენჯომენების გვერდით არსებობდა სტიქიურად შექმნილი სხვადასხვა სახის ენჯომენები: სათვისტომო, პროფესიული, წოდებრივი, პოლიტიკური კლუბები და სხვ. ენჯომენების სოციალური შემადგენლობა განსაზღვრავდა მათს როლსა და მნიშვნელობას რევოლუციაში; რევოლუციური ენჯომენების გვერდით არსებობდა კონტრრევოლუციურიც.




შექმნა. ამავე პერიოდს დაემთხვა ირანის პირველი სოციალ-  
დემოკრატიული ორგანიზაციების ჩასახვაც. რევოლუციური  
მოძრაობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა. მაგრამ რე-  
აქციასაც არ ეძინა. მან დასახმარებლად მოუხმო ინგლისის  
იმპერიალიზმსა და რუსეთის თვითმპყრობელურ ხელისუფ-  
ლებას, რომლებიც ირანს ისედაც თავის კოლონიად მიიჩნე-  
დნენ. ინგლისმა და რუსეთმა ირანი გავლენის სფეროებად გაი-  
ყვეს და შიგ თავიანთი ჯარები შეიყვანეს: ინგლისმა — სომ-  
ხრეთ რაიონებში, ხოლო რუსეთმა — ჩრდილოეთში — ირა-  
ნის აზერბაიჯანსა და გილანის პროვინციაში.

არც ირანის კონსტიტუციას უარსებია დიდხანს, რუსეთში  
რეაქციის გამარჯვებით წაქეზებულმა ირანის ახალმა შაჰმა  
მაჰმად-ალიმ კაზაკთა ბრიგადის დახმარებით, რომელსაც მე-  
ფის სატრაპი პოლკოვნიკი ლიახოვი<sup>1</sup> მეთაურობდა, გაილაშქ-  
რა რევოლუციის წინააღმდეგ და ირანის მეჭლისი რუსული  
ზარბაზნებით დაარბია. მეფის თვითმპყრობელობამ აქაც ხალ-  
ხთა ჯალათის როლი შეასრულა. ლიახოვის კაზაკები წარმოუდ-  
გენელი სისასტიკით ჟლეტდნენ ირანელ რევოლუციონერებს.  
„საერთაშორისო ჯალათების როლი პირველად როდი ხვდებ-  
წილად ქრისტესმოყვარე რუს მხედრებსო“ — წერდა ამის  
გამო ვ. ი. ლენინი სტატიის „ფიცხი მასალა მსოფლიო პო-  
ლიტიკაში“.

1 ვ. პ. ლიახოვი — მეფის რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. ირანის რევო-  
ლუციის წინ და მის პირველ წლებში მეთაურობდა „მისი უდიდებულესო-  
ბის შაჰის კაზაკთა ბრიგადას“. ეს ბრიგადა მეფის მთავრობამ შექმნა ირანში  
გასული საუკუნის 90-იან წლებში და პეტერბურგის კაბინეტის იარაღი და  
შაჰის ტახტის დასაყრდენი იყო.

1908 წლის 23 ივნისს კონტრრევოლუციური გადატრიალება ირანში  
მოამზადეს მეფის დიპლომატებმა ლიახოვის მონაწილეობით. მოხსენებას  
ირანის პარლამენტის დარბევის შესახებ მეფე ნიკოლოზ მეორემ წააწერა:  
„ყოჩაღ კაზაკებო, მადლობა გულად ოფიცრებს“.

მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ირანელი ხალხი კარგად ანსხვავებდა  
ლიახოვისა და მისი მსგავსი ჯალათებისაგან რუსი ხალხის მოწინავე,  
პროგრესულ ნაწილს, რომელიც ყოველთვის თანაგრძნობით ეპყრობოდა  
ჩაგრული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრა-  
ობას და ყოველნაირად ეხმარებოდა მას.



„იპონელთა მიერ სამარცხვინოდ დამარცხებული რუსეთის მეფის ჯარები შურს იძიებენ კონტრრევოლუციის ხურში გულმოდგინების გამოჩენით. რუსეთში ხალხის მასობრივი დახვრეტის, დამსჯელი ექსპედიციების, ცემა-ტყეპისა და ძარცვის სამაგიერო საქმეებს მოსდევს იმავე კაზაკების საგმირო საქმეების ჩადენა სპარსეთის რევოლუციის ჩასახშობად“<sup>1</sup>. მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე იქვე შენიშნავდა, რომ შექმნილ პირობებში სპარსეთის რეაქციის ტრიუმფი „მხოლოდ ახალ სახალხო აჯანყებათა შესავალი აღმოჩნდებაო“<sup>2</sup>.

და მართლაც, მეჯლისის დარბევის ამბავმა და ლიახოვის მიერ ხალხთა წარმომადგენლების დაუნდობელმა ყაჩაღობამ დევნამ მთელი ირანი აღაშფოთა. სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანაში რეაქცია მძვინვარებდა, ბურჟუაზიამ თავრიზში აჯანყების დროშა ააფრიალა. ამ დროშის გარშემო დაირაზმა მთელი რადიკალური დემოკრატია და ზოგიერთი მემამულე-ხანიც კი. რევოლუციური ბრძოლის ცენტრად ირანის აზერბაიჯანი იქცა. აზერბაიჯანელმა რევოლუციონერებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილ შაჰის ჯარებს. ამ ბრძოლას მეთაურობდა ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ირანის სახალხო გმირი სათარ-ხანი. იგი წარმოშობით გლეხი იყო ირანის აზერბაიჯანიდან და ადრე, წლების განმავლობაში მუშად მუშაობდა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში, კერძოდ ბაქოს ნავთობის სარეწებზე, სადაც მონაწილეობას იღებდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. სათარ-ხანი მუსულმანთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „ჰუმეთის“ წევრი იყო. 1905—1911 წლების ირანის რევოლუციის წინ და მის დასაწყისში იგი მეთაურობდა პარტიზანულ რაზმს და ეწეოდა ბრძოლას ირანის რეაქციული ხელოსუფლების წინააღმდეგ. 1908—1909 წლებში სათარ-ხანი სათავეში ჩაუდგა რეაქციის წინააღმდეგ აჯანყებას თავრიზში, რომელიც კონსტიტუციის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თბზ., მე-4 გამ. ტ. 15, გვ. 209.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 210.

აღდგენას ისახავდა მიზნად. ვ. ი. ლენინმა „სპარსეთის რევოლუციური ჯარის მეთაური“<sup>1</sup> უწოდა მას. სათარ-ხანი შესანიშნავი ადმინისტრაციული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. იმდენად საშიშ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა შაჰს იგი, რომ 100 ათას მანეთს ჰპირდებოდა, ვინც მის თავს მიუტანდა, მაგრამ არც ერთი გამცემი არ აღმოჩნდა მის რიგებში. რევოლუციის წლებში სათარ-ხანი ყველაზე პოპულარულ პიროვნებად ითვლებოდა ჩრდილოეთ ირანში<sup>2</sup>.

სათარ-ხანის პიროვნების დასახასიათებლად დავიმოწმებთ „ახალი სხივის“ 1910 წ. 5 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ ვლასა მგელაძის<sup>3</sup> წერილსაც „ქ. ხოიდან თავრიზამდე“.

თავრიზში ჩასულ ვ. მგელაძეს სათარ-ხანი უამბობს არდებილში რევოლუციის დამარცხების ამბავს და დასძენს:


„ქალაქი გატყდა შიგნით კონსულის შემწეობით (უნდა ვივარაუდოთ, საქმე მეფის რუსეთის კონსულს შეეხება — ი. კ.). მცხოვრებნი ამიჯანყეს, ათასი ცილი დამწამეს და როდესაც ყველა შიშმა შეიპყრო, კონსულმა გაბედა წინადადება მოეცა მისთვის შემეფარებინა თავი.“

ამაზე მეტი დამცირება აღარ იქნებოდა ჩემთვის! არა, ეს მეტისმეტი იყო ჩემი სამშობლოსათვის, ჩემთვის, და ზოგი ტაქტიკური მოსაზრებით მას საკადრისი პასუხი არ გავეცა, ეს ვუთხარი მხოლოდ: სანამ სათარ-ხანი თქვენ ბინას გთხოვდეთ, მანამდე ჩემი ხელით მოვიკლავ ჩემ თავს! განა ჩემ სამშობლოში რევოლუციონერების, ხალხის სისხლით მორწყულ მხარეში, სადაც თავისუფლების დროშა ფრიალებს, იქ თქვენ გთხოვთ ბინას? არა და ათასჯერ არა! თქვენ შეგიძლიათ სხვას

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამ., ტ. 15, გვ. 268.

<sup>2</sup> „Историк марксист“, 1940, № 11, стр. 95. „Красный Архив“, 1941, № 2 (105), стр. 44.

<sup>3</sup> ვ. მგელაძე (ფსევდონიმი В. Триа) ერთ დროს რევოლუციონერობდა, შემდეგ მენშევიკი გახდა, იყო მენშევიკური დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიქცა ემიგრაციაში. გარდაიცვალა საფრანგეთში 1944 წელს.



მისცეთ ბინა. მე კი, სათარ-ხანს, ხალხის მიერ არჩეულ დასამალი და თქვენთან შესახვეწარი არა მაქვს სიკვდილი მომელის — მოვკვდები იქ, სადაც თავისუფლების მეტროპოლიტი დაიბოცენ უთანასწორო ბრძოლაში, თუ არა, შევძლებ გავიკაფო გზა, გავიდე აქედან, სადაც ყოველივე ღალატით და ხაფანგითაა დაგებული. ქვეყანას ვამცნო მტერ-მოყვარის ამბავი, შევკრიბო ძალა და კვლავ დარაჯად ვედგე ტანჯულ სამშობლოს და მის ხალხს! ორმოცდაათი კაცით გავარდვიე მტრის რაზმი და თავრიზში მოვედი, სადაც პასუხი მოვთხოვე ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორს.

ამ უსწავლელ, წერა-კითხვის არმცოდნე კაცში რა ცეცხლი, ან რა ენერგია-აღფრთოვანება ღვივისო! — დაასკვნის ავტორი.

კავკასიელი რევოლუციონერები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები, მხურვალედ გამოეხმაურნენ სპარსეთის ამბებს. ისინი ფხიზლად და დაძაბულად ადევნებდნენ თვალყურს მოვლენათა განვითარებას ირანში და შექმნეს თავრიზის რევოლუციის ხელშემწყობი ჯგუფი.

„ცარიზმის აღვირახსნილი კოლონიზატორული პოლიტიკა ირანში, მეფის სატრაპებისა და მათთვის დაქვემდებარებული ჯარების ბოროტმოქმედებანი იწვევდა რუსული საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილის მრისხანე გულისწყრომას, მრავალეროვანი ამიერკავკასიის ფართო საზოგადოებრივი წრეების აღშფოთებას. თბილისში, ბაქოში და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სხვა ქალაქებში, ირანის ხალხის დასახმარებლად აგროვებდნენ სახსრებს, ათეულობით მოხალისე მიდიოდა ამიერკავკასიიდან ირანში, მათ მხურვალედ სურდათ დახმარებოდნენ ირანის რევოლუციას. ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციები ირანში გზავნიდნენ თავიანთ მუშაკებს. ირანის რევოლუციას ყველაზე მხურვალედ ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები, „ჭუმბეთის“ ორგანიზაცია. ბაქოში შექმნილი იყო სპეციალური კომიტეტი


1 „ახალი სხივი“, 1910 წ. 5 თებერვალი.

ირანელი რევოლუციონერებისათვის დახმარების გასაწევად რომელშიც თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ნ. ნ. ნარეშვილი, ნოვი და მ. ა. აზიზბეკოვი. 1909 წლის შემოდგომაზე ბაქოდან ირანს გაემგზავრა ბოლშევიკების ჯგუფი გ. კ. ორჯონიკიძის მეთაურობით<sup>1</sup>.

ეს იმ დროს მოხდა, როდესაც კონტრრევოლუციურმა ძალებმა იერიში მიიტანეს რევოლუციური თავრიზის წინააღმდეგ და ლამობდნენ სისხლში ჩაეხშოთ ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. მაშინ, როცა შაჰის ჯარები აზერბაიჯანში იბრძოდნენ, აჯანყებამ გილანში იფეთქა. გილანელმა რევოლუციონერებმა 1909 წ. 8 თებერვალს აიღეს ქალაქი რეშტი. ამ ბრძოლაში გილანელ რევოლუციონერებს დიდი დახმარება გაუწია ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ჯგუფმა სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, რომელიც ამ დროს უკვე იქ იმყოფებოდა.

თითქმის ერთი წელი დაჰყო სერგომ ირანში და უმეტესად გილანის პროვინციაში ეწეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას, მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ არდებილის ლაშქრობაში, დაუკავშირდა მოსახლეობის დემოკრატიულ ფენებს და დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა მათ შორის. მისი ინიციატივით გილანის ქალაქებში, უმეტესად რეშტსა და ენზელში (ახლა ფეხლევი), შეიქმნა ინტერნაციონალური კლუბები, რომლებიც მუშებისა და შინამრეწველების რევოლუციური ბრძოლის პოლიტიკურ ცენტრებად იქცნენ. ამ კლუბებში ეწეობოდა შეხვედრები, იმართებოდა საუბრები, კითხულობდნენ ლექციებსა და მოხსენებებს. იქ ხშირად გამოდიოდა სერგოც, რომელიც მსმენელებს უამბობდა რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შესახებ, რევოლუციაში მუშათა კლასის ამოცანებსა და მის კავშირზე გლეხობასთან, ხალხთა ძმურ სოლიდარობაზე, მოუთხრობდა მარქსის, ენგელსის, ლენინის შესახებ. სერგო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების იდეურად და პოლიტიკურად განმტკიცებას. მან ირანიდან მჭიდრო კავშირი დაამყარა იმჟამად საფრანგეთში მყოფ ვ. ი. ლე-

<sup>1</sup> გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე (სერგო) ბიოგრაფია, გვ. 46.



ნინთან. დაუკავშირდა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრსა და მოაგვარა ბოლშევიკური პრესის მიღება უცხოეთიდან და მისი გავრცელება ინტერნაციონალურ კლუბებში რუსეთიდან ირანს ჩასულ სოციალ-დემოკრატებსა და მუშებს შორის.

სერგო ორჯონიკიძე დაუღალავად განამტკიცებდა სახალხო საქმისათვის მებრძოლთა რიგებს. დაუზოგავად ამხელდა მათ, ვინც სარგებლობდა ირანის დემოკრატიული ორგანიზაციების პოლიტიკური სისუსტით და ლამობდა სათავეში მოქცეოდა ამ მოძრაობას პირადი ინტერესებისათვის და იმ მიზნით, რომ შეესუსტებინა მისი შემდგომი განვითარება.

ერთ-ერთი ასეთი „მოღვაწე“, რომელსაც სერგომ ნიღაბი ახადა, იყო დაშნაკთა პარტიის წევრი ეფრემი, გვარად დავიდიანცი. იგი წამოტივტივდა თეირანზე სახელოვანი ვალაშქრების ჟამს. საკმაოდ განათლებულმა ეფრემმა მალე მოახერხა წინ წაწეულიყო, ხოლო შაჰის ჩამოგდების შემდეგ მაღალი თანამდებობაც კი იგდო ხელთ. ეფრემი წარმოშობით ამიერკავკასიიდან იყო, დიდხანს ცხოვრობდა ირანში, მუშაობდა ზედამხედველად ენზელ-თეირანის გზატკეცილის მშენებლობაზე, შემდეგ იყო აგურხანის მფლობელი რეშტში, ეწეოდა მოიჯარადრეობას ენზელში. მისი ერთადერთი მიზანი გამდიდრება იყო, მაგრამ მუდამ ხელმოცარული რჩებოდა. წარუმატებლობამ უბიძგა „რევოლუციურ საქმეებში ეცადა ბედი“.

აი რას წერდა სერგო ორჯონიკიძე ამ ცრურევოლუციონერის შესახებ: „იგი ამჟამად ტიპიური ჩინოვნიკია და მეტი არაფერი. ამას თვითონ ის გაჰყვირის ხმამაღლა“.

ხოლო თავრიზის სომხურ გაზეთ „ზანგის“ 1910 წლის 12 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სერგო ეფრემს ახასიათებს ისეთ კაცად, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რევოლუციასთან.

ეს კიდევაც დაამტკიცა ეფრემ დავიდიანცის შემდგომმა საქმიანობამ: ერთგული სამსახურისათვის 1912 წ. თებერვალში მან შაჰისაგან მიიღო სარდარის ტიტული და დაინიშნა პოლიციისა და ჟანდარმერიის მთავარსარდლად. ერთ-ერთი



# ტაღლი

ტაღლი ნომერი 11

თეოლოგია

საქართველოს კანონიერი მემკვიდრე

1906

საქართველოს კანონიერი მემკვიდრე

საქართველოს კანონიერი მემკვიდრე

საქართველოს კანონიერი მემკვიდრე

საქართველოს კანონიერი მემკვიდრე

№ 11

საქართველოს კანონიერი მემკვიდრე

№ 11

✓ სოფ. ღორეშა (შორაბნის მახრას). ბერ-  
დასკებით შეიარაღებული 7 კაცი შუადღისს  
მივიდენ გურჯაის ორჯონიკიძისს და მოითხო-  
ვენ ფულს. რადგანაც შ.ან არაფერს დახვდათ, შე-  
ცვივდენ სახლში, და შტერიეს ფანჯრები, სკამები,  
ზანდუკები და შემდეგ მოუყარეს შუა ზაღაში  
ქვეშაბებს თავი, გადასხეს ხანთი და მოუვიდეს  
ცანხლი, შემდეგში გამოვიდენ სახლიდან და  
ცანხლი მისცეს ბასელს, სადაც დამწვევად  
იყო სამი ძროხა, რომელნიც შიგვე გამოიწვენ.  
შემდეგ ამისა, აყარეს იმავე სოფელში მცხოვ-  
რებ დათა მაჭავარიანს და მდ. სიმონ კურტი-  
ძეს. ჰარველიდან წაიღეს 150 მან. და ნაბადი,  
მხოლოდ თუ მღვდელს დაუჭურებთ, მისკან  
არაფერი წაუღიათ. 2—3 აგვისტოს ამავე სო-  
ფელს მიუცვივდენ მცარცველები ბიქტორ ორ-  
ჯონიკიძეს და წაართვეს 55 მან. ეხლა ხადხი  
შიშობს, ჭარი არ შემოვიდესო. საუურადღებო  
ის არის, რომ უველა ეს ვაქსატანები სხვადა-  
სხვა ჰოლიტ. ჰარტიების სახელით სძარცვავენ  
ხადხს.

სერგო

სურ. 6. ვაზეთ „ტაღლის“ 1906 წლის 11 (24) აგვისტოს № 11, სადაც  
ღიბებულა სერგო ორჯონიკიძის კორესპონდენცია სოფ. ღორეშადან  
„სერგოს“ ხელმოწერით.


ენზელოში — რუსეთსა და ამიერკავკასიაში ლიტერატურის გზავნად...

სერგოს უყვარდა ირანელ გლეხებთან საუბარი და ვარჯიშობდა ირანულ ენაში. „ამ ღარიბი ადამიანების საშუალებით შემიყვარდა მე ლამაზი ირანული ენა, ენამახვილობა, აფორიზმები და ბრძნული სენტენციებიო“... — მეუბნებოდა ხოლმე სერგო. ცხოვრების გერებს უნერგავდა იგი თავისი ღირსების გრძნობას და ეუბნებოდა: „თქვენთვისაც დადგება გაზაფხულო“.

კ. 124. 514

ერთხელ ასეთი ამბის მოწმე გავხდი: სამკითხველოში ვზივარ, მოირბინა ერთმა ლატაკმა და ყურში მიჩურჩულა: „მუჯახიდი! დააპატიმრესო“. ვეკითხები — „რომელი მუჯახიდი?“ — „ის, რომელსაც ღარიბებთან საუბარი უყვარსო“. სასწრაფოდ გავიქეცი სერგოს სანახავად იმ გადაწყვეტილებით, რომ გამეთავისუფლებინა, თუ ეს მოსახერხებელი იქნებოდა. გრძელუღვაშა დარაჯმა გამიღო საპყრობილის კარი. სერგო პიტარა ბნელ, ჭუჭყიან, ბალინჯოებითა და სხვა მწერებით სავსე საკანში მოეთავსებინათ. აღშფოთებული, გალიაში დამწყვდეული ლომივით ბობოქრობდა. როგორც კი საკანში შევედი, სერგომ მითხრა: „დარაჯმა გამჩხრიკა და საიღუმლო საბუთები ჩამომართვა. შეეცადე რუს კონსულს არ გადამცენო“, თანაც მიაშბო რისთვის დააპატიმრეს. თურმე ნავსადგურში მიდიოდა, შემოსმია კაცის ყვირილის ხმა, შევარდნილა ეზოში და ასეთი საშინელი სურათი დაუნახავს: მემამულეს რალაც დანაშაულისათვის თავისი ყმა ხელფეხშეკრული გლეხი თავდაყირა ჩამოეკიდებინა და უმოწყალოდ აცემინებდა. იქვე იდგნენ გლეხის თავზარდაცემული ბავშვები, რომლებიც ტიროდნენ, აივანზე გადმომდგარი მემამულე კი კმაყოფილებით შესცქეროდა ამ სურათს და უბრძანებდა უფრო მაგრად ეცემათ. ასეთი შემზარავი სურათის შემხედვარე სერგოს უძვრია

1 მუჯახიდი — სიტყვასიტყვით შმიდათა შმიდა ომში მიმავალი. მუჯახიდების ორგანიზაცია ირანში მიზნად ისახავდა დაემყარებინა კონსტიტუციური წესწყობილება და იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. თავისუფლებისათვის მებრძოლებს მუჯახიდებს უწოდებდნენ.



რევოლუერი, გაურეკია ჯალათები და მემამულე, ჩამოუხსნია  
გლეხი და გაუთავისუფლებია.

„მეცხვე გავიქეცი ვიცე-გუბერნატორთან, — განაგრძობს  
სალარიძე, რომლის ორ ქალიშვილს რუსულ და ფრანგულ  
ენებს ვასწავლიდი. ჩემი ახსნა-განმარტების შემდეგ მან გან-  
კარგულება გასცა მიეყვანათ სერგო. მოიყვანეს მცველის თან-  
ხლებით. სერგოს თავი ამაყად ეჭირა. იუპიტერივით გან-  
რისხებული, სმოკინგში და შავ კაკარდიან ქუდში გამოწყო-  
ბილი ვიცე-გუბერნატორი — ეს „თვალნი“ შაჰისა ენ-  
ზელში, კალამს აწრიბინებდა და სერგოს შესახებ რუს კონ-  
სულს წერდა“...

„მუჯახიდო, — მიმართა ვიცე-გუბერნატორმა სერგოს, —  
რატომ იყენებთ ბოროტად ჩვენს სტუმართმოყვარეობას? შე-  
ხედეთ შაჰინ-შაჰის ამ პორტრეტს, რომლის ფეხთქვეშ გართხ-  
მულია მთელი ირანი, რომლის წიაღში თქვენც იმყოფებით, და  
ამავე დროს კი ამ ბედნიერ ქვეყანაში ცოდვასა და ბოროტე-  
ბას სთესავთ“.

სერგომ გადაიქნია გრუზა თავი და ირანული ლექსით  
უპასუხა:

„ვინ არის უცოდველი ამ ქვეყნად, მითხარი?  
როგორ შეუძლია იცხოვროს მან უცოდველად, — მითხარი?  
თუ მე ბოროტებას ჩავდივარ, ხოლო შენა მსჯი, —  
რით განსხვავდები შენ ჩემგან, — მითხარი?“

ვიცე-გუბერნატორი: ოჰო! ჩვენივე მახვილით  
გვემირავ, ყმაწვილო? საიდანა ხარ?

სერგო: ერთი ყარიბი კაცი გახლავართ, რომელსაც ამ  
დუნიაზე არაფერი მახადია გარდა მხურვალე სიყვარულისა  
ირანელი ხალხისადმი, რომელმაც გაამდიდრა მსოფლიოს ის-  
ტორია საუკეთესო ფურცლებით.

ვიცე-გუბერნატორი: რაში გამოიხატება თქვენი  
სიყვარული ჩვენი ხალხისადმი, იმაში, რომ სახელს უტეხთ  
და ამცირებთ მთელი ქვეყნის წინაშე შაჰის ძალაუფლებას?

სერგო: ირანი ცნობილი იყო თავისი ვაჟკაცობით, სა-  
მართლიანობითა და ჰუმანიზმით. მე კაცთმოყვარეობა მამოძ-

რავებს. ჩაგრულთა მიმართ ღრმა სიყვარულმა გამოიწვია ში უსაზღვრო სიძულვილი გულქვა დამსჯელისადმი. წყვიტე მეშველა ჩამოფლეთილ-ჩამოკონკილი დასჯილისათვის, რომლის თვალებიდანაც აუტანელი სიღარიბე იხედებოდა, ხოლო ტიტლიკანა მისი ბავშვების ტირილმა ამანთო და მზად ვიყავი, მსგავსად პელიკანისა, ამომეგლიჯა გული და მიმეცა ამ ლატაკი ბავშვებისათვის. „ბავშვები ხომ მომავალი მამები არიან“. მე მზად ვიყავი დამეხოცა მოძალადენი, რათა სიხარული მიმენიჭებინა ბავშვებისათვის.

„სერგოს სიტყვებმა იმოქმედა ვიცე-გუბერნატორზე, — განაგრძობს საღარიბე, — მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა ინგლისურად: „ასეთი მოძღვრებით და გულფიცხობით შენი მეგობარი სიბერეს ვერ მიაღწევს“, რუსი კონსულისათვის მისაწერი წერილი დახია და კალათში გადაყარა. მიუბრუნდა სერგოს და ეუბნება — მიიღე შენი საბუთები და ნაგანი და გირჩევ, რაც შეიძლება მალე გაეცალე ირანს.

ოთახიდან რომ გამოვედით სერგო მეუბნება: „ამ ძაღლებშიაც ყოფილან სიმართლის მცველებიო“.

რევოლუციურმა მოძრაობამ ირანის სხვა პროვინციებიც მოიცვა. რეშტის შემდეგ რევოლუციონერებმა აიღეს ყაზვინი და ბოლოს ირანის დედაქალაქი თეირანიც.

სიმბოლური იყო კავკასიელი რევოლუციონერების მონაწილეობა ამ ბრძოლაში. ისინი ირანში ჩავიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიახვის კაზაკებმა მეჯლისი დაარბიეს. ირანის შაჰის კავშირს რუს მეფესთან დაუპირისპირდა ამ ორი ქვეყნის რევოლუციური ძალების კავშირი.

კავკასიელი რევოლუციონერები აქტიურად მონაწილეობდნენ გაჩაღებულ სამოქალაქო ომში, უჩვენებდნენ საბრძოლო მამაცობის შესანიშნავ მაგალითებს, რითაც აღაფრთოვანებდნენ ირანელ რევოლუციურ მებრძოლეს. ბევრმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა მოძმე ხალხის განთავისუფლებას. ბევრი მათგანის სახელი აქამდე გაურკვეველია. ბრძოლებში დაიღუპა 22 კავკასიელი სოციალ-დემოკრატი. ვ. ტრიას (ვლასა მგელაძე) ბროშურიდან — „კავკასიელი სოციალ-დემოკრატები სპარსეთის რევოლუციაში“ — ცნობილი არიან: ვალიკო ბაქ-



რადე<sup>1</sup>, ვლადიმერ დუმბაძე, სანდრო ვეშაგური, გიორგი მჭედუნი, ხვარი, ჭიტა, პეტრე ფოჩხუა, ნაცვლაძე, პულსი, რომლებმაც თავრიზის ბრძოლაში დაიღუპნენ<sup>2</sup>.

კვლევის პროცესში ჩვენ დავინტერესდით ირანის რევოლუციაში მონაწილე სხვა ქართველი ვოლონტიორების ვინაობითა და ბედით და ვნახეთ, რომ იმ პირებს გარდა, რომლებსაც ყურნალი „ისტორიკ მარქსისტი“ ასახელებს<sup>3</sup>, ბათუმიდან ირანს ჩასულა რევოლუციონერ მებრძოლთა რაზმი ვლადიმერ ჯიბლაძის, ალექსანდრე დგებუაძის, სილოვან ივანიძის, ვარდენ თიკანაძისა და სხვათა შემადგენლობით.


ყოფილა აგრეთვე შალვა დოლიძე, რომელიც თავრიზის ბრძოლაში დაღუპულა.

ირანის რევოლუციის ზოგიერთი მონაწილე ახლაც ცოცხალია. მათ შორის უნდა დავასახელოთ ძველი რევოლუციონერი, პარტიის წევრი 1905 წლიდან, ამჟამად პერსონალური პენსიონერი აპოლონ (მიშა) გლახოს ძე ჯაფარიძე. მისი გადმოცემით, მასთან ერთად ირანში იბრძოდნენ თბილისელები: კაკო კორინთელი, სედრაკ ზარიძე, ვანო კარაპეტოვი (დავახეთქე), გორია მენაბდიშვილი, ბერძენი სანდრო, პეტრე (ოქროყანელი), დათიკო (ავლაბრელი), გიგო (გორელი), მიშა ძაგანია, საშა (ავლაბრელი), მიშა ბოგდანოვი, ლუკა ქოიავა, აპოლონ, სერგო, ალექსანდრე და სხვები, სულ 11 — 12 კაცი. მათ გარდა, გვაუწყა ამხ. აპოლონმა, ბათუმიდან ჩამოვიდა კიდევ 10 კაცი. ეს ის ამხანაგები უნდა იყვნენ, რომლებსაც ყურნალი „ისტორიკ მარქსისტი“ ასახელებს. ამხ. აპ. ჯაფარიძე ასახელებს კიდევ ერთ ქართველ რევოლუციონერს, რომელსაც

<sup>1</sup> ვალიკო ბაქრაძე (პარტიული სახელი „ყელეზნი“) სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთ-იაპონიის ომის საწინააღმდეგო მოსწავლეთა დემონსტრაციაში. აქტიური რევოლუციური მუშაობისათვის 1904 წლის დამდეგს გარიცხეს გიმნაზიიდან. 1904 — 1905 წლებში მუშაობდა ქიათურის ორგანიზაციაში და აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლაში. 1906 წელს გადავიდა ბაქოში, საიდანაც ამხანაგების ჯგუფთან ერთად გაიგზავნა ირანს. დაიღუპა თავრიზის ბრძოლაში.

<sup>2</sup> В. Т р и а. Кавказские социал-демократы в персидской революции, изд. газ. „Социал-демократ“. Париж, 1910.

<sup>3</sup> „Историк марксист“, 1940, № 11, стр. 94.



„სერგო გურჯს“ ეძახდნენ. საერთოდ, დასძენს ამხ. აპოლონი. ყველა კავკასიელს ირანელები „გურჯებს“ გვეძახდნენ. მან მოხალისე კავკასიელ მებრძოლ რევოლუციონერებს შორის უმეტესობას ქართველები შევადგენდითო. კონსპირაციის მიზნით ბევრის გვარი არ ვიცოდით და მეტწილად ერთმანეთს საკუთარი, ან შერქმეული სახელებით მივმართავდითო.

ეს „სერგო გურჯი“ კი როგორც გამოვარკვით, ყოფილა ხაშურის რაიონის სოფ. ავლევის მცხოვრები სერგო გიორგის ძე გამდლიშვილი, რომელიც ადრე ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში და გადაუსახლებიათ ოლონეცის გუბერნიაში, საიდანაც გამოქცეულა, ჩასულა ბაქოში და სამუშაოდ ფოსტაში მოწყობილა. იქიდან გაუგზავნიათ ირანს სხვა მოხალისე კავკასიელ რევოლუციონერებთან ერთად. როგორც აპ. ჯაფარიძემ გადმოგვცა, „სერგო გურჯი“ დროდადრო ათავსებდა კორესპონდენციებს გაზეთ „რუსსკოე სლოვოში“. ირანიდან დაბრუნებული სერგო გამდლიშვილს საზღვარგარეთ გაპარვა განუზრახავს, მაგრამ შეუპყრიათ, გაუსამართლებიათ ეკატერინოდარში (ახლა კრასნოდარი) და 29 წლის ვაჟკაცი სიკვდილით დაუსჯიათ 1910 წელს.

სერგო გამდლიშვილის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მისმა ძმამ იასონმა, რომელიც 1905—1907 წლების პერიოდში ბაქოში ყოფილა აგრეთვე და მონაწილეობა მიუღია რევოლუციურ მოძრაობაში. ამჟამად იგი პენსიონერია და ქ. ხაშურში ცხოვრობს. იასონს ახსოვს ირანის რევოლუციის ამბები. მან თავისი ძმის გარდა დაგვისახელა ამ რევოლუციაში მონაწილე ჩვენი თანამემამულეები: კაკო დ გიორგი გომელაურები — კახეთიდან, რაჭველები — ნიკო მასხარაშვილი, გიორგი გიორგობიანი, ვასილ დვალი, ვანო გოცირიძე და ნიკოლოზ გერსამია — ქუთაისიდან.

ამხ. აპ. ჯაფარიძეც ადასტურებს, რომ ირანიდან გამოსული „სერგო გურჯი“ დაუპატიმრებიათ კაკო კორინთელთან და სედრაკ ზარიძესთან ერთად და სამივენი ჩამოუხრჩვიათ. |

თბილისში ცხოვრობს აგრეთვე ირანის რევოლუციის მეორე მონაწილე, ისიც გვარად ჯაფარიძე — დავით ვლადიმერის ძე. მას უფრო ადრე უბრძოლია ირანში.

დავითი რევოლუციური ოჯახიდანაა, მისი ძმა ალექსანდრე და და ნინო ბაქოში ცხოვრობდნენ და, როგორც პარტიული აქტიური წევრები, მსურვალე მონაწილეობას იღებდნენ 1905—1907 წლების რევოლუციაში. იმჟამად მათთან ცხოვრობდა ახალგაზრდა დავითიც და ეხმარებოდა და-ძმას.

„1908 წლის აგვისტო იქნებოდა, — იგონებს ამხ. დავითი, მე დამევალა მონაწილეობა მიმედლო რაზმში, რომელიც ირანს იგზავნებოდა შაჰის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერის სათარ-ხანის დასახმარებლად. რაზმის უფროსად დაინიშნა დუმბაძე, თანაშემწედ — ბაქრაძე („ეელენი“). ბაქოდან 30 კაცი გავემგზავრეთ: დუმბაძე, ბაქრაძე, ლაზარე გაჩეჩილაძე, ვიქტორ (ფირუზა) ნასარიძე, დავით მხეიძე, წვერავა, მეუნარგია (თერძი იყო), აგრეთვე ერთი მეგრელი, სახელიად კოლა, ერთიც, რომელსაც „ტერორისტ“ ეძახდნენ, და ორიც სხვა უცნობი, რომელთა გვარი და სახელი მაშინაც არ ვიცოდით.

დავანაწილდით 10—10 კაციან ჯგუფებად და ისე წავედით. ჩვენს ჯგუფს თან მიჰქონდა ორი ჩემოდანი სავსე ავჭალის ბომბებითა და „მაუზერის“ სისტემის რევოლვერებით. ბაქრაძე, წვერავა და გაჩეჩილაძე თავრიზის ბრძოლაში დაიღუპნენ“. (ამ ცნობების მოწოდებისათვის ამხანაგებს აპოლონ, დავით ჯაფარიძეებს და იასონ გამდლიშვილს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. — ა. კ.).

საბოლოოდ ირანში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, შაჰი ალი მაჰმადი ტახტიდან გადააგდეს და მის ნაცვლად გაამეფეს 14 წლის უფლისწული ახმედ-მირზა. შეიქმნა მემამულეთა და ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ხელისუფლება. კონსტიტუცია აღდგა. 1909 წ. ნოემბერში გაიხსნა მეორე მეჯლისი.

მაგრამ ყოველივე ეს ხანმოკლე აღმოჩნდა. 1910 წლის აგვისტოში კვლავ რეაქციამ გაიმარჯვა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> М. Павлович, С. Иранский. Персия в борьбе за независимость, М., 1925, М. С. Иванов. Иранская революция 1905—1911 годов, М., 1957.



როგორც აღნიშნული გვექონდა, „სერგომ ერთ წლებში ირანში დაჰყო და უმეტესად მუშაობდა რეშტი — გილანის პროვინციის ცენტრში, რომელიც ირანის ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური პროვინცია იყო 1909—1910 წლებში. აქ სერგო აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში, ხშირად გამოდიოდა მასობრივ კრებებსა და მიტინგებზე, ცდილობდა შეექმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, სერგომ უშუალო მონაწილეობა მიიღო თავრიზისა და გილანის რევოლუციური მასების ბელადის სათარ-ხანის მეთაურობით ამხედრებული გილანის რევოლუციური ორგანიზაციების საბრძოლო ლაშქრობაში თეირანის წინააღმდეგ, სადაც ჯერ კიდევ შაჰის ხელისუფლება იყო“<sup>1</sup>.

ბიოგრაფიის იმ ნაწილში კი, სადაც ლაპარაკია სერგოს ლიტერატურულ-ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე, ვკითხულობთ:

„რეშტი ყოფნის დროს გ. კ. ორჯონიკიძე დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, იგი ამიერკავკასიის საზოგადოებრიობას აწვდიდა ვრცელ და ობიექტურ ინფორმაციას ირანის ამბების, დემოკრატიულ გარდაქმნათა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ირანის ხალხის ბრძოლის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ შეკრეს პირი ირანის რეაქციულმა ძალებმა რუსეთის თვითმპყრობელობასთან, ირანში ცარიზმის კოლონიაური პოლიტიკის შესახებ. 1910 წლის თებერვალ-აგვისტოში<sup>2</sup> ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „ახალ სხივში“, „ჩვენ გაზეთში“ და „სხივში“ ხშირად იბეჭდებოდა „ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის“<sup>3</sup> ღრმად გააზრებული, ცოცხლად და ტემპერამენტიანად დაწერილი სტატიები და ნარკვევები (ხაზგას-

<sup>1</sup> გ. კ. ორჯონიკიძე (სერგო) ბიოგრაფია, გვ. 48 — 49.

<sup>2</sup> უნდა იყოს იანვარ-აგვისტოში. სერგოს პირველ „წერილებს სპარსეთიდან“ ვხვდებით გაზეთ „მომავლის“ 1910 წ. 19 და 30 იანვრის ნომრებში.

<sup>3</sup> უნდა იყოს „საკუთარი კორესპონდენტის“. სერგოს ყველა წერილს აწერია „საკუთარი კორესპონდენტისაგან“.



მა ჩვენი — ა. კ.) სათაურებით „წერილები რეზტიდან“ და „წერილები სპარსეთიდან“ „სერგო კლდისძირელის“ ხელმოწერით. ასეთი იყო იმხანად გ. კ. ორჯონიკიძის ლიტერატურული ფსევდონიმი<sup>1</sup>.

სავსებით სწორად და მართებულად მიუთითებენ ბიოგრაფიის ავტორები, რომ „თავის სტატიებში გ. კ. ორჯონიკიძე იძლეოდა ირანის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის დრმა ანალიზს, დაწვრილებით აშუქებდა ირანის ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლას უცხოელი დამპყრობლებისა და საკუთარი ფეოდალების წინააღმდეგ“<sup>2</sup>.

და აი, მივადექით ჩვენი კვლევის საგანს — სერგო ორჯონიკიძის ყურნალისტურ მოღვაწეობას. ვნახოთ როგორი იყო სერგო როგორც საკუთარი კორესპონდენტი.

ყურნალისტური პრაქტიკა ორგვარ კორესპონდენტს იცნობს: არიან კორესპონდენტები, რომლებიც ფოტოგრაფიულად, მშრალად, უსიცოცხლოდ, ობიექტივისტურად აღწერენ მოვლენებს, სოციალური და პოლიტიკური არსისათვის ხაზის გაუსმელად, პარტიული ტენდენციის გარეშე, მაშინ როდესაც უპარტიო, კლასგარეშე ყურნალისტიკა არც არასოდეს არსებულა და არც შეიძლება არსებობდეს.

ყურნალისტობა ერთ-ერთი ყველაზე მოუსვენარი პროფესიაა, რომლის საფუძველს შეადგენს პოლიტიკა, პარტიის პოლიტიკა და ხალხის სამსახური. ყურნალისტობა შემოქმედებაა უპირველეს ყოვლისა და ის, ვისაც შემოქმედებითი უნარი არ გააჩნია, იგი ყურნალისტად ვერ ჩაითვლება. ვინც ამ პროფესიას ირჩევს, მან უნდა იცოდეს, რომ თუ მუდმივად შემოქმედებით ძიებაში არ იქნება, თუ მხარ-თედოზე წამოწვება და განცხრომას მიეცემა, ვერაფერს ვერ მიაღწევს, არაფერი გამოუვა, გაიყინება და ცხოვრება გარიყავს.

ჭეშმარიტი ყურნალისტი, უწინარეს ყოვლისა, მებრძოლი, პოლიტიკურად მახვილი მუშაკი და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც არაფერი არ რჩება შეუმჩნეველი, რა-

<sup>1</sup> გ. კ. ორჯონიკიძე (სერგო) ბიოგრაფია, გვ. 49 — 50.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 50.



საც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ლეზა ჰქონდეს. ყოველ მოვლენას იგი პარტიული თვალით და კლასობრივი თვალსაზრისით განიხილავს; ამასთან, აშკარად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ფაქტისა და მოვლენისადმი, რითაც ეხმარება მკითხველს მოვლენის სოციალური და პოლიტიკური არსის სწორად გააზრებაში.

არიან ჟურნალისტები, რომლებიც თავის „მებრძოლობას“ გაწიწმატებით გამოხატავენ.

სასტიკად არ უყვარდა ასეთი „პუბლიცისტები“ ვ. ი. ლენინს და ყოველთვის ჰკიცხავდა მათ. ვ. ი. ლენინი დაჟინებით იბრძოდა „პრავდის“ მებრძოლი, შემეტევი სულისკვეთებისათვის, იმისათვის, რომ გაზეთს მწვავედ, „მრისხანედ“ ეწარმოებინა პოლემიკა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ვერ ურიგდებოდა ზოგიერთი ლიტერატორის ფუჭე „გაწიწმატებას“. 1919 წლის 16 ნოემბერს „ზა პრავდუს“ რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში ლენინი მიუთითებდა:

„რედაქტორს“: ცუდია „სვოსის“ სტატია № 25-ში. გაწიწმატებაა და მეტი არაფერი. ღვთის გულისათვის, გაწიწმატება ნაკლები იყოს. დინჯად გაარჩიეთ საბუთები და გაიმეორეთ სიმართლე რაც შეიძლება საფუძვლიანად, მარტივად. ასე და მხოლოდ ასე იქნება უზრუნველყოფილი უთუოდ გამარჯვება“<sup>1</sup>.

მაშასადამე, ლიტერატორის, პუბლიცისტის, ჟურნალისტის მებრძოლური, შემმართებელი სულისკვეთება გამოირიცხავს ფუჭ, ამოაო გაწიწმატებას, ლანძღვა-გინების ტონსა და სიმკვახეს. სიდინჯეს, მოსაზრებათა და საბუთების გარჩევაში სიმართლის რაც შეიძლება საფუძვლიანად და მარტივად გარჩევას — აი, რას გვირჩევს ჩვენი ბრძენი მასწავლებელი.

ჟურნალისტი-კორესპონდენტი ვნებადაწურული, ფაქტების გულცივი აღმრიცხველი როდია. იგი თავდაპირველად საზოგადოებრივი აზრის ორგანიზატორი, პუბლიცისტური ალლოთი აღჭურვილი ადამიანია, რომელსაც უნარი შესწევს იმსჯელოს მოვლენებზე და სწორი გაშუქება მისცეს მათ.

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამ. ტ. 35, გვ. 112.

ასეთია ნამდვილი შემოქმედებითი ჟურნალისტი, იქნება იგი საკუთარი კორესპონდენტი, რეპორტიორი, ფელეტონის ან თუ კომენტატორი.

ასეთნაირად გვევლინება ჩვენ სერგო ორჯონიკიძეც ირანდან გამოგზავნილ თავის მრავალ წერილსა და ნარკვევში.

საერთოდ, სერგო მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა უბანზე უგულოდ და გულგრილად არავითარ საქმეს არ მოჰკიდებია. ყოველ პარტიულ დავალებას გულმხურვალედ ჰკიდებდა ხელს; ყოველ საქმეში სულსა და გულს სდებდა და არ ისვენებდა, ვიდრე საქმეს სასურველად არ დააგვირგვინებდა.

„საკუთარი კორესპონდენტი“, „ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან“ — გაზეთში ამ რემარკებს რომ წაიკითხავთ, გჯერათ, რომ გესაუბრებათ გაზეთის რწმუნებული; ეს იმას ნიშნავს, რომ ვარკვეულ რაიონში გაზეთს ჰყავს თავისი წარმომადგენელი, რომელიც კარგად არის ჩახედული ადგილობრივ საქმეებში და გჯერათ, რომ იგი სიმაართლითა და სისწოროთ გააშუქებს თქვენთვის საინტერესო ამბებსა და მოვლენებს. მეტიც შეიძლება ითქვას, თუ ჩვენი ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ტრადიციებით ვიხელმძღვანელებთ, საკუთარი კორესპონდენტი გაზეთის მარტოოდენ ლიტერატურული მუშაკი როდია, იგი გაზეთის აგენტია თავის სამოქმედო რაიონში. ხოლო თუ რას ნიშნავს გაზეთის აგენტობა, ეს დღეს ყოველი საბჭოთა ჟურნალისტიც თავის კარგადაა ცნობილი. სწორედ ეს აგენტები არიან დღევანდელი საკუთარი კორესპონდენტების წინამორბედნი.

ორგანიზატორული ფუნქცია ბოლშევიკი ჟურნალისტიც თავის ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი უმთავრესი მხარე მისი მოღვაწეობისა. მას ყველაფერი აინტერესებს, წერს საქმის ცოდნით იმაზე, რაც ღრმად შეუსწავლია, წერს მეცნიერული კეთილსინდისიერებით, მიზანსწრაფულად, ლამაზად, მიმზიდველად, მარტივად, ლიტერატურული პრანჭიაობის გარეშე. საკუთარი კორესპონდენტი მახვილი პუბლიცისტიც უნდა იყოს, უამისოდ იგი ვერ შექმნის საზოგადოებრივ აზრს.

კორესპონდენტის როლსა და დანიშნულებას რომ ასე

ვრცლად შევებეთ, ეს სერგოს ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან განსაკუთრებით გვიკარნახა.

სწორედ ამ თვისებებს ამჟღავნებს იგი თავის სტატიებსა და ნარკვევებში, რომლებიც დღეს, ექვსი ათეული წლის შემდეგ ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც უთუოდ ამ სამოცი წლის წინათ კითხულობდნენ.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი თავის დროზე საკუთარ კორესპონდენტებს მიუთითებდა, რომ ყოველი კორესპონდენცია ხანგრძლივი დროისათვის უნდა იწერებოდესო<sup>1</sup>. ესე იგი, რა დრო-ყამსაც არ უნდა წაიკითხო, ყოველთვის ინტერესი გამოიწვიოსო. დღეს მ. ი. კალინინის ამ სიტყვებს რომ კითხულობთ, გგონიათ, თითქოს მას სერგოს 1910 წელს დაწერილი კორესპონდენციები ჰქონდა მხედველობაში. ამასთან მიხეილ ივანეს ძე ურჩევდა კორესპონდენტებს: თუ გინდათ თქვენმა კორესპონდენციამ ადამიანები ააღელვოს, მასში ცოტაოდენი საკუთარი სისხლი ჩაურიეთო<sup>2</sup>.

შესანიშნავად არის ნათქვამი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, სერგოს პირველი „წერილი“ დაბეჭდილია გაზეთ „მომავალში“.

ქალაქ რეშტიდან გამოგზავნილ ამ წერილში ავტორი ეხება სწავლა-განათლების საკითხს. ავტორს ახარებს, რომ „ამ საქმეზე რევოლუციას თავისი კეთილი გავლენა მოუხდენია“.

„განახლებული სპარსეთი ჯეროვან ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლებას, — წერს კორესპონდენტი. — იგი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ სწავლა-განათლებას შეუძლია გახადოს იგი კულტურული და განათლებული ერი. ამიტომაც კონსტიტუციური სპარსეთი ამ ერთი წლის განმავლობაში შეუდგა სკოლების მოწყობის საქმეს. „წარსულ წლამდეო, — განაგრძობს ავტორი, — აქ მხოლოდ „მოლების სკოლები“ იყო და არც ერთი ხეირიანი სკოლა არ მოიპოვებოდაო. შემდეგ აღწერილია, თუ როგორ ასწავლიდნენ ბავშვებს ამ სკოლებში: „მოლების სკოლები“... ბავშვებს ტვინს ულაცებდა

<sup>1</sup> Большевицкая печать, сборник, часть 2, стр. 306.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 308.

და მეტს არაფერს აძლევდა. ასეთი სკოლები მეჩეთების მსგავსად ლობლად იყო გამართული. მოწაფეები იატაკზე იყვნენ მუხლმოკეცილი, წინ „ყურანი“ ედვით და ყველა ერთხმად კითხულობდა. მათი „განმანათლებელი“ მოლა იქვე მანგალის მახლობლად ხელებს ითბობს და ბავშვებს ყურს არ უგდებს, ან კიდევ რამე თავის საქმეს აკეთებს“.

შემდეგ კორესპონდენტი წერს, რომ ასეთი სკოლები ახლაც საკმარისად არსებობს, მაგრამ მათი „მაზანდა“ დაეცა, რომ წარსული წლიდან ყველა ქალაქში დაარსდა ნამდვილი ევროპული სკოლებიო. შემდეგ მოთხრობილია ამ „ნამდვილი ევროპული“ სკოლების მუშაობაზე. ის, თუ რა ინტერესით ეკიდება მათ ხალხი, რომ რეშტის შვიდ ასეთ სკოლაში უკვე 800 მოსწავლე სწავლობსო და ბოლოს ასკვნის: „რასაკვირველია, ამ სკოლებსაც აქვს ჭერჭერობით ნაკლი, მაგრამ ისე შეუძლებელიც არის ამყამად“. როგორც წერილიდან ირკვევა, მასწავლებლები საკმარისი არ ჰყოლიათ. ამ სკოლების განმგებელი კომისიის („მთარეფი“) პრეზიდენტს აბდულ-ზადეს, რომელსაც სერგო პატივისცემით მოიხსენიებს, ბევრჯერ შეუჩივლია მისთვის (სერგოსათვის), რომ ერთი ხეირიანი, საქმის მცოდნე ლექტორი ვერ ვუშოვე „რეშტიესო“ (გიმნაზია).

იმავე „წერილში სპარსეთიდან“ სერგო აღწერს „შახსეივახსეის“ და გვაუწყებს, რომ რევოლუცია ამ საშინელ ზნეჩვეულებასაც ნიადაგს აცლისო. „რევოლუციას აქაც მოუხდენია თავისი მძლავრი და განმანათლებელი გავლენა!“ — წერს იგი.

შემდეგ წერილში „სერგო კლდისძირელი“ ეხება ირანში იმ დროს არსებულ საგადასახადო სისტემას, რაც უდიდეს ტვირთად აწვა ღარიბ ხალხს. გუბერნატორს, როგორც ამ წერილიდან ვიგებთ, მთავრობა ჯამაგირს არ აძლევდა და თვითონ „რამდენიც უნდოდა, იმდენს ახდევინებდა... დაბეჩავებულ და გაძვალ-ტყავებულ სპარსელს“<sup>1</sup>.

სერგო ფართოდ და ღრმად იხილავს სესხის საკითხს.

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა მწვავედ მდგარა ეს საკითხი ირანის მთავრობის წინაშე, საჭიროდ

<sup>1</sup> „მომავალი“, № 116, 1910 წ. 19 იანვარი.



მივიჩნიეთ ვრცელი ამონაწერი მოვიყვანოთ ამ საკითხზე  
 „ახალ სხივში“ მოთავსებული წერილიდან. იგი იმის შესახებ  
 ნაგი ილუსტრაციაც იქნება, რა ზედმიწევნით შეუსწავლია  
 კორესპონდენტს ეს საკითხი.


„ამჟამად სპარსეთის წინ მეტად დიდი მნიშვნელობის სა-  
 კითხი დგას, — წერს სერგო. — მეტი არ იქნება თუ ვიტყვით,  
 რომ ამ კითხვის დაბოლოვებაზე არის დამყარებული სპარსე-  
 თის არსებობის ბედ-იღბალი. ეს კითხვაა — სპარსეთის დღე-  
 ვანდელი ფინანსური მდგომარეობის გამოკეთება. მკითხვე-  
 ლებმა უკვე იციან, რომ ყოფილმა შაჰმა სპარსეთი „დაგირა-  
 ვებული“ დატოვა. საუკეთესო გზატკეცილები უცხო სახელ-  
 მწიფოთა ხელშია, დამოყენები დაგირავებულია, საიდანაც შე-  
 მოსავლის ორი ნაწილი რუსეთს მიაქვს და ერთი შემოსავლი-  
 ანი წყარო არ რჩება თვით სპარსეთს. ამას ზედ ერთვის დაახ-  
 ლოებით 35 მილ. მანეთამდის რუსეთის ვალი, ხელ-ფეხ შემ-  
 ბორკველი ხელშეკრულება რუსეთთან. ამ ხელშეკრულების  
 ძალით სპარსეთს არ შეუძლია სანამ რუსეთის ვალს არ გადა-  
 იხდის, სხვა ვალი აიღოს რუსეთის დაუთანხმებლად. ამჟამად  
 ხაზინა ცარიელია, ხალხი ძაღვზე გალატაკებულია, სპარსეთის  
 აღორძინება კი ფულს თხოულობს. ასეთ პირობებში უხდება  
 მუშაობა სპარსეთის მთავრობას და მეჯლისს. ან უნდა გამო-  
 იყვანონ მათ სპარსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწი-  
 ფო დღევანდელი უკიდურესი კრიზისისაგან, ანდა სპარსეთი  
 უნდა დაიღუპოს. ცხადია, მისია ადვილი არ არის. ამ ცოტა  
 ხნის წინათ მთავრობამ მეჯლისის თანხმობით რუსეთ-ინგლისს  
 მიმართა სესხისათვის. მთავრობამ სთხოვა მიეცა მისთვის, სა-  
 ნამ საბოლოოდ გამოირკვეოდეს ახალი სესხის კითხვა, ავან-  
 სად 5 მილ. მანეთი, მაგრამ როგორც ყოველთვის, ისე აქაც,  
 ყველამ თავისი სარგებლობისაკენ გასწია ხელი. მათ კარგად  
 იციან დღევანდელი სპარსეთის მდგომარეობა და ამიტომ ისე-  
 თი პირობები წამოაყენეს, რისი მიღებაც თავისი ხელით ყე-  
 ლის გამოჭრას ნიშნავს. მათ უპასუხეს: ფული მიირთვით,  
 მაგრამ მის დახარჯვაზე კონტროლი ჩვენ ჩავვაბარეთო. ფული  
 მიირთვით, მაგრამ ჩრდილოეთ სპარსეთში ყანდარმერიის  
 მოწყობის ნება მოგვეცითო. ასეთი პირობების მიღება კი



სპარსეთისათვის დამოუკიდებლობის გამომშვიდობებას ნიშნავს. ამას მიხვდა რადიკალური გაზეთი „ირანო“<sup>1</sup> და თად მოუწოდა ხალხს პროტესტი გამოეცხადებინა უცხო სესხის წინააღმდეგ. მან ნათლად დაახასიათა წამოყენებული პირობები, აღნიშნა წამომყენებელთა სულისკვეთება და ასე დაათავა თავისი მოწოდება: „ჩვენი ვალია არ დავზოგოთ არაფერი სამშობლოს განსაცდელისაგან გამოსაყვანად და თუ დაღუპვა აუცილებელია, დეე, დავიღუპოთ ბრძოლაში!“ როგორც მკითხველებს ტელეგრამებიდან უკვე ეცოდინებათ, „ირანოს“ მოწოდება არ დარჩა „ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“. მას ფიცხლავ გამოეხმაურა თეირან-შირაზ-ისპაჰანი, აღნიშნულ ქალაქებში გაიმართა უცხო სახელმწიფოთა სესხის წინააღმდეგ მიტინგები და ხალხმა შინაური სესხის მიცემა აღუთქვა მთავრობას. რამდენად შეასრულებენ თავიანთ დაპირებას, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი მინდა აღვნიშნო, თუ როგორ მონაწილეობას იღებს რეშტი და საზოგადოდ გილანის პროვინცია ასეთ დიდმნიშვნელოვან კითხვის გადაწყვეტაში. რეშტმა თავისი რევოლუციური გამოსვლით იმ დროს, როცა გარეშე ძალის მეოხებით შეუძლებელი შეიქმნა ბრძოლა თავრიზში, თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა სპარსეთის რევოლუციაში. ეხლა კი სდუმს. სწორედ იმ დროს, როდესაც ირანის არსებობის კითხვა უნდა გადაწყდეს, აქ დღემდის არაფერი არ ვაკეთებულა. თუ სხვა ქალაქებში ფული იკრიბება და კრებები იმართება, რეშტში ქუჩა-ქუჩა დადიან და მკერდში ხელს იცემენ. რით აიხსნება ასეთი გულგრილობა? შეიძლება სიღარიბით? არა. რეშტი ერთი უმდიდრესი ქალაქთაგანია. აქედან გადის რუსეთიდან შემოსული საქონელი, აქ არსებობს აბრეშუმის პარკის მრავალი ქარხანა, აქედან გადის აუარებელი ბრინჯი საზღვარგარეთ.

მაშასადამე, სიღარიბეზე ლაპარაკი შეუძლებელია. მიზეზი სულ სხვაა და ამაზე მინდა გადავიდე. აქ არსებული

<sup>1</sup> ირანული ტრანსკრიპციით ამ გაზეთს ეწოდებოდა „ირან-ენოვ“. ავტორი მას მოიხსენიებს ისე, როგორც ზებირ მეტყველებაში მოიხმის და ზოგჯერ „ირანოს“ წერს, ზოგჯერაც „ირან-ნოვს“.



სი მდიდრის უმეტესობა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა ხელშია. (ხაზგასმულია — ა. კ.). მაგ., პარკის საუკეთესო ქარხნები ბერძნების ხელშია. საუკეთესო მალაზიები რუსეთის ქვეშევრდომი სპარსელების ხელში, აგრეთვე ვაჭრობის დიდი ნაწილი სომხების ხელშია. ცხადია, მათ არც ერთს არ აინტერესებს სპარსეთის არსებობა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. მათი დევიზია — ოქროები ჯიბეში და ირანი თუნდაც ეშმაკების ხელში. ეს არც გასაკვირველია. რას შერება მკვიდრი სპარსელი, რათ არ იღებს ხმას? არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ არ იყონ ჯიბე ჩასქელებული სპარსელები. მათი რიცხვი არც ცოტაა, მაგრამ მაინც სდუმან. ამასაც თავისი მიზეზი აქვს<sup>1</sup>.

ირანის ფინანსურ მდგომარეობას სერგო მოგვიანებითაც ეხება. ეს ბუნებრივიც არის. ქვეყნის სვე-ბედისათვის ფინანსური საკითხი არსებობის საკითხია და, სავსებით გასაგებია, რომ დაკვირვებული კორესპონდენტი მას ასე დიდ ყურადღებას უთმობს, ღრმად ერკვევა მასში და აღწერს სიმართლითა და სიზუსტით. იგი მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ირანის ფინანსური მეურნეობის კრიზისულ მდგომარეობას.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ყურნალ „სხივი“ დაბეჭდილი სტატია „სპარსეთის ვითარება“, რომელიც აგრეთვე მთლიანად მოგვყავს:

„სპარსეთის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა მეტად ძნელ კრიზისს განიცდის. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაზე დამოკიდებული დღევანდელი სპარსეთის ბედ-იღბალი. სპარსეთის ხელში არ დარჩენილა არც ერთი შემოსავლიანი წყარო, გარდა გაძვალტყავებული ხალხისა, რომელიც სულს დაფავს აუტანელი გადასახადების გამო. ამავე დროს შეძლებული სპარსელი ხანები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებად ხდებიან, ანდა თავიანთი ქონება ამ უკანასკნელთა მფარველობის ქვეშ შეაქვთ. მაგალითად, პრემიერ-მინისტრ სეპეხდარის<sup>2</sup> ქონება რუსეთის

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 29, 1910 წ. 10 მარტი.  
<sup>2</sup> სეპეხდარი — მსხვილი მემამულე, ოპოზიციაში ედგა შაჰს და ერთგვარი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. კონსტიტუციური






მისიის მფარველობის ქვეშაა, იუსტიციის მინისტრის სერჯო  
 მანსურის ქონება ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება.  
 ასეთი მაგალითები მრავალია, მაგრამ ჩვენ ეს ორი მოვიყვანეთ  
 როგორც უფრო დამახასიათებელი. მაგალითად, წლინახევ-  
 რის განმავლობაში მარტო გილანში რუსეთის ქვეშევრდომად  
 700—1000 კაცი გამხდარა. რუსეთის კონსულმა გილანში გა-  
 ნუცხადა რუსეთის ქვეშევრდომთ, რომ მათ არ მიეცათ სპარ-  
 სეთის მთავრობისათვის მიწის ბაჟი. ყველა შემოსავლიანი  
 წყაროები ან უცხო სახელმწიფოებსა აქვთ ხელში და ან კერძო  
 პირებს. მაგალითად, საუკეთესო გზატკეცილები რუსეთისა  
 და მის ქვეშევრდომთა ხელშია. დამოუკნები იჯარით არის გა-  
 ცემული ბელგიელებზე, რომლის შემოსავლის ერთი მესამედი  
 რუსეთს მიაქვს ვალის სარგებლობაში. ამას ზედ ერთვის რუ-  
 სეთთან დადებული ის შემბოჭველი ხელშეკრულება, რომლის  
 ძალითაც სპარსეთს სხვა სახელმწიფოებთან სესხის აღების  
 უფლება არა აქვს, ვიდრე ის რუსეთის ვალს არ გადაიხდის.  
 რუსეთის სესხი კი დაახლოებით 35 მილიონ მანეთს უდრის.

სპარსეთის სათავეში მდგომმა მთავრობამ ჯერჯერობით  
 ვერაფერი იღონა ფინანსური მდგომარეობის გამოსაკეთებ-  
 ლად. გარეშე სესხი არ მოხერხდა, რადგან რუსეთ-ინგლისმა  
 ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ მთავრობა იძულებული  
 გახდა სესხზე უარი ეთქვა. ვერც შინაური სესხის საქმე მი-  
 დის კარგად. ამაში ბრალი მიუძღვის მთავრობასაც, დღემდე  
 ვერავითარი გეგმა ვერ მიაწოდა ხალხს სესხის გას აღდებ-  
 ლად. ამ ორი თვის წინათ, როცა გაზეთ „ირან-ნოვის“ მეთა-  
 ურობით მთელი სპარსეთი ამოდრავდა შინაური სესხის სასარ-  
 გებლოდ, შესაძლო იყო რამე გაკეთებულიყო, მაგრამ ახლა,  
 როცა სეპეხდარმა შინაური რეაქციისაკენ ქნა პი-  
 რი და როცა სესხზე აგიტაციაც მიჩუმდა, მეტად ძნელია ამ  
 მხრით რაიმეს გაკეთება. ეფრემის მეთაურობით მთავრობამ  
 შემოიღო აქციზი სასმელებზე, თამბაქოსა და თრიაქზე, მაგ-  
 რამ ეს საქმეც მარტო თეირანშია გვარიანად დაყენებული. ამ  
 ორი თვის წინათ მთავრობა შეეცადა სხვა ქალაქებშიც შემო-

რეჟიმის დროს მთავრობის მეთაური იყო. გამოხატავდა ლიბერალური  
 ფეოდალური მიწათმფლობელებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს.








ელოთ იგი, მაგრამ ხალხის პროტესტმა მას უკან დაახევინა. ასე მოხდა რეშტში. ამ ბოლო ხანებში დაიგზავნა მოხელეები აქციზის მოსაწყობად, რომლებიც შეუდგნენ კიდევ საქმეს, მაგრამ პროტესტი მათაც მძლავრია. აქციზის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან ინჩაისტები<sup>1</sup>. სამაგიეროთ დაშნაკცაკანე-ბი<sup>2</sup> მხარს უჭერენ აქციზს, როგორც მათი ბელადის მიერ შემოღებულს. ფინანსთა მინისტრმა სცადა მარილზე მონოპოლიის შემოღება, მაგრამ ამით შინაური მარილის ფასმა აიწია და მისი ადგილი შემოტანილმა მარილმა დაიჭირა...

თუ ყველა ამასთან გავიხსენებთ, რომ სპარსეთში დღეს თითქმის არავითარი მრეწველობა არ არის, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია დღეს სპარსეთის ფინანსები, ეს უმთავრესი ძარღვი სახელმწიფოს არსებობისა. (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.).

ამას კარგად ხედავს გერმანიის ბურჟუაზია და ამიტომაც დაიწყო გემრიელი ლუკმისაკენ ხელის პოტინი. ხალხის სულბერი განწყობილებაც ხელს უწყობს გერმანიის გავლენის გავრცელებას. ხალხმა თავის თავის იმედი დაკარგა, რუსეთ-ინგლისს მტრულად უყურებს და ელის მესიას, მხსნელს. ასეთ მხსნელად სახავენ გერმანიას და დიდ აგიტაციასაც ეწევიან მის სასარგებლოთ. ცხადია, რომ, თუ ერთი მხრით რუსეთ-ინგლისის პოლიტიკის გამტარებელმა მთავრობამ, და მეორე მხრით, თუ თვით რუსეთ-ინგლისმა ვერ მოახერხეს გერმანიისათვის ხელის შეშლა სპარსეთში, იგი უეჭველად დიდ ბაზარს მოიპოვებს იქ. როგორც ამბობენ, გერმანიას უკვე ჩაუგდია ხელში რამდენიმე კონცესია, მაგრამ ამაზე დანამდვილებით ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან საქმის ნამდვილი ვითარება საიდუმლოებით არის მოკული“.

მართლაც ქაოსური მდგომარეობა იყო ირანის მაშინდელ ფინანსებში. სეპეხდარის მთავრობა ისეთ ფინანსურ პოლიტიკას ატარებდა, რომ 1910 წელს ქვეყნის დეფიციტი 5 მილიონ თუმანს შეადგენდა. ამასთან უცხოეთის ვალი 1910 წლის დამ-

1 ინჩაისტები — სომეხი წვრილბურჟუაზიული პარტიის მიმდევრები.  
 2 დაშნაკცაკანები (დაშნაკუთიუნი) — სომეხთა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის მიმდევრები.



დეგისათვის აღწევდა 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ანუ 30 მილიონამდე თუმანს. მარტოდენ უცხოეთის პროცენტს იხდიდა ქვეყანა წელიწადში 450000 გირ. სტერლინგს, ანუ 2,5 მილიონამდე თუმანს, რაც ირანის მთელი შემოსავლის ერთ მეოთხედს აღემატებოდა<sup>1</sup>.


კორესპონდენტი აყენებს კითხვას — „რას შვრება ამ დროს სპარსეთის მეჯლისი (პარლამენტი), ის მეჯლისი, რომელიც ერთ-ერთ იმედს წარმოადგენდა სპარსეთის მოწინავე ელემენტებისათვის? შესძლო მან მასზე დამყარებული იმედების ნაწილის მაინც გამართლება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კორესპონდენტი იძლევა ირანის პოლიტიკური ვითარების ანალიზს, საიდანაც მკითხველს შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს მდგომარეობა ქვეყნისა, რომლის ხელისუფლების სათავეში მდგარ კარიერისტულ ელემენტებს სრულებით არ აინტერესებდათ ქვეყნისა და ხალხის ბედი, ისინი პირადი გამდიდრებით და კეთილდღეობით უფრო იყვნენ გატაცებულნი. დემოკრატიული ელემენტები კი მეჯლისში, მართალია, მზარდ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ იმდენად მცირერიცხოვანი იყვნენ, რომ ვერ ახდენდნენ გავლენას საკითხების დემოკრატიულად გადაწყვეტაზე.

„უკვე 6 თვეზე მეტია, რაც მეჯლისი შეკრებილია და უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი ღირსშესანიშნავი კითხვა არ ყოფილა მისგან წამოყენებული და გადაჭრილი, — წერს კორესპონდენტი და იქვე განაგრძობს:

დეპუტატების პარტიულად დაყოფა უკვე მოხდა. შედგა ორი უმთავრესი პარტია: ეითედალიონი (ზომიერნი), პარტია ფეოდალ-მოღებისა და დემოკრატიული პარტია ცნობილი კონსტიტუციონალისტი თალი-ზადეს მეთაურობით. ეითედალიონი დღეს შეადგენს უმრავლესობას და მეჯლისის ბედილობა მის ხელშია. პარტია კონსერვატიულია. იგი თითქმის ყველა კითხვებზე გაიძახის: ჯერ ეს სპარსეთისათვის ადრეაო

<sup>1</sup> უფრო ვრცლად იხ. М. С. Иванов. Иранская революция 1905—1911 годов. М., 1957, стр. 428—430.



და სეპეხდართან ხელჩაკიდებული მუშაობს. ამ პარტიულ ლისჩამდგმელნი არიან გილანის დეპუტატები: მაზადულ სალტანე და ვეზირ-ზადე. მხოლოდ, ვითომ იდეურად, ხელმძღვანელობს მას ცნობილი ავანტურისტი რახიმ-ზადე, რომელმაც რევოლუციის დროს 5,000 მანეთი ჩაყლაპა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეითედალიონის წევრები ხანდისხან თავს სოციალ-დემოკრატებად აღიარებენ. ამას კი იმიტომ სჩადიან, რომ ს. დ. (სოციალ-დემოკრატებს) აქ დიდი გავლენა აქვთ. ს. დ. პარტია დღეს აქ არ მუშაობს, მან გაუშვა ძველი ორგანიზაციები და რეორგანიზაციას ახდენს. ეითედალიონს კი სურს ისარგებლოს მისი გავლენით, მაგრამ ამას ჩქარა მოეღება ბოლო, რადგან სოციალ-დემოკრატია მალე შეუდგება მოქმედებას.


მეჯლისის უმცირესობას შეადგენს დემოკრატიული პარტია. მან თავისი პროგრამა უკვე გამოაქვეყნა... და ბლოკი შეკრა დაშნაკაცკანებთან ეითედალიონის წინააღმდეგ. პარტიას აქვს თავისი საკუთარი ორგანო „ირან-ნოვ“-ი. პარტია თუმცა რიცხვით მცირეა, მაგრამ იგი ხშირად სცემს თავზარს მეჯლისის უმრავლესობას. მისი მეთაური თალი-ზადე ხშირად უბნევს ხოლმე მათ გზა-კვალს. ასეთ ბრწყინვალე გამოსვლად უნდა ჩაითვალოს მისი უკანასკნელი გალაშქრება სეპეხდარის წინააღმდეგ. თალი-ზადემ გამოააშკარავა სეპეხდარის სულისკვეთება, მისი გამყიდველი პოლიტიკა, რის შემდეგაც მეჯლისმა უნდობლობა გამოუცხადა ამ უკანასკნელს და რის გამოც სამსახურიდან გადადგომის განცხადება შეიტანა მთელმა კაბინეტმა. მაგრამ ეს მოხდა ძლიერი ორატორის პირადი გავლენით. თალი-ზადემ თავის მჭევრმეტყველებით დაიპყრო მეჯლისი და ქედი მოახრევიანა თვით მოწინააღმდეგეებსაც-კი. მაგრამ საკმარისი იყო მეჯლისის დარბაზს გაშორებოდნენ, რომ ეითედალიონის სულისჩამდგმელნი ცრემლთა ფრქვევით შევედრებოდნენ სეპეხდარს: არ დაგვლუპო, არ დაგვანებო თავიო. სეპეხდარმაც ისმინა მათი თხოვნა და ახლა ზურგგამაგრებული დაბრუნდა თავის ადგილზე... დღეს ეს უდიდესი ფეოდალი თავდავიწყებით ებრძვის ყოველივეს, რაც ფეოდალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. იგი ებრძვის ახ-

ლად გამოდგინებულ დემოკრატია; იკრებს თავის ნათესავ-მეგობრებს; ავიწროებს ბეჭდვის თავისუფლებას და ებრძვის გერმანიის მომხრეებს: აძევებს გერმანიის პოლიტიკის მომხრე მინისტრებს და შეყავს სამინისტროში, ვინც მას სურს; ამ რამდენიმე დღის წინათ დახურა ორი რადიკალური გაზეთი: „შარქი“<sup>1</sup> და „ირან ნოვ“, თუმცა დემოკრატიის მძლავრმა პროტესტმა სამარცხვინოდ დაახვეინა მას უკან. „ირან ნოვ“-მა ყურადღება არ მიაქცია მის განკარგულებას და მორიგი ნომერი გამოუშვა. „შარქი“-ის დაკავებული ნომერიც ნებადართულ იქნა...

ყველა ამაებიდან ცხადია, რომ სამინისტრო დრომოჭმულ და სასიკვდილოდ გამზადებულ ფეოდალიზმის წარმომადგენელთა ხელშია. მაშასადამე, არავითარი პროგრესიც არ არის მათგან მოსალოდნელი.

რას შვრება ხალხი? აი, ყველაზე უფრო საინტერესო კითხვა. ხალხის უმრავლესობა, გლეხობა დაბეჩავებულა, იგი კვლავ ფეოდალების მონაა. მას არ მიუღია მონაწილეობა ხალხურ რევოლუციაში და ჯერჯერობით არც რაიმე სარგებელი უნახავს მისგან. სამაგიეროდ, თავს ყოფს და მოძრაობას იწყებს ქალაქის დემოკრატია. საერთოდ კი ხალხი პესიმიზმით არის შეპყრობილი, დაკარგული აქვს აღორძინების იმედი და, როგორც შევნიშნეთ, გარედან ელის შველას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუ სხვა სახელმწიფოთა რევოლუციებმა წარმოშვეს ძლიერი პიროვნებები, რომელთაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძალა და ცოდნა შესწევდათ, — სპარსეთის რევოლუციამ ვერც ამ მხრივ შეასრულა ჩვეულებრივი მოვალეობა. მართალია, რევოლუციური ბრძოლის დროს მან ასპარეზზე გამოიყვანა სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი<sup>2</sup>, მაგრამ ამას იქით ვეღარ წავიდა. ამ მოვლენის მიზეზებზე შეგვეძლო ცოტა რამ გვეთქვა, მაგრამ წერილი ისედაც გაგვიგრძელდა და ამიტომ ამაზე და ბევრ სხვა რამეებზეც ლაპარაკი ახლო მომავლისათვის უნდა გადავდოთ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> უნდა იყოს „შარქი“.  
<sup>2</sup> ბაგირ-ხანი — სათარ-ხანის თანამებრძოლი.  
<sup>3</sup> იხ. „სხივი“, № 15, 1910 წ. 13 იანვარი.




ეს წერილები იმის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, რა მაღალი პასუხისმგებლობით მოკიდებია კორესპონდენტი ადებულ თემას და რა ღრმად შეუსწავლია რევოლუციის პერიოდში ირანში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება.

მართალია, რუსეთის პირველი რევოლუციის ზეგავლენას ირანში ხალხთა მასების რევოლუციური ამოძრავება მოჰყვა, მოხდა რევოლუციური გადატრიალება, მაგრამ მან მშრომელ, „გაძვალტყავებულ სპარსელს“ ვერაფერი მოუტანა. ერთმა შაჰმა მეორე შესცვალა. დესპოტური ტირანია დაემხო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია და მემამულეები მოექცნენ, რომლებიც ისევე აძრობდნენ ტყავს ღარიბ-ღატაკებს, როგორც მათი წინამორბედი ტირანები და უზურპატორები. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო, რომ „სპარსეთის სათავეში მდგომმა მთავრობამ... ვერაფერი იღონა ფინანსური მდგომარეობის გამოსაკეთებლად“. ამას იგი ვერც გააკეთებდა, რადგან ქვეყანა ეკონომიურად რუსეთ-ინგლისის გავლენის ქვეშ იყო მთლიანად მოქცეული და თავისი საკუთარი სახე არ გააჩნდა. მეტიც, თვით მოსახლეობაში არ იყო ერთიანობა: ზოგი რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ზოგი ინგლისისა და ზოგიც ოსმალეთისა, რადგანაც ეს გარკვეული პოლიტიკური და ქონებრივი პრივილეგიების შენარჩუნების მეტ გარანტიებს იძლეოდა. რა უნდა ეღონა ეგრეთწოდებულ კონსტიტუციურ ხელისუფლებას ასეთ ვითარებაში? ცხდია, იგი ვერაფერს გახდებოდა, მით უმეტეს, რომ თვით პრემიერს, როგორც დავინახეთ, საკუთარი ფული რუსეთის ბანკში ჰქონდა გადანახული.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი ანარქია სუფევდა ამ მხრივ ქვეყანაში, დავიმოწმებთ ისევ სერგოს „ახალი სხივის“ 10 მარტის ნომერში მოთავსებულ იმ წერილს, რომელიც სესხის საკითხს შეეხება და, რომელშიც ნათქვამია, რომ შინაურ სესხს ირანში წარმატება არ ჰქონდა არა ამ ქვეყნის სიღარიბის გამო, არამედ იმიტომ, რომ „აქ არსებული სიმდიდრის უმეტესობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ხელში იყო“.

„ამასთან მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს რეპტელ






ვაჭრებზე უცხო ვაჭართა თავ-ახსნილობა“, — განაგრძობს ავტორი, — და ამის ორ მაგალითს აღწერს; ჩვენ საილუსტრაციოდ ერთ მათგანს მოვიტანთ. ოსმალის ქვეშევრდომს ვინმე ბერძენ ლასკარიდის სპარსელი ვაჭრის 4000 მანეთი მართებია. სპარსელი მისულა მასთან და ფული მოუთხოვია. ლასკარიდის უპასუხნია, ეხლა არა მაქვს და მალე მოგართმევო. როცა სპარსელი კიბეზე ჩადიოდა, მას წინ მაუზერებით ხელში დახვედრიან ბაქოელი „ყოჩები“<sup>1</sup> და მოუთხოვიათ ამ წამს ვექსილი ამოიღე და ხელი მოაწერე, რომ 4000 მანეთი მიიღე, თორემ შენი დღეები დათვლილიაო. მასაც ვექსილზე ხელი მოუწერია და მათთვის გადაუცია. დაზარალებულს მიუმართავს პოლიცემისტერისა და გუბერნატორისათვის, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. თვით ლასკარიდი კი არხენად გადგომია გზას საფრანგეთისაკენ.

„ასეთი მაგალითებით, — წერს კორესპონდენტი, — იმედს უკარგავს სპარსელ ვაჭარს, მას არ სწამს სპარსეთის აღორძინება, ის ხედავს, რომ საკმაოა სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი იქნე და შენ თარეშს მაშინ საზღვარი აღარ ექნება და ამის გამო აკი არც ის დაეძებს რა ბედი ეწევა ირანს... ბევრი მაგალითებია, როცა შეძლებული სპარსელი რუსის ქვეშევრდომი ხდება. ასე უყურებენ კითხვას რეშტის შეძლებულნი, საწყალ, ტყავ-გამძვრალ ღარიბს კი რა აქვს, რომ მთავრობას მისცეს...“<sup>2</sup>

ირანში მომხდარმა რევოლუციამ ვერ შეძლო ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების რადიკალურად შეცვლა. ვერ შესცვალა მან ძირფესვიანად ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები და დამარცხდა კიდევ რეაქციის პირველი შეტევისთანავე. ეს იმიტომ, რომ მას არ აღმოაჩნდა მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა მუშათა კლასის სახით,

<sup>1</sup> სპარსეთის რევოლუციამ ბევრი ავანტიურისტიც მიიზიდა ვითომ რევოლუციის დასახმარებლად, მაგრამ უფრო ხელის მოთხოვის მიზნით. ასეთები იყვნენ ბაქოდან იქ ჩასული ხულიგნები ავანტიურისტი პანოვის მეთაურობით, რომლებიც შანტაჟს უწევდნენ ადგილობრივ ხალხს. მათ სერგო „ყოჩების“ ეპითეტით მოიხსენიებს.

<sup>2</sup> „ახალი სხივი“, № 29, 1910 წ. 10 მარტი.



არ აღმოჩნდა პროლეტარული პარტია და ბელადი, რომლებმაც საც ექნებოდათ უნარი სათავეში ჩადგომოდნენ მოძრაობასა და დემოკრატიული რეფორმების გზით წაყვანათ იგი. მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტია ის-ის იყო ისახებოდა ირანში და რევოლუციის ამ მომენტისათვის ძალზე სუსტი იყო.

ამიტომაც გაიმარჯვა რეაქციამ, რომელსაც მფარველობას უწევდნენ და შეიარაღებული ძალით ეხმარებოდნენ მეფის რუსეთი და იმპერიალისტური ინგლისი; რეაქციამ ირანის აზერბაიჯანის სახალხო მოძრაობა სისხლის მორევში ჩაახრჩო.

სამწუხაროდ, „ამ მოვლენის მიზეზებზე“ სერგოს დაპირებულ წერილს ველარ მივაკვლიეთ, მაგრამ თავისთავად შეიძლება ვიგულისხმოთ, თუ რა ახსნას მისცემდა მას რევოლუციონერი ბოლშევიკი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, უკვე გამოცდილ პარტიულ მუშაკად ითვლებოდა ამიერკავკასიაში. ამ დროს სერგოს უკვე მიწერ-მოწერა ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ვ. ი. ლენინთან, თანამშრომლობდა „სოციალ-დემოკრატში“ და გამოვლილი ჰქონდა პირველი პატიმრობაც და გადასახლებაც.

ირანის რევოლუციის დამარცხებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აქ გაგზავნილმა მეფის რუსეთის ჯარმა. ირანელი ხალხი ვერ ურიგდებოდა მის შინაურ საქმეებში პოლიციური რუსეთის უხეშ ჩარევას და ამას საპროტესტო დემონსტრაციებით გამოხატავდა. „ახალი სხივის“ კორესპონდენტს არც ეს გარემოება გამოპარვია მხედველობიდან. 23 მარტის ნომერში იგი ვრცლად უამბობს მკითხველებს იმ „დიდი მოძრაობის“ შესახებ, რაც იმჟამად მთელ სპარსეთში და კერძოდ რეშტში... დაწყებულა რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნის წინააღმდეგ. ხალხის მღელვარება იმ ზომამდე გაზრდილა, რომ პროტესტის ნიშნად ტრადიციული სამხიარულო დღესასწაული „ნოვრუზ-ბაირამი“ (ახალი წელი) 9 მარტს გლოვით გადაუხდიათ.

აი, როგორ აგვიწერს მოძალადეების წინააღმდეგ მიმართულ ამ საპროტესტო დემონსტრაციას სერგო: „გათენდა 9 მარტი. დუქნები დაკეტილია, ხალხი ქუჩაში თავს იყრის, მათ მკლავებზე სამგლოვიარო ნიშნები აქვთ და მსჯელობენ უცხოთა

ქარზე. აგერ, ერთ „დევიზს“ (ბერი) ხელში ფორთოხადი უჭირავს და უნდა თავის ნაცნობს მიულოცოს, მაგრამ უკანასკნელი მას ეუბნება: „არ არსებობს „ბაირამი“, ვიდრე რუსეთის ჯარი ჩვენშია“.

შემდეგ აღწერილია საბჭო მოედანზე გამართული საპროტესტო მიტინგი, რომელსაც 4—5 ათასი კაცი და ქალი დასწრება, მათვე მიმატებია მოსწავლე ახალგაზრდობა შავი ბაირაღებით ხელში, დაახლოებით 300—400 კაცი. მოსულან ენჯომენის თავმჯდომარე, გუბერნატორის თანაშემწე, პოლიცმეისტერი... გამოსულან მოსწავლეები, რომელთა სიტყვებს ქვითინი გამოუწვევია ხალხში, აგრეთვე ხუთი სხვა ორატორი. ერთ-ერთ ორატორს თავის სიტყვაში ხალხისათვის მოუწოდებია ერთმანეთში არ აურიონ სპარსეთში მყოფი უცხო სახელმწიფოს მთავრობის ჯარი და ხალხი. ენჯომენის თავმჯდომარეს უთქვამს: „ჩვენ არ გვინდა უცხოელებთან ცუდი განწყობილება გვქონდეს, მაგრამ თუ ისინი განადგურებას მოგვინდომებენ, მაშინ ჩვენ ვამჯობინებთ სახელოვნად დავიღუპოთო“<sup>1</sup> (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.).

გლოვის საბაბი კი ირანს მართლაც ჰქონდა.

მეფის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ძირი გამოეთხარა რევოლუციის გამარჯვების შედეგად იქ დამყარებული კონსტიტუციური წესწყობილებისათვის. მეფის კოლონიზატორები უხეშად ერეოდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, მფარველობდნენ ადგილობრივ რეაქციას და აწყობდნენ შეთქმულებებს დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ.

„ჩვენი გაზეთის“ 13 აპრილის ნომერში სერგო აღწერს ერთ-ერთ ასეთ შეთქმულებას. იგი, საბედნიეროდ, დროზე აღმოუჩენიათ და უვნებელუყვიათ, თორემ, როგორც სერგო ამბობს, „ვინ იცის როგორ გადაწყდებოდა რეშტის ბედ-იღბალი და არა მარტო რეშტისა, არამედ მთელი სპარსეთისო“.

რისთვის აწყობდნენ ამ შეთქმულებას? ამ კითხვაზე კორესპონდენტი ასეთ პასუხს იძლევა: რეაქციონერთა გამოსვლა

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 40, 1910 წ. 23 მარტი.

„საბაბს მისცემდა მეზობელ სახელმწიფოებს თავიანთი ინტერესების დასაცავად სპარსეთი ჯარებით აევსოთო“.

ამ შეთქმულების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მეფის თვითმპყრობელური რუსეთის წარმომადგენლები რომ იყვნენ, ამასაც ხსენებული წერილიდან ვიგებთ: „საქმე ამნაირად იყო, — წერს კორესპონდენტი. — რუსეთის საკონსულოში მყოფი ცნობილი რეაქციონერები ამაღი სალათანე, რუსეთის ქვეშევრდომები მოლა შარიატ-მადარი და მოლა მამედი თურმე ხუთი თვეა, რაც თავიანთ საქმეს აწყობენ... გარშემო შემოუკრებიათ 100-150 კაცამდე და გამოსასვლელად მზად იყვნენ; გადაწყვეტილი ჰქონია ქალაქს ცეცხლი წაუკიდონ, ამით ადგილობრივი ადმინისტრაციის ყურადღება იქითკენ მიიქციონ და თვითონ დარხანს (სადაც მოთავსებული იყო პოლიცია, გუბერნატორის ბინა და სხვა დაწესებულებანი) შესეოდნენ, გუბერნატორი მოეკლათ და მის ალავას საკონსულოში მყოფი ამაღი სალათანე დაეყენებინათ“<sup>1</sup>.

ეს შეთქმულება დროზე გაუგიათ. მისი მეთავე სეიდ მამედი რამდენიმე თანამზრახველით, მათ შორის რამდენიმე რუსეთის ქვეშევრდომი სპარსელით, შეუპყრიათ და შეთქმულებაც ჩაშლილა. „ამნაირად კიდევ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში აქაურ შავ ძალებს“<sup>2</sup> — წერს ამ ამბით ნასიამოვნები კორესპონდენტი.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, რეაქცია მაინც განაგრძობდა რევოლუციის პირველი მონაპოვრის — კონსტიტუციისათვის — ძირის გამოთხრას; მართალია, „შავ ძალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“, მაგრამ მათ ხელი არ აუღიათ შავბნელი ზრახვების განხორციელებაზე, იერიში მიჰქონდათ ხალხის ინტერესებისათვის თავგამოდებული მებრძოლი პროგრესული გაზეთების „ირან-ე ნოვისა“ და „შარქის“ წინააღმდეგ. რეაქციის მხარეზე დამდგარი პრემიერ-მინისტრი სეპეხდარი მაისის შუა რიცხვებში განკარგულებას იძლევა დაიხუროს ეს გაზეთები. მთავრობის ამ ანტიხალხურ გამოლაშქრებას მასების დიდი გულისწყრომა გამოუწვევია. შეშინებული მთავრობა

<sup>1</sup> „ჩვენი გაზეთი“, № 11, 1910 წ. 13 აპრილი.

<sup>2</sup> იქვე.

დათმობაზე წასულა. პროგრესული აზრის ზეგავლენით იგი გარკვეული დროით იძულებული გამხდარა „ირან-ე ნეფისთა“ გამოცემა გაეახლებინა. „შარქის“ გამოსვლა კი არც შეწყვეტილა, ისე გაუქმებულა განკარგულება მისი დახურვის შესახებ.

კორესპონდენტს მხედველობიდან არ გამორჩენია ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავიც. იგი ვრცლად იხილავს რეაქციის ამ მორიგ გამოხდომას.


„რა მიმართულების იყო ეს ორი გაზეთი და რამ გამოიწვია სეპეხდარის რისხვა?“ — კითხულობს კორესპონდენტი და განმარტავს: „ირანო“ პირველი გაზეთია, რომელმაც იწყო გამოსვლა მაშინვე, როგორც კი მამედ ალი შაჰი თეირანიდან გააძევეს. მას შემდეგ ეს გაზეთი იყო ფხიზელი დარაჯი ხალხის ინტერესებისა“<sup>1</sup>. (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.).

კორესპონდენტის წერილიდან ცხადია, რომ გაზეთს უმხელია მეზობელ სახელმწიფოთა დამლუპველი პოლიტიკა, აუმაღლებია პროტესტის ხმა და გარეშე სესხის წინააღმდეგ თითქმის მთელი სპარსეთი აუზოდრავებია. გაზეთმა გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ბოლო დროს „მანვე ჩამოხადა ნიღაბი პირველი მინისტრის სეპეხდარის სულისკვეთებას და აშკარაჰყო ყველასათვის მისი გაიძვერული და გამყიდველი პოლიტიკა“<sup>2</sup>. იმდენად პრინციპული და მედგარი ყოფილა გაზეთი პრემიერის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ მის „მოუზრიდებელ“ და „გესლიან“ წერილებს რამდენჯერმე იძულებული გაუხდია იგი გადადგომის განცხადება შეეტანა. კორესპონდენტი დასცინის პრემიერს — „ამ მხრივ ეს უკანასკნელი მართლა რომ უსუსურს დაემსგავსა. დღე ერთია და ის ორჯერ ითხოვს სამსახურიდან გასვლასო“ — წერს სერგო და განავრძობს: „და დღეს, როცა სეპეხდარმა ზურგი გაიმაგრა (ვისი წყალობითაც, ეს ჩვენ უკვე ვიცით სერგოს წერილებიდან) ერთი კალმის მოსმით მოუსპო სიცოცხლე სინათლის მაჩვენებელ და ხალხის საყვარელ გაზეთ „ირანოვს“<sup>3</sup>. (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.).

1 „ჩვენი გაზეთი“, № 43, 1910 წ. 23 მაისი.

2 იქვე.

3 იქვე.



იმავე კურსს ადგა გაზეთი „შარქიც“. თავისი მოუერიდებელი გამოსვლების გამო ისიც „სატრაპი“ პრემიერის (რთველი) კორესპონდენტი უწოდებს) მსხვერპლი გამხდარა.

გაზეთების აკრძალვას თითქმის ყველა ქალაქში დემოკრატიის ამოძრავება გამოუწვევია. ხალხი წასულა მეჭლისში და მოუთხოვია: „ეს ორი დამცველი თავისუფლებისა და ენა ხალხისა (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.) დაუყოვნებლივ იქნენ განთავისუფლებული ბორკილებისგანო“<sup>1</sup>.

კორესპონდენტი კი ამ მოვლენისადმი თავის დამოკიდებულებას მეტად ნათლად გამოხატავს: „ხალხი არ ზოგავდა თავის სიცოცხლეს თავისუფლების მოსაპოვებლად, არ დაიზოგავს იგი თავს, არც თავისუფლების დასაცავადო“<sup>2</sup>.

ეს წერილი უკვე სცილდება ჩვეულებრივი კორესპონდენციის საზღვარს. იგი მარტოოდენ ამბების აღწერა როდია, იგი რევოლუციური პუბლიცისტიკის ნიმუშია. ავტორი ცხადად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი, მათი შეფასებისადმი, რაც შესანიშნავადაა გადმოცემული წერილის დასკვნით ნაწილში: „ვნახოთ, შესძლებს თუ არა დრომოჭმული, სასიკვდილოდ გამზადებული (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.) ფეოდალიზმის უდიდესი წარმომადგენელი (პრემიერი იტულისხმება) დემოკრატიის დამარცხებას და მისი წინმსვლელობის შეჩერებას დროებით?“<sup>3</sup>. შემდეგ კორესპონდენტი სიხარულით იუწყება, რომ რეაქციას არ გაუვიდა თავისი ვერაგობა, რომ მან ვერ გაუძლო ხალხის მრისხანე გულისწყრომას და იძულებული გახდა გაზეთების აკრძალვა გაეუქმებინა. პოსტსკრიპტუმში კორესპონდენტი იტყობინება: „ეს წერილი დაწერილი მქონდა, როცა თეირანიდან (წერილი რეშტიდანაა გამოგზავნილი) დეპეშა მოვიდა — გაზეთი „ირან-ნოვ“ გაიხსნაო“<sup>4</sup>.

მაგრამ ბოლშევიკ კორესპონდენტს მაინც არ ასვენებს

1 „ჩვენი გაზეთი“ № 43, 1910 წ. 23 მაისი.  
 2 იქვე.  
 3 იქვე.  
 4 იქვე.



პროგრესული გაზეთების უმართებულო დახურვა. იგი უბრუნდება ამ საკითხს.

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილ ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობაში ირანში მოქმედი დაშნაკთა პარტიის მეთაური ეფრემი შევიდა. დაშნაკები თავის პარტიას „რევოლუციურს“ უწოდებდნენ და რეშტელი დამოკრატებიც ავალეზენ ეფრემს პროტესტი განაცხადოს სეპეხდარის რეაქციული გამოსვლის წინააღმდეგ (იგულისხმება გაზეთების „ირან-ე ნოვის“ და „შარქის“ აკრძალვის განკარგულების გაცემა). ეფრემს ამაზე უპასუხნია: „მე, როგორც მთავრობის მსახური, შესაძლოდ ვერ ვცნობ მთავრობის მოქმედებაში ჩავერიო“. ასეთი პასუხის გამო შემდგარა ეფრემის „ოფიციალური შეხვედრა“ კორესპონდენტთან (სერგოსთან), რომელსაც „ყველაზე უფრო“ ეს კითხვა აინტერესებდა და შეხვედრისთანავე ამაზე დაუწყია საუბარი.

ეტყობა, კორესპონდენტს ისეთი პრინციპული არგუმენტები წაუყენებია მთავრობის დაშნაკი წევრისათვის მისი „საქმეში ჩაურევლობის“ გამო, რომ უკანასკნელს ვერაფრით ვერ მოუხერხებია თავისი მოქმედების გამართლება. იგი კორესპონდენტს უპასუხებს: „მე არ ვიცი რა მიმართულების იყო ის გაზეთები, რომელიც სეპეხდარმა დახურა, მე... ერთი წელიწადია მთებში ვარ და არა თუ სპარსული, არამედ სომხური გაზეთებიც კი არ წამიკითხავსო“. კორესპონდენტი მიხვდა, რომ ეფრემი აგდებულად ეკიდება საკითხს და აგრძნობინებს, რომ „კითხვა პრინციპიალურიაო“. მაშინ ეფრემი ასეთ „ბრძნულ“ პასუხს აძლევს — „თუ სეპეხდარი სრულიად აკრძალავდა სპარსეთის გაზეთებს, ცხადია, რომ პროტესტს გავაცხადებდით, მაგრამ თუ რუსეთში „ნოვოე ვრემიას“ დახურავდნენ, განა უნდა გამოეცხადებიათ პროტესტიო?“ და დაუმატებია — „ჯარი პოლიტიკაში ვერ ჩაერევაო“.

„ასეთია „რევოლუციური“ დაშნაკუკანის შეხედულება ბეჭდვით თავისუფლებაზეო“, — ირონიულად დასძენს კორესპონდენტი და ამით გამოხატავს თავის შეხედულებას „რევოლუციური“ დაშნაკთა პარტიასა და მის ლიდერზე. მარტო სერ-



გო როდი აფასებს ასე ეფრემს. სასტიკად ჰკიცხავდა განხილული „ესტეკლალე ირანი“ ირანში ჩასული ზოგიერთი კავკასიელის კონტრრევოლუციურ საქმიანობას, როგორებიც იყვნენ დამნაჯი ეფრემი და მეწარმე თუმანიანი. ამის საპირისპიროდ გაზეთი 1911 წ. 24 იანვარს მიესალმებოდა ირანის რევოლუციონისტების რუსი სოციალ-დემოკრატების ძმურ და თავდადებულ დახმარებას, და წერდა: „ღიახ, ისინი სხვა კავკასიელები არიან, ხოლო ესენი, ვინც თავის სიცოცხლეს წირავს სხვათა თავისუფლებისათვის — სხვა კავკასიელებიაო“<sup>1</sup>.

ამრიგად, კორესპონდენტმა პოლემისტის იშვიათი უნარით ამხილა „რევოლუციონერის“ ნიღაბს ამოფარებული ეს პოლიტიკური ოინბაზი.

ჩვენ სხვა ადგილზეც ვხვდებით იმის ფაქტს, თუ როგორ გამოიყვანა სერგომ სააშკარაოზე რევოლუციის პერიოდში ირანს ჩასული მეორე თაღლითი და ავანტიურისტი პანოვი, რომელიც იძულებული შეიქნა კუდამოძებულები გაპარულიყო იქიდან.

თავის წერილებში სერგო მრავალ სხვა საკითხსაც აშუქებს. მაშინდელი რევოლუციური ირანის ცხოვრებიდან არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ იგი არ გამოხმაურებოდა და თავისი აზრი არ გამოეთქვა მასზე.


„ჩვენი გაზეთის“ 12 მაისის ნომერში კორესპონდენტი ეხება სიკვდილით დასჯის საკითხს. როგორც გაზეთში დაბეჭდილი წერილიდან ჩანს, ხალხს იმედი ჰქონია, რომ რევოლუცია სიკვდილით დასჯას გააუქმებდა, მაგრამ იმედი გაცრუვებია. „ხალხს იმედი გაუცრუვდა და იმისი რწმენა, რომ კონსტიტუციური მთავრობა სახრჩობელას აღარ გამართავდა, 29 აპრილიდან ხალხმა დაკარგაო“<sup>2</sup>, — წერს იგი.

რატომ 29 აპრილიდან? იმიტომ, რომ ამ დღეს რეშტში სახრჩობელა გაუმართავთ და ჩამოუხრჩვიათ ერთი „მშვიდმწყურვალი, ღატაკი, დაბეჩავებული გლეხი“, რომელსაც დიდი ოჯახი ჰქონია, ლუკმაპურის საშოვნელად ავაზაკობის გზას დასდგომია და კაციც შემოკვდომია. კორესპონდენტი შემდეგ-

✓ <sup>1</sup> Проблемы востоковедения, 1959, № 6, стр. 141—142.

<sup>2</sup> „ჩვენი გაზეთი“, № 33, 1910 წ. 12 მაისი.





ნაირად აღწერს ჩამოხრჩობის სურათს: „დარახანის წინ მოედანზე... ორი ძონძებში გახვეული (ხაზგასმით) ნია. — ა. კ.) სპარსელი გულმოდგინედ თხრის მიწას სახრჩობელის ბოძებისათვის, სახრჩობელა მზადაა. მირბიან პატარა ბავშვები, თოკს ხელს ავლებენ და არხეინად იწყებენ ქანაობას, ცხადია, მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ერთი საათის შემდეგ ეს თოკი, რომლითაც ერთობიან, დაუნდობლად გამოასალმებს სიცოცხლეს დროის უკუღმართობის (ხაზგასმით) ჩვენია. — ა. კ.) მსხვერპლს“<sup>1</sup>.

რას გვეუბნება ეს პატარა ამონაწერი?

კორესპონდენტი გამანადგურებლად დასცინის „დროის უკუღმართობას“, რომელმაც მშვიერ-მწყურვალნი, ლატაკი, დაბეჩავებული გლეხი აიძულა ავაზაკობის გზას დადგომოდა, რამაც იგი საბოლოოდ სახრჩობელაზე აიყვანა, ხოლო ამ სახრჩობელას მასავით ლატაკ, „ძონძებში გახვეულს“ აშენებინებს, ხოლო, ვიდრე თოკის მარყუჟი მსხვერპლს სიცოცხლეს მოუშპობს, მას ბავშვების საქანელად აქცევს, თითქოს ამბობს — უმჯობესი იქნებოდა კონსტიტუციურ რეჟიმს ხალხის იმედები გაემართლებინა და სახრჩობელების ნაცვლად ხალხის კეთილდღეობისათვის ეზრუნაო.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი, მსხვერპლი წუთისოდ ფელს გამოასალმეს. „ამ საზიზღარი სურათის შემდეგ, — განაგრძობს სერგო, — ერთი რამ ღირსშესანიშნავი გამოიჩინა, ხალხის გაურყვნელ ნაწილს თურმე ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ კონსტიტუციის დროს სახრჩობელას ადგილი არ უნდა ექნესო“<sup>2</sup>.

ამ შემთხვევაშიც კორესპონდენტი უბრალოდ კი არ აღწერს მოვლენას, არამედ საზოგადოებრივ უღერადობას აძლევს მას. ბურჟუაზიულ-მემამულურმა რევოლუციამ და მის შედეგად მოპოვებულმა კონსტიტუციამ არაფერი მისცა ირანის მშრომელებს. მაშასადამე, საჭიროა სხვანაირი გზის არჩევა, ბრძოლის სხვა მხრივ წარმართვა, რათა ხალხმა სრული

1 „ჩვენი გაზეთი“, № 33, 1910 წ. 12 მაისი.

2 იქვე.



თავისუფლება მოიპოვოს. ასეთია მთავარი აზრი, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს სერგო ორჯონიკიძის წერბლებს „რეშტიდან“ და „სპარსეთიდან“.

როგორც დავინახეთ, ამ სტატიებში გ. კ. ორჯონიკიძე მართლაც იძლეოდა „ირანის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ღრმა ანალიზს, დაწვრილებით აშუქებდა ირანის ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლას უცხოელი დამპყრობლებისა და საკუთარი ფეოდალების წინააღმდეგ“<sup>1</sup>.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციამ ვერაფერი მისცა ხალხს, რადგანაც, როგორც სერგო მიუთითებდა „სხივის“ 1910 წ. 13 ივნისის ნომერში მოთავსებულ წერილში „სპარსეთის ვითარება“, ხელისუფლება დრომოჭმული და დასაღუპავად განწირული ფეოდალიზმის წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდა და, მამასაღამე, მათ მხრივ რაიმე პროგრესის მოლოდინი შეუძლებელი იყო.

ზევითაც ვთქვით და აქაც ხაზგასმით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს წერილები ახლაც შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მათ დღესაც არ დაუკარგავთ პოლიტიკური სიმახვილე და აქტუალური ჟღერადობა.


\*  
\* \*

ახლა გავეცნოთ გაზეთ „ახალ სხივში“ „გურჯი სერგოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილ ორჯონიკიძის ნარკვევებს „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“.

ამ ნარკვევების ბეჭდვა იწყება 1910 წლის 6 თებერვლიდან და გრძელდება 17 მარტამდე<sup>2</sup>. ეს ნარკვევები მართლაც სპარსეთის რევოლუციის აქტიური მონაწილის დღიურის ხასიათს ატარებს.

პირველ ნარკვევში ავტორი აგვიწერს აჯანყების ხასიათს

1 გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე (სერგო). ბიოგრაფია, გვ. 50.  
2 იხ. „ახალი სხივი“, №№ 3, 6, 8, 9, 11, 14, 17, 24, 28, 35.



ჩრდილოეთ ირანსა და კერძოდ, მის აზერბაიჯანში. იგი გვამცნობს, რომ აჯანყებას აზერბაიჯანში უფრო მასობრივი, ხალხური ხასიათი ჰქონდაო და ამას იმით ხსნის, რომ „აზერბაიჯანელებმა, როგორც კავკასიის მეზობლებმა... იცოდნენ... ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ბრძოლა და რა სარგებლობას მოუტანდა სპარსეთს თავისუფლება“<sup>1</sup>.

„ჩრდილოელი სპარსელები კი... დღემდისაც გზაარეულები არიან და... არ უწყიან რას მოასწავებს მათი გამარჯვება“<sup>2</sup>.

იქ მომხდარ გამოსვლებს, „რომელიც პირველ და შუა ხანებში უცხო კავკასიელების მეოხებით და ხელმძღვანელობით იყო გამოწვეული, ... ხალხური ელფერი ემჩნეოდა; დღეს ეს ყველაფერი შეიცვალა და მოძრაობა „ხანურ-ყაჩაღური“ შეიქმნა“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, ერთპირობა პროვინციებს შორის ამ რევოლუციურ ბრძოლაში არ ყოფილა და ამას ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: „როდესაც აზერბაიჯანი თავრიზითურთ მთელი წელიწადია იბრძვის..., როდესაც აზერბაიჯანი იმედს არ ჰკარგავს, რომ დანარჩენი სპარსეთიც მას წაბაძავს და მოძრაობა, საერთო ნაციონალურ ხასიათს მიიღებს, ამ დროს დანარჩენი სპარსეთი მიყუჩებულია, ღრმად სძინავს და აზერბაიჯანის ბედ-იღბალი თითქოს სრულიად არ აინტერესებს“<sup>4</sup>..

ამიტომ იყო, რომ თავისი ქვეყნის ბედით დაინტერესებულმა, კავკასიაში დროებით და მუდმივად მცხოვრებმა სპარსელებმა დახმარებისათვის კავკასიელებს მიმართეს და სთხოვეს მონაწილეობა მიეღოთ მათ მოძრაობაში, დახმარებოდნენ აზერბაიჯანელთა აჯანყების მეთაურს სათარ-ხანს, ამასთან ჰპირდებოდნენ — იარაღი ადგილზე დაგვდებათო. მრავალი კავკასიელი გამოხმაურებია ამ მოწოდებას და სპარსეთის აჯანყებულთა დასახმარებლად წასულა, მაგრამ ტანჯვა-ვაების მეტი არაფერი გადახდენია თავს, იარაღის შოვნაც კი თვითონ უხდებოდათ.

1 იხ. „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ. 6 თებერვალი.  
 2 იქვე.  
 3 იქვე.  
 4 იქვე.





აი, როგორ აგვიწერს სერგო ამ გარემოებას: „კავკასიელი განსაკუთრებით კი ქართველები, პირველსავე ხმის ამოღებაზე თანხმდებიან წასვლაზე და... მიდიან შორს, სადღაც ირანში, საღაც ათასგვარ ტანჯვა-ვაებას შეეყრებიან; იმედი უცრუვდებათ, რადგანაც ყველა ნაამბობი და ვაგონილი სიცრუე გამოდგა, ისევ უკან ლამობენ წასვლას, მაგრამ მაინც... სიყვარული თავისუფლებისადმი იკავებს მათ და იძულებულს ჰყოფს დარჩენ რეშტში“ და იქვე დასძენს:

„თუ რამდენი ვაი-ვაგლახი, ტანჯვა და გაჭირვება აიტანეს კავკასიელებმა და მათ შორის ქართველებმა სპარსეთში ყოფნის დროს, ამას მოგვითხრობს სპარსეთის რევოლუციის ისტორია, თუ იგი ოდესმე მაინც იქნება დაწერილი“<sup>1</sup>.

ირკვევა, რომ სპარსეთში ჩასული კავკასიელი ვოლონტიორები დიდ გაჭირვებაში ჩაცვივნულან. ორი თვის განმავლობაში (1908 წ. ნოემბერი-დეკემბერი) იქ ჩასულა 22 მეგრძოლი, მათ შორის 16 ქართველი. არალეგალურად ჩასულებს ასევე ფარულად უხდებოდათ ცალ-ცალკე ცხოვრება, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

მოთმინებიდან გამოსულ კავკასიელებს ულტიმატუმი წაუყენებიათ სააჯანყებო კომიტეტისათვის, რომ თუ მათ ყურადღებას არ მიაქცევდნენ და იარაღს არ უშოვნიდნენ, უკან დაბრუნდებოდნენ.

მართალია, მათთვის ბინა მიუციათ (ყველა ჩასული ერთ პატარა ოთახში მოუთავსებიათ), მაგრამ ისინი მაინც დიდ გაჭირვებაში ყოფილან. მიუხედავად ამისა, ჩასულნი გულს არ იტეხდნენ, ფხიზლობდნენ, რათა თავი არ გაემყდავნებინათ. ამასთან მუდამ დღე ყუმბარებს ამზადებდნენ და იარაღს წმენდდნენ. გაუფრთხილებლობის გამო ერთი ყუმბარა კიდევაც აფეთქებიათ, რასაც ერთგვარად გამოუფხიზლებია კომიტეტის წევრები.

საინტერესოა სერგოს მიერ სააჯანყებო კომიტეტის შემადგენლობის დახასიათება. კომიტეტში, რომელიც 4 კაცი-საგან (2 სპარსელი და 2 დროშაკელი, ე. ი. დაშნაკელი) შე-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 3.

დგებოდა, „ერთმანეთს იჭვის თვალით უყურებდნენ, არ ენდობოდნენ და ერთმანეთს ძრახავდნენ... აი ეს იყო კომიტეტიო!!“<sup>1</sup> — წერს იგი.

ავტორი თავის დამოკიდებულებას კომიტეტისადმი სამი ძახილის ნიშნით გამოხატავს. კავკასიელებს რომ არ მოეკიდათ საქმისათვის ხელი, აჯანყება რეშტში კარგა ხანს დაიგვიანებდაო, — შენიშნავს სერგო.

მართლაც, მეტისმეტად უსუსური მოჩანს ეს კომიტეტი. იგი თითქოს მუშაობდა და არც მუშაობდა. მხოლოდ ყუმბარის შემთხვევით აფეთქების შემდეგ ასრულებდა იგი კავკასიელების ყოველ მოთხოვნილებას. „რაც გნებავთ გვიბრძანეთ; ჩვენო მზენო, ყველაფერი უმალ იქნება ასრულებულიო“.

თუ რამდენად უსუსური ყოფილა ადგილობრივი სააჯანყებო კომიტეტი, ეს მკაფიოდ ჩანს თვით მისი მიმართვიდან კავკასიელებისადმი: „ჩვენ რომ თქვენოდენი ვიცოდეთ და თქვენოდენა სულგრძელობა შეგვწევდეს, ბარემ კარგია, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც არაფერი არ ვიცით. თქვენ გაბარებთ ჩვენს მომავალს. ალლახი იყოს თქვენი მფარველი და შემწეო“. ამის შემდეგ სერგოც აყენებს კითხვას: „ყველა სპარსელი ამას გაიძახოდა და კავკასიელებსაც მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ თავს არ ედვათ შეთქმულების მოწყობა?“<sup>2</sup>.

ამრიგად, ყველაფერი კავკასიელებზე ყოფილა დამოკიდებული, სპარსელებს მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ კვებით უზრუნველყოთ ჩასულები. საქმე ახლა აჯანყება იყო, მაგრამ აქ თავი იჩინა დაშნაკთა ინტრიგებმა. მათ უთანხმოება დათესეს ჩამოსულ კავკასიელთა და სპარსელებს შორის. მათი მტკიცებით, აჯანყების დასაწყებად სულ ცოტა 60 შეიარაღებული კაცი მაინც იყო საჭირო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ კავკასიელები ამდენ კაცს ვერ მოაგროვებდნენ და ამ საქმეს ისევ დაშნაკებს მიანდობდნენ, რომელთაც ყოველთვის შეეძლოთ „ასი მებრძოლი ეშოვათ“ და, მაშასადამე, მთავარი როლიც შეესრულებინათ.

მაგრამ როცა ეს ფანდი არ გაუვიდათ, დაშნაკები ახალ

1 „ახალი სხივი“, № 3.

2 იქვე, № 6, 1910 წ. 10 თებერვალი.

განცხადებას აკეთებდნენ: „ჩვენ, დაშნაკელები, არ ვცნობთ არსებული შტაბის წევრებს (ე. ი. ჩამოსულ ქართველებს.), რომლებმაც არ იციან აქაური პირობებიო“. მოუთხოვიათ შტაბის გაუქმება და ახალი სააჯანყებო შტაბის შედგენა 9 კაცის (4 სპარსელისა და 5 დაშნაკის) შემადგენლობით. „ჩამოსული ქართველების ჯგუფი, — განუცხადებიათ მათ, — უნდა მოქმედებდეს ჩვენი ხელმძღვანელობით და არა ჩვენ მათი ხელმძღვანელობით, როგორც ახლაო...“ ამასთან ულტიმატუმი წაუყენებიათ მთელი შტაბის ქონება მათთვის გადაეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში „მონაწილეობას არ მივიღებთ აჯანყებაშიო“<sup>1</sup>.


სერგო დასციინის დაშნაკთა ამ დონკიხოტობას. იგი წერს: „ზემოხსენებული სიტყვები ისეთი რიხით იყო წარმოთქმული, თითქოს დროშაკელებზე ყოფილიყო დამოკიდებული აჯანყების და გამარჯვების ბედ-იღბალი! სად იყვნენ წინათ? რაღა უკანასკნელ საათებში მოისურვეს გაზიარება ამ საძრახისი განცხადებისა? ან კიდევ, თუ მარტო სურდათ რამე, რას აკეთებდნენ ადრე?“<sup>2</sup>... ამ ამონაწერს, კომენტარი არ ჭირდება, ნათლად არის მოცემული დაშნაკთა კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური ბუნება.

როგორც წერილიდან ირკვევა, დროშაკელების მოთხოვნას ყველა აუღელვებია. ერთ-ერთ „გურჯ“ რაზმელს სასტიკი პასუხი გაუცია დროშაკელების უხამსი გამოხდომისათვის და „ანტირევოლუციონერები“ უწოდებია მათთვის. (ფფიქრობთ, ეს „გურჯი რაზმელი“ თვით სერგო ორჯონიკიძე უნდა იყოს. — ა. კ.). მეტის თქმას აპირებდა „გურჯი“, მაგრამ დროშაკელთა მეთაურ ეფრემს ველარ გაუძლია მხილებისათვის და კრებიდან გაქცეულა. შემდეგ, როდესაც დამშვიდებულა და გონს მოსულა ბოდიშის მოხდით უთქვამს: სხვანაირად მინდოდა მეთქვა, მაგრამ თქვენ ვერ მიმიხვდითო. სპარსელები კი, როცა მათთვის „გურჯი რაზმელის“ სიტყვები გადაუთარგმნიათ. ტაშისცემითა და კოცნით შეხვედრიან მას. „ტაშისცემით,

1 „ახალი სხივი“, № 6.

2 იქვე.





კოცნით და „იამასუნ გურჯის“ (გაუმარჯოს ქართველს) ძახილით კრება დახურესო“<sup>1</sup> — წერს სერგო.

როცა დაშნაკთა ოინბაზობა კავკასიელებისათვის უცნობე-  
ბიანთ, მათ გადაუწყვეტიათ უარი ეთქვათ დაშნაკთა ყოველ-  
გვარ დახმარებაზე, გაეწყვიტათ მათთან კავშირი და დაეწყოთ  
ბრძოლა საკუთარი ძალებით.

კავკასიიდან ჩასული რევოლუციონერები რუსეთის სოცი-  
ალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ იყვნენ გაგზავნილი  
და, ბუნებრივია, კონტრრევოლუციურ დაშნაკებთან ისინი სა-  
ერთო ენას ვერ გამონახავდნენ. კავკასიელი რევოლუციონერე-  
ბი სპარსეთში ჩავიდნენ ძმური დახმარებისათვის, რათა მშრო-  
მელ ხალხს მონობის უღელი გადაეგდო, ხოლო „რევოლუცი-  
ონერთა“ ნიღაბს ამოფარებული ავანტიურისტები ამ საქმე-  
ზე ხელის მოთობასა და ჯიბის გასქელებას ლამობდნენ. ამის  
მაგალითები ბევრი ახსოვს სპარსეთის რევოლუციას.

გულწრფელი და უანგარო იყო კავკასიელ რევოლუციო-  
ნერთა მიზნები სპარსეთში, ისინი სიცოცხლის დაუზოგავად  
იბრძოდნენ რევოლუციის გამარჯვებისათვის. როდესაც კავ-  
კასიელი რევოლუციონერები დაშნაკებს გაემიჯნენ და გადა-  
წყვიტეს მართო გასულიყვნენ საბრძოლველად, ერთმანეთისა-  
თვის შეუფიცავთ — „დაე გავწყდეთ, ამხანაგებო! გაუმარ-  
ჯოს თავისუფლებას! იგრილა ერთმა მუჭა ჯგუფმა და ძმუ-  
რად გადაჰკოცნეს ერთმანეთიო“<sup>2</sup> — მოგვითხრობს სერგო.  
ეს კრება 25 იანვარს შემდგარა. კრების შემდეგ ყველა რაზმე-  
ლი აჯანყებისათვის მზადებას შედგომია. „მოირგეს და მოიმ-  
ზადეს იარაღი, დაისვენეს და 26 იანვრის დილის 8 საათისა-  
თვის ყველა ფეხზე დადგა“. სულ 29 მებრძოლს მოეყარა თა-  
ვი. თითო მაუზერზე 120, ხოლო თოფზე 80—90 ვაზნა დაუ-  
რიგებიათ და ამასთან 43 ყუმბარა მიუტციათ. „ამ იარაღით  
უნდა ებრძოლა ოცდაცხრა კაცს შვილას სამოცთან“<sup>3</sup> — ვკი-  
თხულობთ ნარკვევში.

აჯანყება უნდა დაწყებულიყო რეშტის გუბერნატორის

1 „ახალი სხივი“, № 6.  
2 იქვე.  
3 იქვე.

სასახლეზე თავდასხმით. დღის პირველ საათზე გაუგიათ, გუბერნატორი ქალაქგარეთ ბაღში წასულა საქეიფოდ 4—5 დარაჯის თანხლებით და აჯანყების დასაწყებად ეს მომენტი შეუჩრქევიათ. კენჭისყრით 7 რაზმელს რეგებია წილად გუბერნატორზე თავდასხმა. „ამათში ერთი რუსის გარდა ყველა ქართველები იყვნენო“ — გვაუწყებს ავტორი.

შემდეგ მეტად საინტერესოდაა აღწერილი თვით აჯანყება, თუ როგორ მიეპარნენ სპარსულად გადაცმული რაზმელები გუბერნატორის სასახლეს, რა პანიკა გამოიწვია ყუმბარის გასროლამ, როგორ მოჰკლეს გუბერნატორი და ა. შ. „რაზმის დანახვაზე ხალხი შეშინებული უგზო-უკვლოდ გარბის, მაგრამ ცნობილი ორატორის ქესმაის დანახვაზე ყველა შეჩერდა... „იამასუნ მასრუტააა!..“ გაუმარჯოს კონსტიტუციას! — მოისმის ქესმაის ხმა“. ამ ხმაზე კეტებით შეიარაღებული თავრიზელებიც შეერთებიან რევოლუციონერებს და ერთად გაუწყვიათ გუბერნატორის სასახლისაკენ. მათთვის გზა შეუკრავთ სარბაზებს (ჯარისკაცებს). გამართულა ბრძოლა. რევოლუციონერებს ალყა შემოურტყამთ ყაზარმისათვის. შეცვივნულან შიგ, ოცამდე სარბაზი გაუიარაღებიათ და ოთხი იქვე მოუკლავთ. გააფთრებულ სროლასა და ყუმბარების გრიალში მუხლში დაჭრილა რაზმელი შალვა დოლიძე, რომელიც შემდეგ გამირულად დაღუბულა. აი როგორ აღწერს სერგო ამ გამირის თავდადებას: „მუხლში მძიმედ დაიჭრა შალვა დოლიძე, რომელმაც მაინც მოასწრო ყუმბარაში შუშის ჩაშვება და გადასროლას აპირებდა, მაგრამ მეტი სისხლის დენით დასუსტებულს ხელები აუკანკალდა და წასაქცევად გადიხარა... იგრიალა მის ხელში ყუმბარამ და შუა გაგლიჯა... მისმა ამგვარმა სიკვდილმა ყველა გააფთრა და გაშმაგებულნი გაექანენ წინ“<sup>1</sup>.

შვიდი საათისათვის ქალაქი აჯანყებულებმა იგდეს ხელთ. „მთელი მოედანი სავსე იყო ხალხით და ყრიაბულით თავს ევლებოდნენ გურჯებს... დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა გარს ევლებოდა მათ, ყველა სალამს აძლევდა და „იამა-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 6.

სუნ გურჯის“ ძახილით ხელ-ფეხს უკოცნიდა“<sup>1</sup> — მოგვითხრობს ავტორი და დასძენს: ამგვარი კოცნა ჩვეულებრივი სპარსეთშიო.

რეშტის აღების დროს ამიერკავკასიელ რევოლუციონერებს მოუკლეს 2 და დაუჭრეს 8 მებრძოლი, შაჰის ჯარში კი მოკლული აღმოჩნდა 56 სარბაზი, 100-მდე დაიჭრა, ხოლო 150 ტყვედ წამოიყვანეს. შეტაკების დროს მოკლეს რეშტის გუბერნატორი და ორი დიდი მოხელე. დანარჩენმა რეაქციონერებმა რუსეთის საელჩოში შეაფარეს თავი.

არის ერთი მეტად საგულისხმო დეტალი, რომელიც ცხადყოფს, რომ „გურჯები“ ირანში ჩასულან რევოლუციისადმი დახმარების გულწრფელი სურვილით. სერგო წერს: „27 იანვარს რევოლუციონერები მოედგნენ ქალაქს და დაიწყეს რეაქციონერების ჭერა და ჩხრეკა. გურჯებმა ქალაქის დარაჯობაზე, სასახლეების ჩხრეკაზე და ამგვარ სხვა საქმეებზე უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ ხალხს ცუდი თვალით არ დაეწყო ყურება როგორც უცხო ხალხისათვის“<sup>2</sup>. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ისინი რევოლუციონერები იყვნენ და მათ რსდმ პარტიის კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ! თავისუფლებისმოყვარე ირანის ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა „გურჯებზე“. მათი აქტიური დახმარებით მოიპოვეს პირველი გამარჯვება და მათივე სახელით ემუქრებოდნენ მტერს, თუ რამეს გაბედავთ, „აქ არიან გურჯები, რომლებიც ყველას სამაგიეროს გადაუხდინაო“.

29 იანვარს დასაფლავეს შალვა დოლიძე. ეს დასაფლავება გადაქცეულა ირანელი და ქართველი ხალხის ძმობისა და მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად. გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე ცნობილ ორატორს ქესმაის წარმოუთქვამს „გრძნობით სავსე სიტყვა“ და სხვათა შორის უთქვამს:

„...გურჯები ყველას ჩვენი მტერი გვეგონა... მაგრამ ხომ ყველა პხედავთ, ვინა დევს უსულოდ თქვენ წინაშე. ეს არის გურჯი შალვა, შვილი გურჯისტანისა. დღე-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 8, 1910 წ. 12 თებერვალი.

<sup>2</sup> იქვე.

იდან ერთხელ კიდევ უნდა დავინახოთ და ვი-  
დავრწმუნდეთ, რომ თუ ჩვენ სამშობლო  
ირანს მრავალი მტერი ჰყავს, მოყვრებიც  
საკმაოდ მოეპოება.


ეს ჩვენი მოყვარე ხალხი ირანისა გურ-  
ჯებია და გაიგეთ კარგად, რომ დღეიდან გე-  
რავითარი ძალა და შური ვერ შეარყევს ჩვენ  
და გურჯთ შორის მეგობრობას. და თავისუფ-  
ლი ირანიც ღირსეულ პატივს სცემს გურჯის-  
ტანის შვილებს...“ (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ სიტყვებს დღეისათვი-  
საც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ჩრდილოეთ ირანში რევოლუციამ გაიმარჯვა. რეჟიმი  
აიღეს. მთელი პროვინცია გამარჯვებას დღესასწაულობდა. შე-  
იქმნა დროებითი მთავრობა (ენჯომენი), რომელიც მთელ  
პროვინციას განაგებდა. თავრიზიდანაც კარგი ამბები მოდი-  
ოდა. იქაც დაამხეს არსებული რეჟიმი, მაგრამ ამ გამარჯვების  
შემდეგ მასში მონაწილე ხანებმა გვერდი უქციეს რევოლუ-  
ციას. „თითქოს აღარავის აინტერესებდა როგორც მომავალი  
ბრძოლა და ხიფათი, აგრეთვე იმ გმირთა არსებობა (იგულის-  
ხმება კავკასიელი რევოლუციონერები), რომელთა მეოხები-  
თაც დღეს ისინი ბატონობდნენ და ჯიბეებს ისქელე-  
ბდნენ“<sup>1</sup> — წერს ამლ შესახებ სერგო.

საფრთხე კი დიდი იყო. ხმა გავრცელდა, ყაზვინიდან შაჰის  
ჯარი წამოვიდა რევოლუციის ჩასახშობად. მაშასადამე, საჭი-  
რო იყო ზომების მიღება, თეირანის გზის გამაგრება. ამაზე კი  
თავს არავინ იწუხებდა და ესეც „გურჯებისა“ და რამდენიმე  
სომეხის თავსატეხი გამხდარა. მათაც უკისრიათ ეს საქმე.  
უშოვნიათ ცხენები, იარაღი, საომარი მასალა და 30 იანვარს  
24-კაციანი რაზმი (11 ქართველი, 8 სომეხი და 5 სპარსელი)  
გასდგომია თეირანის გზას, რათა რეჟიმისაკენ წამოსული  
შაჰის ჯარისათვის გზა გადაეჭრა და ქალაქი არ დაენებებინა.

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 9, 1910 წ. 13 თებერვალი.



ამ ლაშქრობას სერგო ასეთნაირად აღწერს: „რაზმი ხალხი ხმა დიდი ალტაცებით, მუსიკის კვრით და ყიჟინით გააცილდა. „გაუმარჯოს გურჯებს, გაუმარჯოს სომხებს, გაუმარჯოს მაშრუტას“, — გაიძახოდა ყველა. როდესაც რაზმმა შუა ქალაქის ბაზარს მიაღწია, ქართველებმა შემოსძახეს კახური მაყრული, დანარჩენებმა ჰაერში მისცეს ზალბი და გარეკეს ცხენები. სიმღერის გაგონებაზე ყველა მხრიდან მობრბის ხალხი რაზმისაკენ, გამარჯვებას უსურვებს მას, ვაშას ძახილით, ტაშისკვრით და ყიჟინით ქალაქის საზღვრამდე აცილებს“<sup>1</sup>.

რა ხდება ამ დროს ქალაქ რეშტში და მის პროვინციაში? ხანებმა, როგორც აღნიშნული იყო, ზურგი შეაქციეს რევოლუციას. ამავე დროს, თავი წამოჰყვეს რევოლუციას მიტმასნილმა რეაქციულმა ელემენტებმა და სხვადასხვა ჯურის ნაძირალებმა, რომელთაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდათ — რევოლუციის საბაბით ხელი მოეთხოთ. „გუშინდელი რეაქციონერი, — წერს სერგო, — დღეს წითელი ლენტით მკლავზედ დაბრძანდებოდა იარაღით გამოწყობილი და მცხოვრებთ აწუხებდა... ერთი სიტყვით, გაჩაღდა ნამდვილი ქურდობა“<sup>2</sup>.

სწორედ ამ ხანებში ჩასულა იქ ბაქოდან თავისი დამქაშებით (სერგო რომ „ყოჩებს“ უწოდებს) ვინმე ბაქოელი პანოვი — ხლესტაკოვის ტიპის პირწავარდნილი ავანტიურისტი, რომლის რეშტში ჩასვლასაც, როგორც სერგო გვარწმუნებს, დროშაკელებისათვის დავთრები აურევია.

ვინ იყო პანოვი, ან რატომ გაემგზავრა იგი თავისი დამქაშებით ირანს? მოვუსმინოთ ისევ სერგოს: „ფედორ პანოვი (სტეფან პანოიანცი)... რეშტს ეწვია 28 იანვარს. მან თავი სპარსელებს ისე მოაჩვენა, ვითომ იგი გამოჩენილი რევოლუციონერი იყო რუსეთში, რუსის ოფიცრად ნამყოფი მანჯურიაში იაპონელებთან ომში... და ისეთი მცოდნე სამხედრო საქმისა, რომ... შეეძლო მთელი ქალაქის ორ საათში აფეთქება-სპარსელებმა ინტელიგენტ-ავანტიურისტი პანოვი მართლა

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 9.  
<sup>2</sup> იქვე.




სპარსეთის მხსნელად დასახეს და ბაქოელი ყოჩების წყალობით სამხედრო შტაბის წევრად აირჩიეს<sup>1</sup>. მასაც გაუჩაღებია თავისი ავანტიურისტული საქმიანობა — შანტაჟი და პროვოკაციები.

ამ დროს კი თეირანის გზაზე წასული კავკასიელი რევოლუციონერი რაზმელები წინ მიიწევდნენ. „მეორე დღეს, 31 იანვარს, — აგვიწერს სერგო — რაზმი უხიფათოდ მიუახლოვდა სოფელ რუსტამბადას; მათ წითელი დროშებით ხელში გზაში შეეგება 500-მდე გლეხ-კაცი ხანების ხელმძღვანელობით. „იამასუნ მამრუტა“, „იამასუნ გურჯი“ იგრიალა ბრბომ, როდესაც რაზმმა სამაგიერო სალაში უძღვნა და სიმღერით გადაუხვია სოფ. რუსტამ-აბადისაკენ, ... სადაც რაზმმა შეისვენა“<sup>2</sup>.

1 თებერვალს რაზმი სოფელ რუდბარში მივიდა და გლეხების რჩევით მოხერხებულ ადგილზე დაიკავა ხელსაყრელი პოზიცია, საიდანაც „თუ ყაზვინიდან წამოსული ჯარი გაბედავდა... მთებში შემოსვლას, ცოცხლად დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა“. მაგრამ რადგანაც მტერი არ გამოჩენილა, რაზმელებს განუზრახავთ წინ წაწევა, რათა „ყაზვინს დასცემოდნენ“ და ამით „ხელი შეეშალათ მტრის ძალის მოკრეფისათვის“. რეშტის სამხედრო შტაბს მათთვის ამის ნება არ მიუცია. 10 თებერვალს რუდბარში რაზმს კიდევ მიმეტებია 60 ადგილობრივი გლეხი კაჟიანი თოფებით (გილანელები) და 12-მდე კავკასიელი — ზარბაზნით. 30 თებერვალს ოთხი ქართველით იქ ჩასულა ცნობილი მიუზახ-სულთანი (სარდარ-მუი), რომელსაც უამბნია რა ხდებოდა რეშტში და რას აკეთებდა იქ თავისი „ყოჩებით“ პანოვი, რომელიც ამ დროისათვის შტაბის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო. იმდენად ამაღელვებელი ყოფილა ამ ავანტიურისტის ქცევა, რომ მას დაშნაკების ხელმძღვანელი ეფრემიც კი წონასწორობიდან გამოუყვანია და გათენებისას თავისი რაზმით ჩუმად რეშტში წასულა, „პანოვთან ანგარიშის გასასწორებლად“.

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ. 16 თებერვალი.

<sup>2</sup> იქვე, № 9.



ნარკვევში შესანიშნავადაა აღწერილი ის განგაში, რომელიც გამოიწვია შაჰის ჯარის მოახლოების ცნობამ. ამ ამბის გაგებისთანავე მთელი რაზმი ფეხზე დამდგარა და მტრის დასახვედრად მომზადებულა. „მზვერავი ჯგუფი გაიგზავნა მენტილის ჯგუფისაკენ, დანარჩენები დაიყვნენ პატარ-პატარა ჯგუფებად და საფრებისაკენ გაექანენ.... ბოლო საფარში, საიდანაც მტერი უნდა შემოსულიყო და საიდანაც პირველი ყუმბარა უნდა გავარდნილიყო, ჩასხდნენ საუკეთესო მეზობლო ქართველები. შუაში დროშაკელები და 25 სპარსელი ჩაისვეს... 4 საათზე ყველა მზად იყო... 5 საათზე დამზვერავი ცხენოსანი ჯგუფი დაბრუნდა და აცნობა რაზმს ჯარი არსად ჩანსო. ამ სიტყვების გაგონებაზე ყველამ მოიწყინა, ყველა ილანძღებოდა. რაზმმა მაინც ღამის გატარება მტრის მოლოდინში საფრებში არჩია მეორე დღემდე“<sup>1</sup>.

ინტერესმოკლებული არ არის ნარკვევის ის ნაწყვეტი, რომელშიც ავტორი მეტად კოლორიტულად და მიმზიდველად აგვიწერს რაზმელთა ბანაკობას იმ ღამეს, ქართველთა მხიარულებას, მათ სულიერ მხნეობას უცხო ქვეყანაში. „შუა ღამეა. ზოგიერთ საფარში ცეცხლი ანთია. გარშემო რაზმელები შემომწყრივებულან. ზოგი ღვინოს სვამს, ზოგი იცინის და ჯარს (შაჰის) ლანძღავს. შუა გზიდან მოისმის ქართული ურმული სიმღერა, რომელსაც ყველა სიმღერის მოყვარე სულგანაბული ყურს უგდებს და დათაგებისას განმეორებას თხოულობს. ღამის ორი საათია. ღვინო გამოილია. ცეცხლიც ოდნავ ბუჩუტავს. რაზმელები სიცივისაგან ერთმანეთს ეკვრიან. მოულოდნელად საფარში შემოვარდება ერთი რაზმელი და ავლაბრული კილოთი ატყობინებს ამხანაგებს: „ვაა! ეს რა ვნახე, კაცო! ოთხასმა ვირმა ერთად ჩაიარა ამ გზაზე! ჩემმა მზემ, აი!“ ავტორი იქვე განმარტავს — ღამე დიდი მოძრაობააო თეირანის გზაზე, მეტი წილი ჩალვადრებისა ღამე ერეკება დატვირთულ ჯორ-აქლემებსო და შემდეგ ისევ განაგრძობს: „ამ ამბის მომტან რაზმელს ავლაბრული კილოთივე უყიჟინებენ: „ოთხასპირველიც შენ იქნები, შე ოხერო, შენა, განა ვირები-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 9.

სათვის გვალვები? რამაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია და ცხვენილი „ბროლიაგა“<sup>1</sup> ლანძღვით გაბრუნდა უკან.

ოთხი საათია. თითქოს ყველას სძინავს, მარტო წინა საფრიდან მდისის „სიმინდსა თოხნა დავუწყოთ“, სიმღერა, რომელიც აფხიზლებს და ახალისებს მიყუჩებულ არე-მარეს“<sup>2</sup>.

დილის 7 საათისათვის კი ყველა რაზმელი, გარდა მორიგი დარაჯებისა, სოფელში ბრუნდება. ჩასვლის უმალ მათთვის რეშტში მყოფ ამხანაგებს უცნობებით პანოვის თავაშეებულობა. „რაზმელებს ყველას გული აუშნდვია ამ ამბავმა და გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ რეშტში და აელაგმათ ეს პროვოკატორი“. მაგრამ მიუზამ-სულთანის, რომელიც „ბევრ ქართველს ძმასავით უყურებდა“, თხოვნით — არ მიეტოვებინათ იგი და განსაცდელში არ ჩაეგდოთ — შეუცვლიათ თავისი თავდაპირველი განზრახვა და მხოლოდ ორი ამხანაგი გაუგზავნიათ რეშტში საქმის გასარჩევად.

ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით ეხება პანოვის (სტეფანე პანოიანცის) ამბავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის ბაქიობით მან ისე მოხიბლა სპარსელი ინტელიგენცია, რომ სამხედრო შტაბის წევრადაც კი აირჩიეს. პანოვმაც „არ დაახანა და, შესდგა თუ არა შტაბში ფეხი, თუკისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა“. ის აღარავის აღარ სცნობდა, არც ენჯომენს, არც სამხედრო შტაბის წევრებს და არც რევოლუციურ დაწესებულებებს. ხელთ იგდო შტაბის მთელი ქონება—20000 თუმანი, იარაღი და რაც კი რამ მოიპოვებოდა. დარაჯად ბაქოელი „ყოჩები“ დაიყენა და შტაბის წევრებს შტაბის კარებშიც არ უშვებდა. მითვისებული ფულით მიეცა გარყვნილ-გათახსირებულ ცხოვრებას თავისი „ყოჩებიანად“, რომელთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა ბაქოდან ახალ-ახალი „შევსების“ ჩამოსვლით. რეშტის აღებიდან 2 — 3 კვირის შემდეგ იქ უკვე 300-მდე ასეთ „რევოლუციონერს“ მოუყრია თავი, რომლებიც „გარყვნილობის მეტს არაფერს არ

1 თბილისელ რაზმელთა შორის მართლაც იყო ერთი, რომელსაც ამ სახელით იცნობდნენ, მისი სახელი და გვარი დაუდგენელია, ისევე როგორც სხვა ბევრი რაზმელისა, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ.

2 „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ. 16 თებერვალი.






კეთებენ“. პანოვისა და მისი დამქაშების თავხედური პარპაშობა იქამდე მისულა, რომ მათ ყველა რევოლუციური ორგანიზაციისა და პირის წინააღმდეგ გალაშქრებაც კი განუზრახავთ.“ როდესაც პანოვმა საკმარისი ძალა მოიკრიბა, მაშინ აშკარად დააპირა... გალაშქრება: სეპეხდარზე, მიუზამ-სულთანზე, ენჯომენზე და, ასე გასინჯეთ, ქართველებზედაც-კი“, — წერს სერგო. „ვინ არიან ქართველები, საიდან მოთრეულან და რა უნდათ მაგათ სპარსეთშიო“. გაიძახოდა თურმე ეს თავხედი გაიძვერა.

საქმეში ჩარეულა „კარგად გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნე შტაბის „ქართველი წევრი“, რომელსაც „ნიადაგი გამოუცლია“ პროვოკატორის თარეშისათვის და მოუთხოვია მისი სპარსეთიდან გაძევება. წინააღმდეგ შემთხვევაში, განუცხადებია მას, ქართველები უკან დაბრუნდებიან და სომხებიც არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ მომავალ ბრძოლაშიო. ენჯომენი დაუფიქრებია ამ გარემოებას და საქმის გამორკვევა ქართველებისათვის მიუხდვია.

20 თებერვალს გამართულა ქართველ-სომეხთა და დანარჩენ კავკასიელთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოითხოვა პანოვის ირანიდან გაძევება. ამ ამბავს პანოვის ყურამდეც მიუღწევია, მაგრამ მას აინუნშიაც არ ჩაუგდია და კვლავ თავისას განაგრძობდა. პანოვი ცდილობდა მთელი რევოლუციური ძალების მბრძანებელი გამხდარიყო.

22 თებერვალს სომხების თეატრის დარბაზში გამართულა კრება, რომელსაც დასწრებიან გილანელ-თავრიზელი სომხები, ჩასული ქართველები და ბაქოელი „ყოჩებიც“. ამ კრებას უნდა გაესამართლებინა პანოვი და თუ იგი დამნაშავედ იქნებოდა მიჩნეული, სპარსეთიდან უნდა წასულიყო. ავანტიურისტს ბევრი მოსარჩლე გამოჩენია, „მაგრამ ცნობილმა შტაბის წევრმა ქართველმა ყველას სიტყვა გააქარწყლა, ყველას ხმა ჩააკმედინა და ურჩია დამსწრეთ უფრო თვალხილულად მიექციათ ყურადღება პანოვისათვის; იგი ურჩევდა სპარსელთ არ ნდობოდნენ პანოვს და შეერთებული ძალით გაეძევებინათ იგი სპარსეთიდან, რაზედაც უმრავლ-




სობა დასთანხმდა და „იასუსუნ მაშრუტას“ ძახილით კრება დაიშალაო“<sup>1</sup> — წერს სერგო.

მაგრამ პანოვი მაინც თავისას არ იშლიდა. ენჯომენი და სხვა დაწესებულებანი ავანტიურისტების შიშით გადაძვრელ ზომებს ვერ მიმართავდნენ. მაშინ „გურჯებს“ კატეგორიულად დაუსვამთ საკითხი — ან ჩვენ წავალთ სპარსეთიდან, ან პანოვი იქნას გაძევებულიო. „რა თქმა უნდა, — წერს სერგო, — სპარსელებს ერთი პანოვის გაცლა ერჩიათ 40 ქართველის გაცლას“. კიდევაც გადაწყვეტილა მისი გაძევება, მაგრამ ავანტიურისტის ავანტიურისტია, რომ ასე იოლად დასთმოს პოზიცია: ამ დადგენილებიდან სწორედ ერთი თვის შემდეგ, 20 მარტს, როგორც წერს სერგო, ამ ნიადაგზე დიდი დავა ატეხილა. საქმე იქამდე გართულებულა, რომ კავკასიიდან ცენტრალური კომიტეტის ორი წევრი რასულ-ზადე და რახიმ-ზადე ჩასულა რეშტში. ამ უკანასკნელს პანოვის მხარე დაუჭერია, „მე, როგორც ც. კ. წარმომადგენელი, უფრო ვიცნობ პანოვს, ვიდრე თქვენო“ — უთქვამს ქართველებისათვის „თქვენ (ქართველებს) ასე გეგონათ უთქვენოდ... გაგვიჭირდებოდა რეშტის აღებაო“. ამაზე ქართველებს ასე უპასუხნიათ: „ჩვენ ქართველები არ მოვსულვართ აქ... როგორც ქართველები ჩვენ (მოვედით) როგორც ინტერნაციონალისტები და, მაშასადამე, რევოლუციონერები. (ხაზგასმა ჩვენია. — ა. კ.). თუ თქვენ, ვიდაც პანოვს, რომელსაც პირველად ჰხედავთ, ჩვენზე კარგათ სცნობთ და ჩვენზე მაღლა აყენებთ, სჩანს, ჩვენ საჭირონი აღარ ვყოფილვართ თქვენთვის. მაშ, გისურვებთ თქვენი მხსნელი პანოვით გამარჯვებასაო“<sup>2</sup> და ლაშქრობაში მყოფი ქართველი რაზმელებისათვის ტელეფონით შეუტყობინებიათ რეშტში დაბრუნებულიყვნენ კავკასიაში წასასვლელად. ენჯომენს მხოლოდ ახლა მიუღია გადაძვრელი ზომა პანოვის გასაძევებლად. პანოვიც მიმხვდარა, რომ მისი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, დასთანხმებია კიდევ წასვლას, მაგრამ გზის ფულად (!) 7000 თუმანი მოუთხოვია. ენჯომენს ჩუ-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 11.

<sup>2</sup> „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ. 19 თებერვალი.



მად 3000 თუმანი მიუცია და ისიც თავისი თერთმეტი ბაქო-ელი „ყოჩით“ სპარსეთს გასცლია.

ავანტიურისტი პანოვის ირანში ჩასვლის ეპიზოდის მოთხრობისას სერგო ნათლად მიგვანიშნებს იმ საფრთხეზე, რასაც ეს გაიძვერა თავისი „ყოჩებით“ უქადდა ირანის რევოლუციას, რომ კავკასიელ მებრძოლებს დროზე არ ემხილათ და არ გაეძევებინათ ისინი, რაც არც ისე იოლი საქმე გამოდგა.

პანოვის წასვლის შემდეგ რეშტში სიმშვიდე დამყარდა. საბრძოლო ძალები გაერთიანდა და „თეირანის გზაზე თითქმის 80 კაცმა მოიყარა თავი. გურჯების ჯგუფიც გაიზარდა“. მარტის დამლევისათვის რაზმში 50 კაცი ითვლებოდა. „ენჯომენიც უფრო გულმოდგინედ მუშაობდა, რადგან ყველა წევრმა შეიგნო თავისი მოვალეობა“. თუმცა რევოლუციონერთა რიცხვი ათასს აღემატებოდა, მაგრამ ყველანი როდი იყვნენ გულითადად შეგნებით ახალი წესწყობილების მოტრფიალენი. სერგოს გადმოცემით, ზოგიერთები (უმეტესად გილანელები) იმისათვის ეწერებოდნენ რაზმში, რომ რაიმე გამორჩენა ენახათ. იყო ღალატის შემთხვევებიც. ზოგიერთები შაჰის მხარეზე გადადიოდა და პროვოკაციებს უწყობდა რევოლუციის დასახმარებლად ჩასულ კავკასიელებს. სერგო ასახელებს იუზბაშ-ჩაიდან გაქცეულ ერთ გილანელ ქერიმ-ალას, რომელიც რეშტში ჩასულა და პროვოკაციები მოუწყვია ქრისტიანების წინააღმდეგ — „მათ სპარსეთში გაბატონება უნდათ“. მაგრამ ამ პროვოკაციებს კავკასიელთა აქტიური ჩარევით ბოლო მოღებია. რევოლუციონერთა ავტორიტეტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი რიგებიც. „რევოლუციონერთა რაზმი საკმარისად გაიზარდა... 1500 კაცს აღემატებოდა“, — წერს სერგო, — და იქვე განაგრძობს: „ეს ძალა ნამდვილად კმაროდა ყაზვინზე კი არა, თეირანზე გასალაშქრებლადაც, მაგრამ რეშტელები იძულებული ხდებოდნენ ელოდათ თავრიზიდან დამამშვიდებელი ამბებისათვის“<sup>1</sup>.

საქმე ისაა, რომ თავრიზში ამ დროს რუსის ჯარი შევიდა და რევოლუციონერებს ავიწროებდა. ამასთან მეფის მთავრობის წაქეზებით რეშტზე გალაშქრებას აპირებდა არდაბილის

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ. 19 თებერვალი.

გუბერნატორი. ეს განზრახვა რომ განხორციელებულიყო, სპარსეთის რევოლუციას ბოლო მოეღებოდა. მეორეს მხრივ რევოლუციას ემუქრებოდა ყაზვინელი ქიაზ-ნაზიმი. სპარსეთის რევოლუციას საფრთხე დაემუქრა.

ფართო მსჯელობისა და ვითარების ღრმად აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყდა ყაზვინზე გალაშქრება.


სერგო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს ამ ლაშქრობას:

რევოლუციური რაზმი თეირანის გზით წინ მიიწევედა, 18 მარტს იგი მენტილში იყო. იუზბაშ-ჩაიდან მას ტელეფონით შეატყობინეს, რომ იუზბაშ-ჩაის მახლობლად, ქურთების სოფლებში, ჩავიდა ყაზვინის მთავარსარდლის ქიაზ-ნაზიმის შვილი გენერალი ნასირ-ხანი თავისი რაზმით. იგი ხალხს აწიოკებს და რევოლუციონერებზე გასალაშქრებლად ემზადებაო. „თვით ნასირ-ხანი, — კვითხულობთ სერგოს ნარკვევში, — ტელეფონით ემუქრებოდა მენტილში მყოფ რაზმს და ასე ამბობდა: „მე მზად ვარ სამავიერო პასუხი გავცე ვიღაც ურჯულო გურჯებს. მათ მე გილანელი არ ვეგონო. ვინც კი გაჰბედავს იუზბაშ-ჩაის ხიდის აქეთ ერთი ფეხის გადმოდგმას, ვნახოთ, რა დღეს დავაყრიო“<sup>1</sup>.

„რეშტის შემდეგ, — განაგრძობს სერგო, — რევოლუციონერებს არავითარი შეტაკება არ მოსვლიათ მტერთან და აი, ახლა ნასირ-ხანთან მოსალოდნელმა ბრძოლამ ყველა ექსტაზში მოიყვანა. რევოლუციონერთა შორის ბევრი ახლად ჩამოსული კავკასიელი ქართველი და სომეხი იყო და ამ ახალჩამოსულებს კიდევ უფრო ეხალისებოდათ ბრძოლა“.

საღამოს 4 საათი იყო, როცა რაზმი წითელი დროშის ფრიალით სალაშქრო გზას დაადგა. მას 62 ვერსი გზა უნდა გაეგლო, რომ მენტილიდან იუზბაშ-ჩაიში ჩასულიყო. წინ მზვერავები გაგზავნეს. მტრის ბანაკამდე ერთი ვერსი იყო დარჩენილი. როცა გზაში გაწელილი რაზმი ერთად შეგროვდა და ორად გაიყო, ქართულ-რუსული ენების მცოდნენი ერთ „გურჯს“ გაჰყენენ, თათრულ-ფარსულ-სომხურისა კი ეფრემს, და ჭენებით გაეჭანენ მტრის პოზიციებისაკენ. წინ ქარვასლა იყო. ფიქ-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ. 19 თებერვალი.




რობდნენ, რომ ნასირ-ხანის რაზმი იქ იქნებოდა, მაგრამ ვარაუდები არ გამართლდა, მტრის ძირითადი ძალა მთებში იყო წაქაზებული და იქიდან დაუშინეს ტყვია რევოლუციონერებს. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ნასირ-ხანი და გენერალი იბრაჰიმ-ხანი ქარვასლას ამოფარებოდნენ თოფებმომარჯვებულნი. მათ ზურგიდან მიჰპარვია ერთი რაზმელი და ნასირ-ხანისათვის თოფი ხელიდან გამოუგლეჯია, იქვე მდგომ მეორე რაზმელს კი რევოლვერით მოუკლავს იგი. მძიმედ დაჭრილი იბრაჰიმ-ხანი დაუტყვევებიათ. იქ მყოფ ირანელ გლეხებს მოუთხოვიათ მტარვალი ცოცხალი არ გაუშვათო, და ისიც იქვე დაუხვრეტიათ. ნასირ-ხანისა და იბრაჰიმ-ხანის დახოცვას დიდი სიხარული გამოუწვევია მათნაყმევ-გლეხებში. „აღარ გვქონდა, ჩვენო მზენო, მათგან მოსვენება. რაც გვებადა, ძალით თუნებით, ყველაფერი წაგვართვეს, ოჯახი აგვაწიოკეს და ეხლა ძალით გვერეკებოდნენ თქვენთან საბრძოლველად, მაგრამ თქვენ მოგვისწართ და დაგვიხსენით მოსალოდნელ წამებისაგან. დღეის შემდეგ ჩვენც თქვენთან ერთად დავიხოცებითო და რამდენიმე ახალგაზრდა ქურთი მაშინვე შეუერთდა რაზმს“<sup>1</sup> — ასე აგვიწერს სერგო მტარვალების დახოცვით გამოწვეულ ადგილობრივ მკვიდრთა სიხარულს.

ამის შემდეგ დაიწყო ლაშქრობა ყაზვინზე. იუზბაშ-ჩაიდან ყაზვინამდე 50 ვერსი რჩებოდა. მოლაშქრე რაზმი შესამჩნევად იზრდებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ რაზმს ათი-თხუთმეტი შეიარაღებული ცხენოსანი ქურთი არ შეერთებოდა. ახლად შემომატებული მეზრძოლები მზად იყვნენ სხვებთან ერთად გაეწირათ თავი. რაზმი თავის რიგებში უკვე 1500 კაცზე მეტს ითვლიდა.

რევოლუციონერებს პირველი შეტაკება ქიაზიმ-ნაზიმის რაზმთან მოუხდათ. ეს ის ქიაზიმია, რომელსაც რევოლუციონერებმა შვილი მოუკლეს. ახლა სამაგიეროს გადახდას მოწყურებული ქიაზიმი სისხლის აღებით იმუქრებოდა. სერგო მას ახასიათებს როგორც დიდ ფეოდალს, რომელიც ორასამდე სოფელს ჰფლობდა. მას კიდევაც შეუკრებია 1000 ქურთი და 200 კაციანი ავანგარდი უფროსი შვილის მეტაურობით რევოლუ-

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 11.



ციონერების წინააღმდეგ დაუძრავს. მათ ასეთი გეგმა ჰქონდათ დასახული: ქიაზიმის რაზმის ნაწილი უნდა ჩასაფრებულა ამბუს მთებში (თეირანის გზის მარჯვნივ), ხოლო ნაწილს უკნიდან წამოეგლო პაჩინარში მყოფი რევოლუციური რაზმისათვის. ამავე დროს ყაზვინიდან გამოილაშქრებდა შაჰის ჯარი და ამგვარად შუაში მოიმწყვდევდნენ რევოლუციონერებს, რომელთაც ასეთ შემთხვევაში მთლიანად ამოწყვეტა ელოდათ, მაგრამ ქიაზიმი მოტყუებულა და რევოლუციონერების ხაფანგში თვითონვე გაბმულა.

სერგო ამ ამბავს ასე ასწერს:

„1 აპრილს ქიაზ-ნაზიმის შვილს რევოლუციონერთა დასაზვერად გამოეგზავნა ოთხი მთიელი ხანი, რომლებსაც რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ უნდა შეეპყრათ ერთი კავკასიელი მაინც და ტყვედ წაეყვანათ; ხანები ჩვეულებრივ მშვენიერ ცხენებზე ისხდნენ და მენტისისაკენ მიეშურებოდნენ, რომ მათ მოულოდნელად გარს შემოერტყა ჯგუფი კავკასიელებისა. ხანებმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრეს, რომ ყველას მენტისისაკენ უკრეს თავი...“<sup>1</sup> ერთი სიტყვით, ქიაზიმ-ნაზიმი იძულებული გამხდარა იარაღი დაეყარა, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ მისი უმცროსი შვილი რევოლუციონერებმა დაატყვევეს.

რევოლუციონერები თანდათან ყაზვინს მიუახლოვდნენ. მის ასაღებად დიდი და გააფთრებული ბრძოლა შეხვდათ. ასეთ ბრძოლას, ცხადია, უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. რევოლუციონერებს მოუკლეს 4 და დაუჭრეს 18 კაცი. დაღუპულთა შორის ყოფილა იოსებ ცქიმიანური, რომელიც დიდი პატივით დაუკრძალავთ. შაჰის ჯარში აღმოჩენილა 120 დახოცილი და 200-მდე დაჭრილი.

„გამარჯვების უმაღლეს ყაზვინში გაიხსნა ენჯომენი და საჭირო რევოლუციური დაწესებულებანი, რომელშიც ჩვეულებისამებრ მოღებები და ბელადი ხანების ნათესავეები მოჰყვენო“<sup>2</sup> — იუწყება სერგო.

მანამდე კი ავტორი დეტალურად აღწერს ბრძოლას ყაზვინისათვის. ამ აღწერაში მეტად საინტერესო და ზოგჯერ სასა-

1 „ახალი სხივი“, № 14.

2 „ახალი სხივი“, № 24, 1910 წ. 4 მარტი.

ცილო საბრძოლო ეპიზოდებს ვკითხულობთ. არის გილანელი-  
ბის მზაკვრობაც, ზოგიერთი ადგილობრივი ხანის დაღმარება,  
მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავდადება, რაც გან-  
საკუთრებით კავკასიელებს ახასიათებდათ, თავისი გაიტანა, —  
ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. თუმცა, როგორც ზევით  
მოყვანილი ამონაწერიდან დავინახეთ, „ხელისუფლება მაინც  
მოლებმა და ხანებმა იგდეს ხელთ“<sup>1</sup>.

სერგო აღწერს ერთ ამაზრზენ ეპიზოდს, რომელსაც აღუშ-  
ფოთებლად ვერ წაიკითხავ: „სეპეხდარიც რეშტიდან ჩამოვიდა  
ყაზვინში, რომელსაც ხალხი დიდი აღტაცებით მიეგება და  
ჩვეულებისამებრ უნდოდათ ცოცხალი კაცი მსხვერპლად მი-  
ერთმიათ. შემოვიდა თუ არა სეპეხდარი შუა ქალაქში, მის  
ეტლს გადაეღობა ბავშვით და გალესილი დანით ხელში ვილაც  
გილანელი. დააწვინა ბავშვი მიწაზე და ის იყო ყელში დანა  
უნდა გამოესვა, რომ ხელი სტაცა ერთმა ქართველთაგანმა და  
საცოდავი ბავშვი, რომელიც შავი თვალებით ხმის ამოუღებ-  
ლად მამას შეპყურებდა, სიკვდილს გადაარჩინა“.


კავკასიელთა მისია ყაზვინის ადებით თითქოს დამთავრე-  
ბული ჩანს. როგორც სერგო წერს, 15 მაისისათვის ორი-სამი  
კაცის გარდა ყველა რეშტში დაბრუნებული სამშობლოში წა-  
სასვლელად. მაისის გასულს კი „სამოცი კაციდან 8—9 კაციღა  
იყო რეშტში დარჩენილი, რომლებიც პოლიციას (რუსეთის)  
ერიდებოდნენ და დროებით რეშტში დარჩენა არჩიეს“<sup>2</sup>.

ყაზვინის დაცემით დამფრთხალმა შაჰმა ხალხს კონსტიტუ-  
ცია უბოძა, რასაც დიდი ზემოთ შეხვდნენ. სეპეხდარმა წინა-  
დადება მისცა რევოლუციონერებს იარაღი დაეყარათ და ნაბო-  
ძები კონსტიტუციით დაკმაყოფილებულიყვნენ. შექმნილა  
გაურკვევლობა. თვით რევოლუციონერებსაც არ სცოდნიათ  
როგორ მოქცეულიყვნენ — დაკმაყოფილებულიყვნენ კონს-  
ტიტუციით თუ ბრძოლა განეგრძოთ.

მდგომარეობაში გარკვევისათვის ხელი შეუწყვია ბახტიარ-  
თა (სპარსელ მთიელთა) ბელადის სამ-სამ-სალოთანეს გამოჩე-  
ნას, რომელსაც მოუწოდებია ხალხისათვის შეერთებული ძა-

1 „ახალი სხივი“, № 17, 1910 წ. 23 თებერვალი.

2 იქვე, № 24.



ლებით გაელაშქრათ თეირანზე. „ამ წინადადებამ, — ამბობს სერგო, — ყველას ფრთები შეასხა და გამოაფხიზლა“<sup>1</sup> დროზე არ გამოჩენილიყვნენ ბახტიარები, — განაგრძობს იგი, — გილანელები... შეურიგდებოდნენ შაჰს და... სპარსეთის რევოლუციას ბოლო მოეღებოდა“<sup>1</sup>.

რას წარმოადგენდნენ ბახტიარები, რომლებიც ავტორს სპარსეთის რევოლუციის მხსნელებად გამოჰყავს?

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ვრცელი ამონაწერი სერგოს ნარკვევიდან სპარსეთის ამ მამაცი ტომის დასახასიათებლად:

„ბახტიარებისთანა საუკეთესო მებრძოლი ტომი სხვა არ მოიპოვება სპარსეთში. სიკვდილ-სიცოცხლე, ჭირი და ლხინი სულ ერთია მთიელი ბახტიარისათვის. გაწვრთნილი მხედრები და საუკეთესო თოფის მსროლელი ბახტიარები, თქმა არ უნდა, მარტოც დაამარცხებდნენ შაჰის ჯარს და, თუ საჭირო იქნებოდა, მთელ დანარჩენ სპარსეთსაც.

ვისაც უბრძოლია ბახტიარებთან ერთად და ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ბახტიარების შეუპოვარ ბრძოლას, მხოლოდ მას შეუძლია სთქვას რამე ბახტიარებზე, როგორც მებრძოლებზე! ნუ ჰკონია მკითხველს, რომ ის შახსევანები, რომლებმაც არღებილი და ადერბაიჯანი აიღეს, ის ქურთები, რომლებიც ერთი თოფისათვის ასი კაცის თავს შეწირავენ, ოღონდ კი თავისას მიადწიონ, თალიშელი, ბაქოელი და სხვა ტომები შეეღარონ სივაყკაცეში ბახტიარებს. ბახტიარი ყველგან მეომარია და ამას შემდეგ დავინახავთ“<sup>2</sup>.

აი, ასეთ ვაყკაცებს გაუწვდიათ დახმარების ხელი რევოლუციისათვის.

„ქართველების წასვლით ფრთებშეკვეცილ რეშტ-ყაზვინელები, — წერს სერგო, — ახლა კი იმედით აღივსენ და საჩქაროდ გაემგზავრნენ თეირანისაკენ, სადაც გზაში უნდა შეერთებოდნენ სამ-სამ-სალთანეს ძმის სარდარ-ასადის რაზმს და შემდეგ თეირანზე გაელაშქრათ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ. მარტი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.





როგორც აღნიშნულია ნარკვევში, თითქმის 2500 მოუყრია თავი და გაუწევია დანიშნული ადგილისაკენ ბანტიარებთან შესაერთებლად. პირველი ბრძოლა შაჰის ჯარებთან რევოლუციონერებს ჰქონიათ სოფ. შა-აბადთან 22 ივნისს, მაგრამ დამარცხებულან და ჩასანგრულან. დეპეშა გაუგზავნიათ რეშტში დარჩენილი ქართველებისათვის და დახმარება უთხოვიათ. ქართველები დათანხმებულან და 23 ივნისს ყაზვინში წასულან, რასაც აგრეთვე ხალხის დიდი სიხარული და აღტაცება გამოუწვევია. „მათ გარშემო მთელმა რეშტმა კვლავინდულად მოიყარა თავი, კოცნა-ხვევებით და „იასუსნ გურჯის“ ძახილით კიდევ ერთხელ გააცილეს ქალაქს ქართველები, — აგვიწერს ამ ამბავს სერგო და განაგრძობს: „გურჯყარადაღელებმა, რომელთაც ადრევე ჰქონდათ ერთმანეთში კავშირი, ყაზვინში მოიყარეს თავი და გადაწყვიტეს ერთად ებრძოლათ“<sup>1</sup>.


24 ივნისს გურჯ-ყარადაღელები ჩავიდნენ ყაზვინში, სადაც შესვენებაც ვერ მოასწრეს, რომ სამ ქართველს მყისვე მოუხდა შა-აბადში სასწრაფოდ წასვლა მიუზამ-სულთანისა და ეფრემის თხოვნით.

„რათ იყო სამი ქართველი საჭირო ორი ათასი რაზმელისათვის, ნუთუ უმათოთ... ძნელი იყო მტერზე მისვლაო?“, კითხულობს სერგო და იქვე უპასუხებს — „დიახ, ძნელი იყო“ და განმარტავს: „ეს იმისათვის, რომ სხვებთან შედარებით იმ მცირერიცხოვანი გურჯების ჯგუფში, რომელიც ყაზვინში იღებდა მონაწილეობას, ოცი ისეთი მებრძოლი მოიპოვებოდა, რომ რამოდენიმე ას სარბაზს არ გაექცეოდა. გურჯების მედგარი ბრძოლა მთელ სპარსეთში განთქმული იყო და პირველად, სადაც კი შეტაკება უნდა მომხდარიყო, ისინი მიდიოდნენ წინ, მეორეც, ამოდენა ხალხში არც ერთი ყუმბარის მსროლელი არ მოიპოვებოდა, გარდა ქართველებისა, თუმცა ორი კარგად გამოცდილი ყუმბარის მსროლელი რუსი იყო, მაგრამ ისინიც გურჯების ჯგუფის წევრებად ითვლებოდნენ“<sup>2</sup>.

25 ივნისს გურჯ-ყარადაღელები ყარაბაღში ჩასულან.

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 28.

<sup>2</sup> იქვე.



გზაში მათ „იამასუნ გურჯის“ ძახილით შეგებებიან ბელადები და მიუწვევიათ შაჰ-აბასის ძველ სასახლეში თეირანის ახლოს. აქ ისინი შეუიარაღებიათ იმ 200 თოფით, რომელიც მამედ-ალი შაჰს გლეხებისათვის დაურიგებია მისი ტახტის დასაცავად, უკანასკნელთ კი რევოლუციონერებისათვის ჩაუბარებიათ მთლიანად, შემდეგ გურჯ-ყარადაღელებსა და ბახტიარებს შეერთებული ძალებით მიუტანიათ იერიში თეირანზე.


ისე შესანიშნავად აქვს სერგოს ეს ლაშქრობა აწერილი, რომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტის მთლიანად აქ მოყვანა, რათა გვეჩვენებინა რამდენად კარგად ჰფლობდა ავტორი კალამს და რა ზუსტად აღწერდა ამ გრანდიოზულ ბატალიას:

„გურჯი-ყარადაღელების შეერთებამ ბახტიარები უფრო გაამხნევა. ბახტიარების მეზარბაზნე არტილერიის გენერალი სართიბ-ხანი ზარბაზანს არ აცდენდა ღალეი სულეიმანში მყოფ შაჰის ჯარს, რაც ტაშის ცემას და ყიჟინს იწვევდა რევოლუციონერებში.

კავკასიელებმა შესვენებისას წინ წაიწიეს და შეუერთდენ მოწინავე ბახტიარების რაზმს, რომელიც მტერზე სულ 700 ნაბიჯის სიშორეზე იდგა კედელს ამოფარებულნი.

შეერთებისას ბახტიარ-გურჯ-ყარადაღელებმა უმაღლეს დასწყვიტეს ციხეზე იერიშის მიტანა. გასწიეს წინ და არ გაუბენიათ ორასი ნაბიჯი, რომ თავს წააწყდენ პატარა ხევში ჩასაფრებულ მტრის მოწინავე რაზმს.

გაჩაღდა ბრძოლა. კავკასიელებმა პირველად ნახეს ბახტიარების სივაჟაკე. ვერც ტყვიას, ვერც ზარბაზანს ვერ შეეძლო მათი შეჩერება, ყველა სროლით მიიწვედა წინ. მალე კავკასიელებმა მოიმზადეს მაუზერები (ბახტიარს მაუზერი არ უყვარს და არც არავის ჰქონდა) და ბახტიარებთან ერთად გადავიდნენ (შეიჭრნენ) მტრის ბანაკში, — გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ორი საათი გასტანა, რის შედეგადაც მტერი გაიქცა ციხისაკენ. მტერმა დასტოვა ოცდაშვიდი დაჭრილ-დახოცილი, 50 თოფი და 7 ყაზახ-ბახტიარი ცოცხლად შეიპყრეს. რევოლუციონერების მხრით დაიჭრა და დაიხოცა ოცდათორმეტი ტყვე. ბახტიარებში აღმოჩნდა ძმა ბახტიარ-რევოლუციონერისა. ბახტიარები იყვნენ როგორც რევოლუციონერების მომხრე, ისე შაჰის მომხრენიც.



მარცხნივ ფლანგზე სოფელ დემოვიზში იბრძოდნენ ეფრემი და დანარჩენი გილანელები, რომელთაც ცუდი დღე დასდებოდა და კინაღამ დამარცხდნენ. ეფრემი რამდენიმე საუკეთესო დროშაკელით შაჰის მომხრე ბახტიარებმა მოტყუილებით შეიპყრეს, ზოგს იარაღიც აპყარეს და ტყვედ უპირებდნენ წაყვანას, მაგრამ მათ დროზე წამოეშველენ ამხანაგები, ხუთმეტამდე ბახტიარი დახოცეს და ტყვეები გაათავისუფლეს...

მათი განთავისუფლების შემდეგ მარცხენა ფრთამ ძალა მოიკრიბა, იერიში მიიტანა მტერზე, რომელიც სოფ. ბადამეკში გაიქცა. დაიწყო ზარბაზნების სროლა ორივე მხრიდან. მტერმა მინდორში დასტოვა ოცამდე მოკლულ-დაჭრილი. რევოლუციონერებს მოუკლეს ოთხი, დასჭრეს ექვსი კაცი და ოთხი ცხენი. ამავე ბრძოლაში მოკლეს ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი, დროშაკელი ხეჩო.

შაჰის საუკეთესო მთელმა ჯარმა ღალეი-სულეიმანის ციხეში მოიყარა თავი, საიდანაც განუწყვეტელი თოფ-ზარბაზნის სროლა იყო. მაგრამ მათ ერთადერთ ზარბაზანს შიგ ტუჩში მოხვდა ტყვია და შუაზე გაჰყო.

27 ივნისს საღამოთი ბახტიარები აპირებდნენ იერიშის მიტანას ღალეი-სულეიმანის ციხეზე, მაგრამ ქართველებს საკმაო ყუმბარები არა ჰქონდათ, ხალხიც ძალზე დაღალული იყო და სეპეხდარიც იწერებოდა იერიშის შიტანა არ გაბედოთ, რადგანაც მსხვერპლი დიდი იქნებოდა.

სეპეხდარმა გვირჩია ყველანი შევერთებულყავით და შუაკაცობა გვანდეს მე და სპარსელ მამედ-ალის (ყარადღელს). ის იყო გავცდით სოფელს, რომ სოფელ ბადაბეკიდან, რომელიც მხოლოდ ერთი ვერსით არის დაშორებული დემოვიზზე, იქუხა მტრის ზარბაზანმა, რაზედაც რევოლუციონერებმაც უპასუხეს. მთელი საათი ზარბაზნების შეუწყვეტელი სამხრევი სროლა იყო. მალე რევოლუციონერები გაიფანტნენ მინდორში და სროლით, სირბილით გაექანენ მტრისაკენ. მტერი გაიქცა და ზარბაზნებიც გაიტაცა. რევოლუციონერებს მოუკლეს ხუთი კაცი და 10-მდე ცხენი. საღამოთი ბახტიარები შეუერთდნენ ყაზვინ-რეშტელებს და გადაწყვიტეს დაეჩქარებინათ თეირანზე გალაშქრება.

ბახტიარებს აინტერესებდათ ყუმბარა, რომლისაც ძალიან უშინოდან. მათ სთხოვეს ქართველებს გაეცნოთ მათთვის ყუმბარის ძალა. ქართველებმაც არ დაახანეს და მეგობარ ბახტიარებს სურვილი აუსრულეს. მანქანის (აპარატის) საშუალებით ცხრა გირვანქიანი ყუმბარა კედელში ააფეთქეს და ორი საყენის სიმაღლე კედელი მტვრად აქციეს. ბახტიარები დიდ ალტაცებაში მოიყვანა ყუმბარამ. „ოღონდ თქვენ თეირანის კედელი აგვიფეთქეთ, რომ ქალაქში შესვლა შეგვეძლოს და მერე ნახეთ რა დღეს დავაყრით ქაჩალებსაო (ქაჩალებს სარბაზებს ეძახდნენ ისინი).

ამავე საღამოს რაზმს სურს ღალეი-სულეიმანის ციხე ააფეთქოს. ცხენოსან ჯარს სამხმხრივ ზალპები უნდა ესროლა, რომ ქართველები ცეცხლს ქვეშ მიჰპარვოდნენ ციხეს და აეფეთქებინათ.

რევოლუციონერების შეერთებული რაზმი ხუთი ათას კაცს აღმატებოდა, რომელიც ნელა გაჰყვა მინდორ-ბილიკით თეირანის ვაკეს, იგი ასცდა ყველა იმ სოფელს, სადაც შაჰის ჯარი იმყოფებოდა, გათენებისას გადაუხვია მარცხნივ რუსების მიერ გაკეთებულ საფოსტო გზაზე. როდესაც სოფ. აბანდს ჩაუარა, იქ ჩასაფრებული ყაჩაღები გააქცია. მამაცმა ბახტიარებმა მათ შესაშინებლად მხოლოდ ჰაერში დასცალეს თოფები და ყიჟინით გააცილეს სოფელს ყაჩაღები.

5—6 ვერსზე გაფანტული რაზმი ნელა მიიწევდა წინ. იქნებოდა დილის 8 საათი, როდესაც წინა პირმა რაზმისამ თეირანის გორაკიდან გადმოჰხედა ამწვანებულ თეირანს.

რაზმი მოურიდებლად მოუახლოვდა მეჩეთ-აბადის ალაყაფის ქალაქის შესავალ კარებს, რომელიც ღია დახვდა, თუმცა კარებში სამოცამდე კარგად შეიარაღებული შაჰის მომხრე ბახტიარი იდგა ერთი ზარბაზნით, მაგრამ რაზმის დანახვაზე ისე აირიენ, რომ ვერც კი მოასწრეს ღიახოვისათვის ეცნობებინათ რევოლუციონერების ქალაქში შესვლა. სროლა-კი მათ მხრივ ყოვლად უსარგებლო იქნებოდა, რადგანაც ცოცხალი ვერავინ დააღწევდა თავს.

რაზმი შევიდა ქალაქში (ტყუილია სხვადასხვა გაზეთების ცნობები, ვითომ რევოლუციონერები სხვადასხვა მხრიდან შესულიყვნენ ქალაქში. ყველა მეჩეთ-აბადის კარიდან შევიდა).

წინა რიგი რაზმისა გაეშურა განადგურებულ მეჯლისისაკენ. აქ ბელადებს დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ უკან ჩამორჩენილებს არ მოუცადეს, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად შემოვიდნენ და გზების უცოდინარობის გამო მტრის ცეცხლში ეხვეოდნენ.

პოლკოვნიკ ლიახოვს შაჰის ჯარი კარგად დაენაწილებია...

მეჯლისში მისული რაზმი სამად გაიყო: ბახტიარები, როგორც „ყოფნა-არყოფნის“ გადამწყვეტნი, მოედნენ მთელ ქალაქში უფრო საფრთხილო ალაგებს. გილანელები მეჯლისის ეზოში დარჩნენ და იქვე გალავანში გამაგრდნენ. ეფრემმა თავისი რაზმით ალა-ედ-დოულეს ქუჩის შუა გული კუთხე დაიჭირა, ინგლისის და ოსმალეთის საკონსულოების შუა ალაგი, რადგანაც ეშინოდა ღალატისა და სომხების „პოგრომისა“...

ყველა ქუჩებში ბრძოლა თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო. ზარბაზნების ქუხილი, თოფ-მაუზერის სროლა, ხალხის ყრიაშული — ყველაფერი ერთმანეთში ირევა, ეფრემი და გილანელები მტერს მარტო სროლაზე უპასუხებდნენ... თეირანში მარტო ბახტიარები იბრძვიან.

მეტი წილი გურჯ-ყარადაღელებისა, რომლებიც ცხენების ძებნაში უკან ჩამორჩნენ რაზმს, ჯერ არსად ჩანს, მათ თურმე გზაში ყაზახები დაეცენ, მაგრამ ყაზახები გააქციეს.

ყუმბარის გრიალი არსაიდან არ მოისმის. სროლას ყური შეეჩვია. ცა მოქუშულია, თითქოს რაღაც საშინელებას მოელოსო.

თეირანი იბრძვის, თეირანის ქუჩები სავსეა დაჭრილ-დახოცილებით.

1 ივლისს თუმცა ზარბაზნების სროლა განუწყვეტელია, ყუმბარის გრიალი კიდევ არსაიდან ისმის, მხოლოდ თეირანი კარგად გრძნობს, რომ გურჯები უახლოვდებიან ქალაქს და ყუმბარის გრიალი მოწამეა მათი ქალაქში შემოსვლისა...

თენდება... მოისმის ქუხილი. გავარდა ერთი... ხუთი... კიდევ და კიდევ. მედგარი ბახტიარები ყუმბარის გრიალით გონება-აბნეულ მტრის ჯარში ყიჟინით, დამკლავებულნი ხელ და ხელ გადაერიენ.

ბახტიარებმა მტერს წაართვეს ორი საუკეთესო ახალი სისტემის ზარბაზანი, რომლებიც შაჰის ჯარის იმედს შეადგენდა, და სროლით ყაზახთა ბრიგადის ყაზარმებისაკენ მიიწვევენ. კი-



დევ გავარდა ყუმბარა, რომლის გრიალითაც გარშემო მტერ-  
შემორტყმულ თვით ქართველ-ყარადაღელების ხელმძღვანელებს  
ატყობინებენ გამარჯვებას და ხსნას.

ბახტიარების სივაჟაკით ყველას გული მიეცა, მათ გვერდ-  
ში ამოდგომა ოთხი-ხუთი გურჯი და თავდავიწყებით ყველა  
მხარეს ყუმბარებს ისვრის. ყველას გიჟივით დაუჭყეტია თვა-  
ლები და წინ მიიწევს. არავინ არ ერიდება არც ტყვიას, არც  
ზარბაზანს და არც არავითარ ძალას.

მთელი დღე სროლაა. თეირანის ქუჩები სისხლით არის  
მორწყული და შეღებილი.

პირველი ივლისი გადამწყვეტია გამარჯვება-დამარცხე-  
ბისათვის.

ვილაც ტელეფონით ატყობინებს ინგლისის კონსულს  
„ქართველები ქალაქს ყუმბარებს ესვრიან. გთხოვთ მიიღოთ  
ზომები, რომ შესწყვიტონ სროლა და დაიცვან უცხოელთა  
ინტერესები“.

ინგლისის და ავსტრიის კონსულები მართლა ჩაერივნენ საქ-  
მეში. უცხოელებს წინადადება მისცეს, ვისაც ეშინოდა, საკონ-  
სულოში ჩამსხდარიყვნენ, ცალკე შაჰის ჯარს გამოუცხადა კონ-  
სულმა თოფი არ გაესროლათ ინგლისის საკონსულოაკენ,  
უკანასკნელ შემთხვევაში იძულებული გახდებოდა რაიმე ზომე-  
ბი მიეღო მათ წინააღმდეგ.

ბახტიარები თავისას განაგრძობენ. განიერი ჩაშვებულ  
შარვლები ქამრებში აუკრავთ. ჭუჭყიანი პერანგები დაუმკლავ-  
ვებიანთ, უკანასკნელად, ყუმბარის გრიალში, „ოოოო“ ძახილით  
კიდევ გადაერივნენ მტრის ჯარში და კიდევ გაიმარჯვეს.

ჯარის უფროსის ბრძანებით, ალა-ედ-დოულეს ქუჩის სათა-  
ვეში ჩასაფრებულ ორ გურჯს ხუთჯერ კიდევ ესროლეს ზარბა-  
ზანი, მაგრამ ამაოდ. ისინი თავისას განაგრძობდნენ და ბრძო-  
ლის მესამე დღეს, როდესაც პატრონები შემოელლიათ, „Русское  
Слово“-ს კორესპონდენტის კრინსკის დახმარებით თავს უშვე-  
ლეს და ამხანაგებს შეუერთდნენ.

შუა დღის ორ საათზე ხმა გავრცელდა შაჰი გაიქცა რუსის  
საკონსულოშიო. ეხლა კი აშკარა იყო რევოლუციონერების  
გამარჯვება. სროლამაც იკლო და ჯარის უფროსი იწერება:  
გნებდებით, ჩემს ჩაზახებს ხელს ნუ ახლებთო.



რა თქმა უნდა, როდესაც შაჰი გაიქცა და ლიახოვიც დაწვედა და რევოლუციონერებს, დანარჩენ შაჰის ჯარსაც მეტი გზა არ ჰქონდა, იარაღი უნდა დაეყარა — და ასეც მოხდა. სროლა სრულიად მიწყნარდა.

რევოლუციონერები თავისუფლად დასეირნობენ რეაქციონერების უბნებში. მეჯლისის ეზოში მუსიკა უკრავს მარსელიოზას. რაზმელები ერთმანეთს ეხვევიან და გამარჯვებას უსურვებენ...

„გაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს ბახტიარებს“... მოისმის ირგვლივ ხმა... ეხლა, დაბოლოვებისას გულ-ახდილად შეგვიძლია ვთქვათ ვინ აიღო თეირანი...

თუ თეირანი სამი დღე განუწყვეტლივ იბრძოდა და ხალხმა გაიმარჯვა, ეს მოხდა გმირი ბახტიარების მეოხებით...

თეირანი აიღეს ბახტიარებმა, რომელთა რიცხვი 2500 კაცს აღემატებოდა და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბახტიარები თუ არა, რეშტ-ყაზვინელები ვერ გაბედავენ თეირანზე წასვლას და თუ გაბედავდნენ, ლიახოვის ჯარი ან ყველას გაელეტდა, ან ცოცხლად შეიპყრობდა და სპარსეთის რევოლუციას დროებით „ბოლო მოეღებოდა“...

5 ივლისს თეირანი ყმაწვილს, ჯერ ისევ ბათუმს-ახმედ-მირზას ლოცავს კონსტიტუციონურ შაჰად. ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ბახტიარების ბელადს, სარდარ-ასადს, ირჩევენ შინაგან საქმეთა მინისტრად, სეპეხდარს სამხედრო (თუმცა სამხედრო მინისტრობა პირველს უფრო ეკუთვნის), დაშნაკაცაკან ეფრემს პოლიცემისტრად. რამდენიმე ქართველს წინადადებას აძლევენ, რომ დარჩენ ყაზახთა ბრიგადაში აფიცრებათ. მაგრამ არავინ დასთანხმდა...

ამით დამთავრდა სპარსეთის რევოლუცია (თუ კი ამას რევოლუციას დავუძახებთ). ხალხმა, ანუ უფრო რამდენიმე მდიდარმა ხანმა, გაიმარჯვეს: თავიანთ წრიდანვე ამოირჩიეს დანარჩენი მინისტრები და საჭირო მოხელეები და ვითომ ხალხიც პარლამენტის გახსნის მზადებას შეუდგა...“<sup>1</sup>

<sup>1</sup> „ახალი სხივი“, № 35.

ასე ამთავრებს სერგო თავის ნარკვევებში — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ — სპარსეთის რევოლუციის წერას.

\*

\* \*

სერგო ორჯონიკიძის ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობის კვლევა-ძიების პროცესში ჩვენს წინაშე დადგა კითხვა — ნუთუ სხვა დროსაც არ მიუმართავს სპარსეთის ამბების ესოდენ საინტერესოდ აღმწერ ავტორს იმდროინდელი პრესისათვის. ჩვენ ვვარაუდობდით, არ შეიძლებოდა რევოლუციური იდეებით გატაცებულ ახალგაზრდა სერგოს, რომლის ფიზიკურ თვალსა და გამჭრიახ გონებას არ ეპარებოდა არცერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, არ გაეშუქებინა პრესაში მაშინდელი საქართველოს სიდუხჭირე და არ ემხილებინა სოფლად თუ ქალაქად მეფის მოხელეებისა და მათი დამქაშების თარეში. მით უფრო სავარაუდო იყო, რომ სერგო აუცილებლად ასახავდა პრესაში რუსეთის პირველი რევოლუციის გამოძახილს საქართველოში, რადგან თვით იღებდა ამ რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობას და ქვეყნის სოციალური უკუღმართობის შეუპოვარი მამხილებელი და მის წინააღმდეგ დაუნდობელი მებრძოლი იყო.

ისევ ძველ არქივს, ისევ ძველი გაზეთების კომპლექტების თვალყურებას შევუდექით და აი კიდევ გამართლდა ჩვენი ვარაუდი.

ჩვენს წინაშეა გაზეთების „ლამპარისა“ და „ტალის“ 1906 წლის კომპლექტები. იქ, რუბრიკაში „პროვინცია“, ჩვენ ვხვდებით „სერგოს“ ხელმოწერით გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს გუდაუთიდან 17(1) ივნისის თარიღით, ხოლო ღორეშადან 11 (24) აგვისტოს თარიღით.

კორესპონდენცია გუდაუთიდან დეტალურად აგვიწერს მდგომარეობას 1906 წლის ივნისის დღეებში, როცა იქაც, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებში, თავი წამოჰყო რეაქციამ სოხუმის ოლქის უფროსის თავად ლევან ჯანდიერისა და მისი დამქაშების სახით, რომლებიც ლიბერალობის ნიღაბ-





აფარებულნი ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ მშვიდობის  
 ლეზი და აეცდინათ ისინი რევოლუციურ გზას. მაგრამ მათ  
 ლაბს ხდის „ერთი სოფელ-სოფელ მოსიარულე“, რომელმაც  
 „ტყავი გააძრო... ჯანდიერს და... როცა ამხანაგმა ხალხს მოუ-  
 წოდა განშორებოდნენ მატყუარა პოლიციელს, ხალხმა იგრი-  
 ლა და განშორდა მას“.

სერგოს ბიოგრაფიიდან ვიცით ეპიზოდი, როცა გუდაუ-  
 თაში ჩასული „ლიბერალი“ პოლიციელი თავადი ჯანდიერი,  
 რომელსაც უნდოდა მოეტყუებინა ხალხი, ამხილა სერგო ორ-  
 ჯონიკიძემ. „სოფელ-სოფელ მოსიარულე“, რომლის შესახებაც  
 სერგო წერს, სწორედ თვითონ სერგოა, რომელმაც მართლა  
 ტყავი გააძრო ოლქის უფროსს გუდაუთაში გამართულ მი-  
 ტინგზე და ამხილა ეს მაღალი თანამდებობის პოლიციელი.  
 ხალხმა მაშინ მართლაც ზურგი შეაქცია ჯანდიერს და ორჯო-  
 ნიკიძის მხარე დაიჭირა.

მაგრამ უმჯობესია თვით კორესპონდენტს მოვუსმინოთ. იგი  
 ღირს იმად, რომ მთლიანად მოვიყვანოთ, რადგან იშვიათი  
 სიზუსტით გადმოგვცემს გუდაუთაში შექმნილ მდგომარეობას  
 იმ პერიოდში, როცა იქ სერგო ორჯონიკიძე საავადმყოფოს  
 ფერშლად მუშაობდა და თავის რევოლუციურ მოღვაწეობას  
 იწყებდა. რევოლუციური მებრძოლის პირველი წრთობა ხომ  
 მან პირველად გუდაუთაში გაიარა!


აი ეს კორესპონდენციაც:

„გ უ და უ თ ი. მსურს, მკითხველო, მოკლედ გაგაცნო გუ-  
 დაუთის მცხოვრებნი, რომელთა უმეტეს ნაწილს მეგრელები  
 შეადგენდნენ. რა იყვნენ ესენი რეაქციის გამეფებამდე და რა  
 არიან დღეს. როდესაც 19 ოქტომბერს ჩვენამდისაც მოაღწია  
 მანიფესტის ხმამ, უეცრად ქუჩაში გამოჩნდა წითელი დროშით  
 ხელში ადგილობრივი სიცოცხლით საესე ახალგაზრდობა (ნოქ-  
 რები, ქარგლები და მედროგეები), რომლებიც შეადგენდნენ  
 ადგილობრივ გაყვლეფილ რაზმს; მეორე და მესამე დღეს  
 გაიმართა ბულვარში მიტინგები, რომლებსაც მრავალი ხალხი  
 დაესწრო. წარმოითქვა სიტყვები ქართულ, რუსულ და აფხა-  
 ზურ ენაზე, სადაც ვრცლათ იყო განმარტებული რ. ს. დ. მ. პ.  
 პროგრამა და რუსეთის რევოლუციონური მოძრაობა. ყოველი-  
 ვე ამას ადგილობრივი მცხოვრებნი დიდის აღტაცებით ეგებე-  
 76



ბოდენს, და ყოველივე მიტინგის გათავების შემდეგ დროშით ხელში, დიდებული კარლ მარქსის სურათით და რევოლუციონური სიმღერით შემოუვლიდნენ ხოლმე თავის პატარა დაბას. ამ დროიდან ფაქტიურად გაუქმებულ იქნა ადგილობრივი ადმინისტრაციული დაწესებულებანი: ხალხმა ხმამალა აღიარა, რომ იგი სრულწლოვანია და მისთვის აპეკუნი აღარ არის საჭირო. კაცებს არც ქალები ჩამორჩნენ, იმათაც გამართეს სახლებში კრებები და იწვევდნენ ადგილობრივ ამხანაგებს კრებებზე. ერთი სიტყვით, რაკი იგემა ახლათ გაღვიძებულმა გუდაუთმა თავისუფლება, მთელი თავისი არსებით მის განხორციელებას შეუდგა.

სწორედ ამ დროს აქ გამოგზავნეს სოხუმის ოლქის უფროსათ ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი ლევან ჯანდიერი, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი ისახელა თავისი ხულიგნური მოქმედებით. ეს ვაჟბატონი მოსვლისთანავე ბულვარისაკენ გამოეშურა, სადაც იმ დღეს ხალხს მიტინგი ქონდა. იგი გაერია ხალხში და დაიწყო ჩვეულებრივი ლათაიები. პირველი მისი სიტყვები აი ეს იყო: „ნუ გგონიათ მე თქვენზე ნაკლები ლიბერალი ვიყო, აი ამ მუნდირის ქვეშ ქართველის გული ძვერს, მე ოცდახუთი წელიწადი ხალხის კეთილდღეობისათვის ვშრომობ და სხვ“. მაგრამ არ იქნა და ვერ აშორდა „კრამოლნიკებს“, რომლებმაც მოურიდებლად დაუწყეს მის ბრწყინვალეობას მტკიცება, რომ იგი ლიბერალი კი არა, პოლიციელია. რა ნახა ჩვენმა ოლქის უფროსმა, რომ მარტო ლიბერალობით ფონს ვერ გადის, მეორე დღეს აფხაზების კრებაზე ლიბერალობას ავტონომისტობაც დაუმატა და ისე წარსდგა აფხაზების წინაშე, დაიყენა მთარგმნელად ადგილობრივი გაპონი მ. ნ. ლადარია და მიმართა საზოგადოებას, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებით: „ეხლა რუსეთში მრავალი პარტიები გაჩნდნენ და თვითელი მათგანი მდაბიო ხალხის ინტერესების დაცვას ჩემულობს, მაგრამ ზოგიერთ მათგანს, მიუხედავად იმისა, რომ აღჭურვილია სურვილით ხალხის ინტერესები დაიცვას, მაინც არ შეუძლია მათი ინტერესების დაცვა და ამიტომ თქვენ ნუ დაუჭერთ მხარს სოფელ-სოფელ მოსიარულე ბავშვებს, რომლებსაც თვითონაც არაფერი გაეგებათ. მხარი დაუჭირეთ მხო-



ლოდ ავტონომისტებსო“. გაჩნდა ამ დროს ერთი სოფელ-სო-  
 ფელ მოსიარულე და თავიდან დაწყებული ფეხებამდის ტყვე  
 გააძრო ჩვენ ჯანდიერს, და უკანასკნელათ, როცა ამხანაგმა  
 ხალხს მოუწოდა განშორებოდენ მატყუარა პოლიციელს,  
 ხალხმა იგრილა და გაშორდა მას. ამის შემდეგ ხსენებული  
 უფროსი შეუდგა თავის მამაბაპურ ხელობას: მან პირველათ  
 შეადგინა შავი რაზმი სოხუმში, შემდეგ გუდაუთში მ. გაპონის,  
 მურძაყან ლაკირბაიას, ანტიპა მარგანაძის და ალექსი ლადა-  
 რიას მეთაურობით, რომლებმაც ღირსეულათ შეასრულეს თა-  
 ვიანთი დანიშნულება. დაიწყო თუ არა რეაქცია, მათ მაშინვე  
 გამოიყვანეს თავისი ლაშქარი აზ. დიმიტრი მარღანიას მეთაუ-  
 რობით, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ უფროსის მიერ  
 დარიგებული ბერდანკებით. მათი გამოსვლისთანავე მოიკიდა  
 ფეხი ყოველივე საზიზღრობამ გუდაუთში — გუშინდელი თა-  
 ვისუფლებით აღფრთოვანებულ გუდაუთს დღეს ხულიგანთა  
 რაზმისაგან განადგურება მოელოდა, შიშისაგან თავზარდაცე-  
 მული ხალხი მიიმალა, ამავე დროს აქ იყვენ კაზაკებისაგან  
 შეპყრობილი ათი კაცი; და თუ დაუჭერებთ შავრაზმელთა მე-  
 თაურს, რომელმაც პირადად უთხრა დაჭერილ ადგილობრივი  
 სამკურნალოს ფერშალს ორჯონიკიძეს, რომ მას უფლება მის-  
 ცა ოლქის უფროსმა მოკლას იგი და აფხაზი გურჯუა, მაშინ  
 უფრო აშკარა შეიქნება რა შვილიც ბრძანდება ბ. ჯანდიერი.  
 იმის წყალობით მთელი აფხაზეთი ხულიგანთა ბუდეთ გადაიქ-  
 ცა. ახლა კი ამ ვაჟბატონმა აქ ხმა გაავრცელა, რომ მას ირჩევენ  
 თბილისის საადგილმამულო ბანკის დირექტორად. ნეტარება  
 მათ, ვისაც ასეთი მოღვაწე ეყოლება დირექტორად! ხულიგან-  
 თა ღრბოს გამეფების შემდეგ, როგორც სხვაგან, ისე აქაც  
 საღერღელი აეშალათ ადგილობრივ ხაზეინებს და ფეხქვეშ  
 გათელეს ყოველივე ხელშეკრულება თავის ნოქრებთან. წინათ  
 თუ მათ რვა საათის სამუშაო დღე მოიპოვეს, ახლა დილის  
 ექვსი საათიდან ღამის 11 საათამდისაც ამუშავებენ. მაგრამ  
 აღიმაღლა თუ არა დროებით შეჩერებულმა პროლეტარიატმა  
 თავისი ხმა და დაბერა თავისუფლების სიომ, სურათი ისევ  
 იცვლება: ხაზეინებს წინადადება მისცეს ხელი აეღოთ ავაზა-  
 კურ ქცევაზე, რამაც კიდევაც იმოქმედა მათზე. საღამოობით

ხშირად გაიგონებთ მარსელიეზას და სხვა რევოლუციონერ-სიმღერებს; ხულიგნებსაც ეტყობათ წელში გატეხა. ჯანდიერს და დანარჩენ ხულიგნებს, არც ადგილობრივი მღვდელი ქაჯუარაძე ჩამორჩება. ეს ვაჟბატონი იძულებული გახდა გურიიდან გამოქცეულიყო, შემდეგში ბრძანდებოდა სამურძაყანოში, საიდანაც თავის ხელობას განაგრძობდა, და როცა აქაც დაუწყეს დევნა, მისგან მოსვენება აღარ ქონდა სოხუმელ ამხანაგებს, საიდანაც ის თითქმის ყოველდღე წერილებს იწერებოდა და ამტკიცებდა ვითომ და თავის კარგ კაცობას. ახლა ეს ვაჟბატონი გულაუთში ბრძანდება და ეკლესიაში წესიერების დასაცველად კაზაკებს თხოულობს. ალბათ ესეც რეაქციისაგან არის წათამამებული. ფრთხილად იყავი, მღვდელო! თორემ თავისუფლების დრო ისეც მოდის“<sup>1</sup>.

ესეც კორესპონდენცია სერგოს სამშობლო სოფელ ღორეშადან:

„ს ო ფ. ღ ო რ ე შ ა (შორაპნის მაზრა). ბერდანკებით შეიარაღებული 7 კაცი შუადღისას მივიდნენ გურჯია ორჯონიკიძისას და მოითხოვეს ფულები. რადგანაც შინ არავინ დახვდათ, შეცვივდნენ სახლში, დაამტკრიეს ფანჯრები, სკამები, ზანდუკები და შემდეგ მოუყარეს შუა ზალაში ქვეშაგებს თავი, გადაასხეს ნავთი და მოუკიდეს ცეცხლი, შემდეგში გამოვიდნენ სახლიდან და ცეცხლი მისცეს ბოსელს, სადაც დამწყვდეული იყო სამი ძროხა, რომელნიც შიგვე გამოიწვევენ. შემდეგ ამისა, აუარეს იმავე სოფელში მცხოვრებ დათა მაჭავარიანს და მღსიმონ კურტანიძეს. პირველიდან წაიღეს 150 მან. და ნაბადი, მხოლოდ თუ მღვდელს დაუფუჯრებთ, მისგან არაფერი წაუღიათ. 2 — 3 აგვისტოს ამავე სოფელს მიუცვივდნენ მცარცველები ბიქტორ ორჯონიკიძეს და წაართვეს 55 მან. ეხლა ხალხი შიშობს, ჯარი არ შემოვიდესო. საყურადღებო ის არის, რომ ყველა ეს ვაჟბატონები სხვადასხვა პოლიტ. პარტიების სახელით სძარცვავდნენ ხალხს“<sup>2</sup>.

ეს კორესპონდენციაც მამხილებელი ხასიათისაა. რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიიდან იმის ცოტა ფაქტი როდია

<sup>1</sup> „ლამპარი“, № 44, 1906 წ. 17 (1) ივნისი.

<sup>2</sup> „ტალა“, № 11, 1906 წ. 11(24) აგვისტო.



ცნობილი, თუ როგორ ძარცვავდნენ ხალხს პოლიტიკურ ტყვეობაში, ტიებს ამოფარებული, შენიღბული ნაძირალები. სწორედ ამ ნაძირალებს ამხელს კორესპონდენტი.

\*

\* \* \*

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სერგო ორჯონიკიძეს არაერთი საინტერესო წერილი გამოუქვეყნებია ჩვენს პარტიულსა და საბჭოთა პრესაში. ამ უკანასკნელ წლებში მისი რჩეული სტატიებისა და სიტყვების კრებულებიც გამოიცა, მაგრამ ორივე ამ შემთხვევაში იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგება არა როგორც ყურნალისტი, ამ სიტყვების პროფესიული გაგებით, არამედ როგორც დიდი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.

ჩვენს მიერ მოყვანილი და გარჩეული წერილები კი სერგოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის სწორედ ყურნალისტურ მხარეს აშუქებენ.

სპარსეთიდან გამოგზავნილ, თუ „ლამპარსა“ და „ტალაში“ გამოქვეყნებულ წერილებში სერგო გვევლინება ნიჭიერ ყურნალისტად, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ღირსეულ „საკუთარ კორესპონდენტად“. როგორც დავინახეთ, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწისა და თავდადებული პროფესიული რევოლუციონერისათვის დამახასიათებელ ალღოსა და უნარს არც ყურნალისტურ საქმიანობაში უღალატნია. სერგოს წერილები და ნარკვევები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, რომ მათ ავტორს უბრალოდ და მეტყველად, სადად და გასაგებად შეუძლია გააშუქოს რთული სოციალურ-პოლიტიკური და რევოლუციური მოვლენები. ავტორი ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებებს, ხალხურ თქმებსა და ანდაზებს, იდიომებს; წერილებში იგრძნობა გამოცდილი პოლემისტი და იუმორით დაჯილდოვებული ადამიანის მახვილგონიერება.

სერგო ორჯონიკიძის წერილებსა და ნარკვევებს ახასიათებთ მწვავე სარკაზმით ტექსტის დამუხტვა, განსაკუთრებით მაშინ,

როცა ავტორი რევოლუციის მტრებსა და ორგულებს, რეჟიმსა და პოლიტიკურ თაღლითებს ამათრახებს. ხშირად და ეფექტურად მიმართავს სერგო სატირასაც.

ყურნალისტური მოღვაწეობის ხანა არ არის ხანგრძლივი პერიოდი სერგოს, ბიოგრაფიაში. მაგრამ ეს წლები მეტად საინტერესოა და ჩვენმა ახალგაზრდა ყურნალისტებმა მათ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ. ეს მათ უეჭველად დიდ სარგებლობას მოუტანს.

ენაც ურიგო არ უჩანს კორესპონდენტს. მართალია, ვვხვდება რუსიციზმებიც და ზოგიერთი სინტაქსური შეუსაბამობანიც, მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ეს წერილები იწერებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, 1906—1910 წლებში, როცა ქართული ენა დევნილი იყო. იმ ხანად არც საკუთარი ტერმინოლოგია მოგვეპოვებოდა და ბევრი ცნება უცხოური ტრანსკრიპციით იწერებოდა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის შემდეგ, რაც საქართველომ თავისუფლება მოიპოვა და სწავლა-განათლება დედაენაზე დაწესდა, ჩვენი ენაც ინტენსიურად განვითარდა.

ასე რომ, სერგოს მაშინდელ წერილებში ენისა და სტილის მხრივ დღეს ზოგიერთი რამ თუ საჩოთიროდ მოგვეჩვენება, ეს ამ გარემოებით უნდა ავხსნათ.

ხსენებულ გაზეთებში ჩვენ შევხვდით სპარსეთიდან გამოგზავნილ სხვა ავტორების წერილებსაც, მაგალითად, სილიბისტრო ჯიბლაძისას<sup>1</sup>, და გადაუჭარბებლად ვამბობთ, რომ უპირატესობა სერგოს წერილებს უნდა მივანიჭოთ როგორც შინაარსის, ისე თხრობის მანერისა და, რაც მთავარია, ფაქტებსა და მოვლენებში ღრმად ჩახედვის, მათი პოლიტიკური სიმახვილით გადმოცემის მხრივ.

ვფიქრობთ, თანამედროვე ახალგაზრდა მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევაც, თუ რა პოლი-

---

<sup>1</sup> ს. ბ. ჯიბლაძე (1859—1922) — მენშევიკი. რეაქციის პერიოდში მიგმხრო ლიკვიდატორებს. იყო საქართველოს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ტიკური მიმართულებისა იყო ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთა საკუთარი კორესპონდენტიც სერგო ორჯონიკიძე იყო.

ჟურნალი „სხივი“ და გაზეთები: „ლამპარი“, „მომავალი“, „ჩვენი გაზეთი“, „ახალი სხივი“ მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ლეგალური ორგანოები იყო. ჟურნალი „სხივი“ ყოველკვირეულად გამოდიოდა, ხოლო „ლამპარი“, „ტალღა“, „მომავალი“, „ჩვენი გაზეთი“ და „ახალი სხივი“ ყოველდღიურ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთებად იწოდებოდნენ.

მათში ერთნაირად თანამშრომლობდნენ როგორც ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები, ისე მენშევიკები, ბოლშევიკ ავტორებს შორის, სერგო ორჯონიკიძის გარდა, ვხვდებით ისეთ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: ფილიპე მახარაძე, ცილისწამების შედეგად უდროოდ დაღუპული, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე აბელ ენუქიძე (წერდა „აბელის“ ფსევდონიმით), თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე სერგო ქავთარაძე, რომელიც ლიტერატურულ მიმოხილვებს ბეჭდავდა, და სხვანი. ხშირად იბეჭდებოდა აგრეთვე ცნობილი ბოლშევიკი-პოეტი ნოე ზომლეთელის ლექსები.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, სერგო ორჯონიკიძის სახით ზემოდსახელებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ურიგო კორესპონდენტი არ ჰყოლია. უეჭველია, რომ მკითხველები ყოველთვის ინტერესით მოელოდნენ მის წერილებსა და ნარკვევებს ირანიდან და ხარბადაც კითხულობდნენ მათ. ამ წერილებიდან ისინი სისტემატურად იგებდნენ ირანის რევოლუციის ამბებს, რაც მაშინ მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ყურადღების ცენტრში იდგა, და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მოვლენების განვითარებას. ირანის რევოლუციის ამბები უთუოდ ყველაზე მეტად დააინტერესებდა ამიერკავკასიის ხალხებს და კერძოდ ქართველებს, რომელთა მრავალი წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ რევოლუციაში. კორესპონდენტი სერგო ორჯონიკიძეც შესანიშნავად აკმაყოფილებდა ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობის ამ გაზრდილ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას.

ჩვენ, საბჭოთა ჟურნალისტებს, საამაყოდ ისიც გვეყოფა, რომ ამ პროფესიას მიაკუთვნებდა თავს თანამედროვეობის

უდიდესი ადამიანი, მოწინავე აზრის ტიტანი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელი და საყვარელი ბელადი ვ. ი. ლენინი.

ახლა ამ სიამაყის გრძნობას ერთვის იმით გამოწვეული დიდი კმაყოფილება, რომ ყურნალისტიკაში უმოღვაწეა ლენინის უერთგულეს მოწაფესა და თანამებრძოლს სერგო ორჯონიკიძესაც, და როგორც დავინახეთ, არც თუ ურიგოდ.

\*

\* \*

უკვე დიდი ხნის შემდეგ, როცა რუსეთის გამრულმა მუშათა კლასმა დიდი ლენინის მეთაურობით ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია მოახდინა და ხელთ იგდო ძალაუფლება, ჩვენი საამაყო თანამემამულე გ. კ. ორჯონიკიძე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ რევოლუციაში და მისი გამარჯვების შემდეგ ჩვენი პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწედ იქცა, უდიდეს ყურადღებას აქცევდა ბოლშევიკურ პრესას და ყოველნაირად უწყობდა ხელს მის განვითარებას, ღრმად სწამდა მისი როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლი.

იმის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, თუ როგორ აფასებდა, როგორ ეხმარებოდა და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სერგო ორჯონიკიძე პრესას და მუშკორებს ახალი ხელისუფლების განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში, მაგრამ ჩვენ რამდენიმე ფაქტით დაკმაყოფილდებით:

1924 წლის 15 აპრილს, როდესაც ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ედგა სათავეში როგორც პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი, თბილისის გაზეთების მუშკორთა და პრესის მუშაკების კრებაზე გამოსული ამხ. სერგო ორჯონიკიძე ამბობდა:

„რას წარმოადგენდა პრესა ყველგან და ყოველთვის? იგი მძლავრი იარაღი იყო, რომლის მეშვეობითაც ყოველი კლასი, ყოველი მთავრობა თავის იდეებს ახორციელებდა. ჩვენ პრესის



მონოპოლია გვაქვს. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ არ პრესის ისეთ თავისუფლებას, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის. პრესის მონოპოლია ბურჟუაზიასაც აქვს. სტამბები კაპიტალისტთა ხელშია, კორესპონდენტებიც მათ ხელშია — რაც ბურჟუაზიას სურს, სწორედ იმას ატარებს ამ თავისუფალი პრესის სახით. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ქაღალდი, ხელთ ვიგდეთ სტამბები, უკანასკნელ ხანს ლიტერატორებსაც ვიპყრობთ.

აი მუშკორი — ეს ახალი მოვლენაა. როცა მათი რიცხვი ათობით და ასობით გაიზრდება, მაშინ ვიტყვი: „პროლეტარიატს, საბჭოთა ხელისუფლებას, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს პრესის საკუთარი თავისუფლება აქვს!“.

ჩვენი მუშურ-გლეხური კორესპონდენტები, რომლებიც ჩვენს დასაყრდენს წარმოადგენენ, ჩვენი პრესის დაუფლებას იწყებენ. მუშკორი ყოველგვარ უსამართლობას ხედავს, ჩვენი ადმინისტრაციის მხრივ კი უსამართლობა, რამდენიც გნებავთ, იმდენია. მუშკორს უსამართლობა თავის ნათელი თვალით უკლებლივ გამოაქვს პრესის ფურცლებზე და მას მთელ პროლეტარულ სახელმწიფოს აცნობს.

როდესაც მუშკორები გაჩნდნენ, ამბობდნენ, აქედან არაფერი გამოვა, ეს უვერგილო მუშები ვერაფრის დაწერას ვერ შეძლებენო. ახლა კითხულობ გაზეთს და ხედავ, რომ ის ცოცხალია. მუშკორმა დაწერა ათიოდე დაულაგებელი სტრიქონი, სადაც ლამაზ ფრაზებს ვერ შეხვდებით, მაგრამ სიმართლე დაწერა, საბჭოთა ხელისუფლებას კი მარტო სიმართლე სჭირდება. აი ეს, ჩემი აზრით, საჭიროა და უნდა განვაგრძოთ კიდევ“<sup>1</sup>.

ამავე კრებაზე ამხ. სერგო შეეხო საკითხს, თუ რაზე იყო დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის განვითარება და უპასუხა კითხვაზე — რამდენად იაფი და გლეხისათვის ხელმისაწვდომი იქნება საქონელი. „როცა ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება დავწიოთ ეს ფასები, — ამბობდა ამხ. ორჯონიკიძე, — ჩვენი ტრესტების წარმომადგენლები ბერავენ მათ იმ მიზნით, რომ თვითონ მეტი ჩაიჯიბონ“, და იქვე დასძინდა: „ამიტომ ჩვენი პრესის მოვალეობაა დღის სინათლეზე გამოიყვანოს ეს არამზადე-

<sup>1</sup> გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 393 — 394.

ბი და მუშებსა და გლეხებს შესძახოს: „აი ვინ არის მტერი“<sup>1</sup>.

ან კიდევ ასეთი ფაქტი:

იმხანად ხელისუფლება ფულის რეფორმას ატარებდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, კერძოდ ფინანსური და საერთოდ სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ფულის ბაზარზე მაშინ არსებული ოთურმობანას აღსაკვეთად, რაც მრავალნაირი ბონების არსებობით იყო გამოწვეული. შემოდითოდა ერთი საერთო-საკავშირო ფულის ნიშნები, მტკიცე ვალუტა, რითაც ბოლო ეღებოდა ისეთ ქაოსს, როცა დღევანდელი მანეთი ხვალ გროშ-კაპიკად აღარ ფასობდა. ახალი ფულის შემოღებას თან სდევდა საქონლის ფასების შემცირება. პარტია უღმობელ ბრძოლას აწარმოებდა ფასების შემცირებისათვის და ამ საქმეში ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელი ძალიან დიდ როლს აკისრებდა პრესას.

„თუ ჩვენი პრესა უდიდეს ყურადღებას დაუთმობს ფულის რეფორმას, — ამბობდა ის, — დარაზმავს მუშათა მასებს და წამოაყენებს ლოზუნგს: „თვალი ადევნეთ ფასების შემცირებას, რომ არცერთმა მოვაჭრემ არ აწიოს ფასი... ჩვენი პრესა, ჩვენი მუშკორები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ“<sup>2</sup>.

მუშკორებისა და პრესის მუშაკების იმავე საქალაქო კრებაზე გამოსულმა სერგო ორჯონიკიძემ ასე დაამთავრა თავისი შესანიშნავი და შთამბეჭდავი გამოსვლა:

„გისურვებთ, რომ იყოთ მედგარი მებრძოლნი საბჭოთა სიმართლისათვის, საბჭოთა მეურნეობის აღორძინებისათვის, რომ თქვენ ებრძოლოთ ნეკმანობის ყოველგვარ გამოვლინებას ჩვენს წრეში და არ დაინდოთ არავინ — არც ყველაზე პასუხისმგებელი მუშაკები და არც ყველაზე პატარანი“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 394.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 395.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 396.



უდავოდ დაგვეთანხმება მკითხველი, რომ ამ სტატიის დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა და მნიშვნელობა. შეუძლებელია უკეთესად ჩამოაყალიბო ის უდიდესი მოვალეობა, რასაც პარტია აკისრებდა და აკისრებს პრესას, კერძოდ, მუშა და გლეხ კორესპონდენტებს.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა აგრეთვე სერგო ორჯონიკიძის მისალმება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მებრძოლი ორგანოს გაზეთ „რაბოჩაია პრავდისადმი“ 1924 წლის 9 მარტს, გაზეთის არსებობის ერთი წლისთავზე.

„გაზეთმა „რაბოჩაია პრავდა“, — წერს თავის მისალმებაში ამხ. ორჯონიკიძე, — თავისი არსებობის ერთი წლის მანძილზე უთუოდ მოიპოვა იმის უფლება, რომ თავის თავს მუშათა სიმართლე უწოდოს. ამ ერთი წლის მანძილზე იგი მასობრივ გაზეთად იქცა. თვითეულ მუშას ყოველი უსამართლობა, რომელსაც ის თავის ირგვლივ ამჩნევდა, „რაბოჩაია პრავდაში“ მიჰქონდა და მას მთელ მუშათა მასას აცნობდა. ყოველ დაუმსახურებელ შეურაცხოფას იგი „რაბოჩაია პრავდას“ ფურცლებს აწვდიდა, რათა სამართლიანი დამცველი ეპოვა. უმართებულო მოქმედებისათვის ამ წლის მანძილზე „რაბოჩაია პრავდა“ უადრესად უღმობლად ტუქსავდა ხოლმე უკლებლივ ყველას. ძალიან ხშირად ქუჩაში, რიგითი თუ პასუხისმგებელი ამხანაგის ოჯახში გაიგონებთ: „ფრთხილად, — „რაბოჩაია პრავდაში“ გაგვწერენო“.

„რაბოჩაია პრავდა“ უყვართ კიდევ და გშინიათ კიდევ მისი, უყვართ — მისი სიმართლის გამო, გშინიათ — რისხვის გამო.

მენშევიკური რღვევის დღეებში „რაბოჩაია პრავდა“ ის გაზეთი იყო, რომელიც მუშებს, ყოფილ მენშევიკებს განუმართავდა და ეხმარებოდა, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი ბანდიტების სისხლის სამართლის ბოროტმოქმედების პარტიასთან, ხომერიკის, ჟორდანიას, ფალავას და ჩოლოყაშვილის პარტიასთან.

„რაბოჩაია პრავდა“ თავისი არსებობის მეორე წელში შევიდა და ახლა უფრო მნიშვნელოვან ამოცანებს ისახავს, ვიდრე გასულ წელს ისახავდა. დღეს, როცა მენშევიკური პარტია საბოლოოდ განადგურებული და დაშლილია, როცა თოთხმეტ



ათასზე მეტმა მუშამ ზიზლით შეაქცია ზურგი ამ პარტიას, არ იცის ვის მხარეზე გადავიდეს, „რაბოჩაია პრავდამ“ იდეურად უნდა დაიპყროს ეს მასა და ერთხელ და სამუდამოდ საბჭოთა ხელისუფლებას დაუმკვიდროს ისინი.

ამეამად, როცა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ინტელიგენციის გავლენა ჩვენს პარტიულ რიგებში იჭრება და საკმაოდ მტკივნეულად იჩენს თავს, „რაბოჩაია პრავდამ“ უაღრესად გადაჭრით უნდა აწარმოოს ბრძოლა ლენინის მიმართვის. ამეამად, როცა ჩვენი XIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად ლენინური გაწვევა ხდება, როცა ჩვენი პარტია ახალი ათასობით მუშებით ივსება, „რაბოჩაია პრავდამ“ თავისი აგიტაციით, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდით ჩვენს რიგებში ეს ახლადშემოსული მუშები უდრეკ, მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელ პარტიელებად უნდა აქციოს.

ვუსურვოთ ჩვენს „რაბოჩაია პრავდას“ კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და დაჟინებით იბრძოლოს მის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად<sup>1</sup>.

ვისაც ეს გაზეთი ახსოვს, ყველა დაგვეთანხმება, რომ მისი უკეთესად დახასიათება შეუძლებელია. მართლაც არაჩვეულებრივი მებრძოლი გაზეთი იყო „რაბოჩაია პრავდა“. ცეცხლივით ეშინოდათ მისი ჩვენი პარტიისა და ახალი ხელისუფლების მტრებსა და ორგულებს, მაგრამ უზომოდ უყვართ იგი მშრომელებს, ახალი ცხოვრების, ახალი სოციალისტური წესწყობილებისა და ყოფის დაფუძნება-განმტკიცებისათვის დაულალავად მებრძოლ საბჭოთა ადამიანებს. მართლაც, ხშირად გაიგონებდით ქუჩაში, საწარმოში, დაწესებულებასა და ოჯახებშიაც კი — „დამაცადე, „რაბოჩაია პრავდაში“ გაგწერო“ — და ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ცხოვრების ახალი ნორმების დამრღვევი ჩაფიქრებოდა თავის საქციელს.

სერგო ორჯონიკიძის მიერ დანერგილ ტრადიციებს მტკიცედ და ერთგულად იცავენ ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს პრესაში, რადიომათუწყებლობისა და ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტები, მუშგლეხკოროთა მრავალათასიანი არმია.

<sup>1</sup> გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 383 — 394.



საბჭოთა პარტიული პრესის ამოცანა ყოველთვის იყო და რჩება გადამჭრელი ბრძოლა ლენინის მემკვიდრეების, რასაც ასე დაყენებით მოითხოვდა ლენინის უერთგულესი მოწაფე და თანამებრძოლი სერგო ორჯონიკიძე.

შემდგომად, როცა ამიერკავკასიიდან წავიდა და საბჭოთა კავშირის დიდ სახელმწიფო მოღვაწედ იქცა — ჯერ როგორც ცენტრალური საკონტროლო კომისიის „მუშგლენის“ ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ როგორც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის „მთავარსარდალი“, როგორც მას სიყვარულით უწოდებდნენ, გ. კ. ორჯონიკიძე არასოდეს არ ივიწყებდა ბოლშევიკური პრესის მაორგანიზებელ როლს და ყოველთვის მოხერხებულად იყენებდა პარტიის ამ „ყველაზე ბასრ“ და „ყველაზე შორსმსროლელ იარაღს“ პარტიის მტრებისა და ორგულების, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს აპარატში შემორჩენილი ბიუროკრატიზმის, რუტინისა და ჩამორჩენილობის გადმონაშთების, წამგლეჯების, მექრთამეებისა და თაღლითების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში; არ უშვებდა არცერთ მოხერხებულ შემთხვევას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული მშენებლობისათვის მასების დასარაზმავად „პარტიის ამ ყველაზე უახლოესი თანამემწის“ დიდი ძალის გამოსაყენებლად.

საილუსტრაციოდ მრავალთა შორის დავასახელებთ შემდეგ ფაქტს:

ოცდაათიან წლებში, როდესაც ჩვენს დიად სამშობლოში ფართოდ იყო გაჩაღებული ინდუსტრიული მშენებლობა, როცა შენდებოდა ახალი საბრძმედე ღუმელები და ლენინურმა კომკავშირმა ამ ღუმელების შენების გასაოცარი ნიმუშები უჩვენა, გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ კითხვით მიმართა მძიმე მრეწველობის სახკომს რა უნდა გაეკეთებინა ახლა კომკავშირს ამ ბრძმედეების ტექნიკის ასათვისებლად, იმისათვის, რომ მათ ემუშავნათ ზუსტად, საიმედოდ და შეუფერხებლად.

სერგომ ამაზე ასე უპასუხა:

„მე მაქვს კონკრეტული წინადადება: მოდით თქვენთან ერთად, კომკავშირთან და „კომსომოლსკაია პრავდასთან“ ერთად მოვაწყოთ მოწოდება მოხალისე-ენტუზიაზისტებისადმი — ახალგაზრდა სპეციალისტების — ინჟინრებისა და ტექ-



ნიკოსებისადმი — თვითონვე იმუშაონ ამ ახალ, პირველხარისხიან ბრძმედებთან“.

ამხ. სერგო რუმენას გამოთქვამდა, რომ ალკკ ცენტრალური კომიტეტი, „კომსომოლსკაია პრავდა“ და მთელი ლენინური კომკავშირი მხარს დაუჭერდნენ მის წინადადებას და სათანადო მოწოდებით მიმართავდნენ მოსახლეობას.

როგორც ცნობილია, მაშინ ჩვენმა სახელოვანმა კომკავშირმა და მისმა მებრძოლმა ორგანომ „კომსომოლსკაია პრავდამ“ მართლაც მიმართეს მოწოდებით ახალგაზრდობას. ალბათ, ახლაც ბევრს ახსოვს ის უჩვეულო შრომითი პათოსი, რაც კომკავშირელებმა უჩვენეს მაშინ მთელ მსოფლიოს თავისი სოციალისტური სამშობლოს ინდუსტრიულ მშენებლობაში. შემდეგ მათვე მიმართეს ახალგაზრდობას ახალი მოწოდებით — აეთვისებინათ ახალი, სოციალისტური ტექნიკა.

ახალგაზრდა ძალების მობილიზაციის ამ ფორმამ, რის დანერგვაშიც პრესა უშუალო, აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ნამდვილად გაამართლა თავისი თავი. მარტო ყამირი მიწების ათვისებისათვის ჩვენი სახელოვანი კომკავშირისა და მთელი მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტული ბრძოლის მაგალითი რადა ღირს!

მძიმე მრეწველობის სახკომი სხვა შემთხვევაშიც მიმართავდა პრესას და იყენებდა მის ძალას ქვეყნის ინდუსტრიული მშენებლობის ინტერესებისათვის.

1931 წელს თავის მისალმებაში გაზეთ „ტექნიკისადმი“ სერგო წერდა:

გაზეთი „ტექნიკა“... უნდა გახდეს სოციალისტურ მრეწველობაში უახლესი ტექნიკის დანერგვის მებრძოლ ორგანოდ. იგი ყოველდღიურად უნდა აშუქებდეს თავის ფურცლებზე ამერიკული და ევროპული ტექნიკის ყოველ მიღწევას.

იგი უნდა აშუქებდეს ჩვენი საბჭოთა ტექნიკის მიღწევებს და ხელმისაწვდომს ხდიდეს მათ მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

იგი დაუნდობლად უნდა ებრძოდეს რუტინას და ჩამორჩენილობას.

გაზეთი „ტექნიკა“ უნდა გახდეს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მებრძოლ, ბოლშევიკურ ორგანოდ.

სრულ წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს „ტექნიკას“.  
გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე 1936 წლის 30 დეკემბერს სიტყვით გამოსული ამხ. ორჯონიკიძე კი ამბობდა:

„აქ ჩვენ ისევ უნდა წავუყენოთ ჩვენს გაზეთს მოთხოვნები: ასტეხეთ სროლა, ომი მთელი ჩვენი მრეწველობის გამოყენებისათვის და მერწმუნეთ, რომ რაღაც 5 წლის შემდეგ, როცა ვიდღესასწაულებთ ჩვენი გაზეთის 20 წლისთავს, ყველა... შეძლებს თქვას, რომ ჩვენმა ქვეყანამ გადაჭრა ვლადიმერ ილიას ძის მიერ დაყენებული დიდი ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებს“<sup>1</sup>.

ასე აფასებდა და ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პრესას ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე და ხელმძღვანელი ამხ. გ. კ. ორჯონიკიძე, რომელსაც, როგორც ვნახეთ, პრესაში მუშაობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა წარსულში.

<sup>1</sup> გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 2, გვ. 1016.

რედაქტორი გ. ჯანგველაძე  
გამომც. რედაქტორი ნ. ჩიგოგიძე  
მხატვარი ვ. ალიმბარაშვილი  
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე  
კორექტორი ნ. თავაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI-66 წ.  
ქალაქის ზომა  $84 \times 108 \frac{1}{32}$ . ნაბეჭდი  
თაბახი 5,02. საადრ.-საგამომცემლო თაბახი 4,17.  
უე 11365. ტირაჟი 1000. შეკვ. № 565.

ფასი 18 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.  
Типография № 1. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.



Антон Кириллович Келенджеридзе  
Серго Орджоникидзе — Журналист  
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5  
1966

258/391

